გრიგოლ წერეთელი

ქართული ემიგრაცია
და
აღმიანები

პარიზი — 1971 წ.

მკვლევარებისათვის არ მინდა დაიკარგოს ჩვენი ბრძოლის ეპიზოდები, იდეოლოგია, ადამიანების პირადი და საზოგადო ღირსებები: თავგანწირვა, ჩუმი ტანჯვა . . . ბოლოს ნამდვილი ისტორია ხომ მასალებისაგან შესდგება. სხვისი აზრები იშვიათად მომყავს, ეს ნაშრომს დაამძიმებდა, გარდა ამისა, ჩვენი ერთვნული დრამა იმდენად დიდია, რომ ამ გოლგოთას ჯვარს დამოწმება არ სჭირდება. ჩემი აზრები არის პირადი დაკვირვებები, გამოხატავს პირად მსოფლმხედველობას, საჭიროების დროს პასუხიმგებელი ვარ მე და არავითარ შემთხვევაში ჩემი პოლიტიკური მეგობრები, ან პარტია.

მე მგონია ასე ფიქრობს ჩვენი თაობა, ამ აზრებს შეეწირეთ; სხვა გზა არ მეგულება. ყველა თაობას თავის ტვითრი აქვს, ამრიგად გაუჩენია ლმიერთს წუთი-სოფელი.

ავტორი

ზოგადი მიმოხილვა

ჩვენი აზრები, ან თვალთა-ხედვა, ჩემი თანამებრძოლთათვის, მცირე ღირებულობის უნდა იყოს. მე ვფიქრობ, მომავალ თაობებზე, რათა მათ იცოდნენ ქართული ემიგრაციის აღტყინება, იდეოლოგიური სამყარო და ეროვნული ტკივილები. ბავშობიდან ერთი ვნება მიტაცებდა: ჩემი სამშობლოს ისტორია, მისი ცხოვრების ეპიზოდები. ხარბად ვკითხულობდი ყველა წყაროებს, უნდა ვაღიარო, რომ ლაღი ცხოვრება, ეროვნული ბედნიერება არ შემხვედრია. ამ მხრივ ჩვენი ერის ისტორია, არც ერთი ხალხის ცხოვრებას არ მიემსგავსება . . . საკუთარ ეგოიზმს ემსახურება. ის ვინც ნაციონალურ ისტორიას ალამაზებს, ან მიმზიდველს ფერებში გვიხატავს, ეს დანაშაულია ერის მიმართ. მთელი საუკუნეები სიბნელით არის მოცული: საქართველოს ნანგრევები მოწამეა ჩვენი წინაპრების უთანასწორო ბრძოლების უთვალავ მტრებთან.

ჩვენი ერის წარსული ბუნდოვანია, იშვიათად მოგვეპოვება მატერიალურ საბუთებზე დამყარებული ფაქტები. თვით ჩვენი ტაძრების, ეკლესიების, ან ციხეების წარმოშობა მოკლებულია დამარწმუნებელ ფაქტებს, ანუ საბუთებს.

ისტორიკოსი ბ-ნი მანველიშვილი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ქართველობამ დღესაც არ იცის თამარ მეფის საფლავი, ვინაობა შოთა რუსთაველისა, ამაზე შორს მწარე სინამდვილე ვერ წავა. ჩვენი დიდი ისტორიკოსი ი. ჯავახიშვილიც უძლურია ჩვენი ქეყნის ისტორია ფაქტებზე დაამყაროს, იძულებულია დედუქციის მეთოდებს მიმართოს. რომ მკითხველი ჩვენ აზრს ჩასწვდეს, „მატერიალურ საბუთებად“ ჩვენ მიგვაჩნია, მომქმედი პირების სიტყვები, ნაწერები, ან გეგმები. მაგ. თუ თქვენ რუანის ტაძარს მიმართავთ, გაქვთ სრული დაწერილი ანგარიში

ჟანა-დარკის პროცესის, რომელიც თითქმის ერთ ტომს შეიცავს, აი რა მიგვაჩნია ჩვენ ძირითად საბუთად, სხვა ამბავია კომენტარიები.

თვით მეთორმეტე სუკუნე, რომელსაც ოქროს ხანას უწოდებთ, იქაც სანუგეშოს ვერასა ვხედავთ. მაშინ, როცა ევროპის სულიერ სამყაროს ვაკვირდებით ყოველი ღვთის სახლის, ციხესიმაგრის, სასახლეების, ან ისტორიული პირების უბრალო დეტალებიც კი ცნობილია. აიღეთ საჩხერის ციხე „მოდი ნახე", რომლის ავლა-დიდებას ვიცნობთ აკაკი წერეთლის ფანტაზიის მიხედვით. აღვნიშნავთ, რა ამ ისტოიულ სიცარიელეს, ამით კი არ ვადანაშაულებთ ჩვენ წინაპრებს, არამედ ამის ერთად-ერთი მიზეზი ის პერმანენტული დაპყრობებია, რაც პატარა ერისათვის ქმნიდა ცხოვრებას ჯოჯოხეთად და სრულიად გასაგებია მომხდარი ვითარება, რადგან ამ ვანდალებს გაუნადგურებელი არაფერი რჩებოდათ. ასეთი ხვედრი, ასეთი მემკვიდრეობა გულს გვიკლავს.

ისტორიას ზოგი მეცნიერებათ სთვლის, ზოგი ხელოვნებათ, ზოგი ფიქრობს, რომ ი ს ტ ო რ ი ა მ ო მ ხ დ ა რ ფაქტების აღნიშვნით განისაზღვრებაო. ჩვენი აზრით, უფრო სწორია უკანასკნელი მიდგომა. ლოლიკურად ისტორია უტყუარ ფაქტებზე ეყრდნობა. გაგება ნაწილობრივ სუბიექტიურია, მაგრამ სიმართლის აღდგენა ფატალურად ხდება. მკითხველი, რომ ჩვენ გულისტკივილს ჩასწვდეს ვიტყვით: თუ თქვენ გწყურიანთ იცოდეთ მაგ. ბერძნების ცნობილი პირები, ანრი 4-ს აზროვნება, ფრანსუა პირველის, ან ჟიულ მეორის შემოქმედება, მიქელანჯელოს მოგონებები, ან დიდი ადამიანების ცხოვრება, სამხედრო გენიოსების ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი ეპოპეა, თქვენს განკარგულებაშია, მათ მიერ დატოვებული წერილობითი დოკუმენტები, კომენტარიები, პიროვნული მოგონებები და წიგნები.

ამ სტრიქონების დამწერმა არაფერი არ აცის, სანდო და უდაო, მათი, ვინც ჩვენი ისტორია შექმნეს. ავიღოთ სამი უბრწყინვალესი მაგალითი: თამარ მეფე, შოთა რუსთაველი და ერე-

კლე მეორე. რომელ ხელმოსაკიდებელ მაგალითს დამისახელებთ ამ პირებს რომ ეკუთვნოდეს? არ მოგვეპოვება მათი სიტყვები, აქტები, ან მოგონებანი. მათ მიერ დატოვებული ცოცხალი მასალა, ამ შემთხვევაში, მიუღებელია, თუნდაც ნიჭიერი განმარტება, ან ისეთ დაუჯერებელ დასკვნამდის მივალთ, როგორც ეს არის რუსთაველის გარშემო.

ალბად ამ მოტივით აიხსნება ჩვენში ბევრი „ისტორიული" რომანები, რომელნიც საეჭვო ხასიათის არიან; ტენდენციური და ფანტაზიური, რაც ანტი-თეზაა ისტორიული რომანის. დიდი ოფიციალურ ქება წამიკითხავს სიმონ ქვარიანის „დიდ-მოურავზე", თუ ქართული საქმეა, თვით რომანი სოფისტიკურია, ხელოვნური, გიორგი საკაძეს აკლია პარტიული ბილეთი, თორე მისი აზროვნება კომუნისტური იდეოლოგიისაა.

ბ-ნი გამსახურდია, ალბად რეაბლიტაციის მიზნით, გვიხატავს გიორგი მეფის დრამას, დიდ-ოსტატის, არსაკიძის ტრაგედიას. ორივე გმირი ქადაგობს თანამედროვე აზრებს, (ავტორისას). ყველა სერიოზული მომენტი ყალბია, არა დამაჯერებელი და ისტორიასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ჩვენი ისტორიული სილარიბე გამოწვეულია მუდმივი ომებით, ამიტომ მიუღებელია წარსულის გალამაზება, სიყალბე შეგნებული, ფანტეზია; საჭიროა პატიოსნება გონივრული. სირცხვილი არ არის დოკუმენტალური სილარიბე, რეალობას პირდაპირ უნდა შეეხედოთ.

ჩვენი წინაპრების არსებობა ჯოჯოხეთი იყო. ამ ვითარებამ განსაკუთრებული დაღი დაასვა ჩვენს ერს. იშვიათად ვცხოვრობდით ნორმალურად. ამდენი ძმები დავკარგეთ მაჰმადიანურ ზღვაში. სწორია თქმულება, რომელიც ამბობს: „გეოგრაფია განსაზღვრავს ერის ბედსო". ეს თქმულება ზედგამოჭრილია ჩვენზე. საქართველოს სტრატეგიული მდგომარეობა, გზათ და ხიდათ გვხდიდა ყველა იმპერიების სასარგებლოდ. ბიზანტიის ისტორიაში აღნიშნულია, საქართველო და სომხეთი, როგორც სტრატეგიული ბაზები.

ჩვენი დაკვირვებით, იშვიათად მოიპოვება ერი, რომელსაც ამდენი უცხო ძალების ბატონობა გადაეტანოს. თუ როგორი სასწაულით გადაურჩით ამდენ სხვა და სხვა ფორმის დაწოლას, ზეგავლენას, ან განადგურების ცდებს, ეს ისეთი რთული მოვლენაა, ზოგჯერ აუხსნელი, რომლის მატერიალური საბუთები არ არსებობს; ან ისეთი სუბიექტიური აზრები, რომელნიც დამაჯერებელნი არ არიან. საბოლოო ანგარიშში უნდა აღვნიშნოთ, რომ სასწაულებრივი გამძლეობით, მეტად აზრიანი ოპორტუნიზმით, ქართველმა ერმა მოაღწია დღევანდლამდე. მართალია ხშირად სიკვდილის პირზე იყო მისული, დასუსტებული, უაზროთ დაყოფილი, მაგრამ მაინც სიცოცხლის ენინით შეპყრობილმა განაგრძო ცხოვრება და შეინარჩუნა არსებობა.

ერთი ჩვენი ნიჭიერი მწერალი, რომელიც ჩვენს ისტორიას უკვირდება, ამბობს „ქრისტეს ჯვარმა დაგვლუპაო“, მარტივი თქმაა, რაც ისტორიულ სიმართლეს არ შეიცავს. ქრისტიანული სარწმუნოება, როგორც მაღალი კულტურის და ჰუმანიზმის გამომხატელი, მოედო და გავრცელდა მთელ რიგ ქვეყნებში, რომელთა დასახელება შორს წაგვიყვანს.

საქართველომ ბუნებრივად გაიხადა ქრისტიანული სარწმუნოება ეროვნული არსებობის თანამგზავრად, თუ ეს მოვლენა გაკვრით აღვნიშნეთ, იმიტომ, რომ გვეთქვა, რა მძიმე იყო პატარა ერისათვის ეროვნულ და სარწმუნოებრივ ფრონტზე პერმანენტული თავდაცვა. ცნობილია, წინა საუკუნეებში ომის ფაქტორი იყო, არა მარტო ტერიტორია, არამედ რელიგიაც დიდ როლს თამაშობდა. პატარა ქვეყანა, გარშემორტყმული ფანატიკური სამაჰმადიანო ქვეყნებით, იძულებული იყო ებრძოლა ეროვნულად და ქრისტიანული რწმენისათვისაც. ეს კი მეტად მძიმე ჯვარი იყო. თუმცა ჩვენი ხალხის არჩევანი ფრიად გონივრული იყო, რადგან ქრისტიანული რწმენის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი სულიერი დონე, კულტურა, ისე მაღლა მდგარიყო, ვინაიდან ყოველ დარგში ყოველგვარი მიხწევა ქრისტიანული კულტურის ნაყოფია. ისიც საეჭვოა, რომ ქრისტიანიზმის გარეშე

შევძლებდით ეროვნობის შენარჩუნას. ქრისტიანიზმი არის სულიერი კულტურის წყარო, ადამიანს აძლევს განუსაზღველ აზროვნებას, მუსლიმანური კულტი კი ადამიანის გონებას ზღუდავს, ღარიბია, ფანატიკური, წმინდა უდაბნოს სარწმუნოებაა და ჩამორჩენილი ხელხების რწმენაა. ჩვენ შეგნებაში ქართველობა ვერ წარმოგვიდგენია ქრისტიანობის გარეშე.

18-ტე საუკუნეში საქართველო დაყოფილია, დასუსტებული . . . ეს ის დროა, როცა სისხლისაგან დაცლილ ქვეყანას მოსვენება და ძალების მოკრეფა სჭირდებოდა. ამიტომ ჩვენმა დიდმა მეფე ერეკლემ, მართლმორწმუნე რუსეთს გაუწოდა ხელი. მაჰმადიანებისაგან ჯვარცმული ქვეყანა, ქრისტინულ რუსეთში ხედავდა სამართლიანობის სიმბოლოს. დღეს ასეთი ნაბიჯი გულუბრიყვილობად მოგეჩვენებათ, მაგრამ იმ ჟამად აზროვნობა და მოქმედება სხვა ფაქტორებს ემორჩილებოდა. ამგვარი ნაბიჯი მიეწერება არა იმას, რომ მოხუცებულობაში ერეკლეს მახვილი დაუჩლუნგდა და გონება გაუმახვილდა, როგორც ეს ერთ მწერალს ჰგონია, არამედ ჩვენს ერს მართლა სჭირდებოდა რუსეთის „ძმური ხელი“, მაგრამ ასეთი სანტიმენტალობა ისტორიას არ სცოდნია.

ერეკლეს ჭკუას და შორს მხედველობას ისიც ამტკიცებს, რომ მაჰმადიანური ქვეყნები ცდილობდნენ რუსეთის ორიენტაცია არ მიგველო, მაგრამ საბოლოო ანგარიშში წავაგებდით. ოსმალეთ-სპარსეთი ხალხისთვის მიუღებელი იყო. უდაოა, ზემოთ აღნიშნული ქვეყნების ორიენტაცია, უდრიდა ჩვენი რწმენის შებღალვას და უსათუოდ ეროვნული მეობის განადგურებას. ისტორიული სიმართლე ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის კრიტიკული მდგომარეობა ეფარდებოდა ახალგაზრდა რუსეთის ექსპანსიას. საქართველო ხომ იშვიათი გზა და ხიდია, რაც რუსეთმა ნიჭიერად გამოიყენა, ყოველგვარი მადლობის გამოუთქმელად. არც ის არის ურიგო აღვნიშნოთ, რომ ერეკლე მეფეს საქართველო უპირობოთ არ გადაუცია. არსებობს ცნობილი ხელშეკრულება, რომელიც ჩვენ ქვეყანას, ქალალდზე, ბევრ უფლე-

ბებს უტოვებდა. აღვნიშნავთ, რომ საქართველოს თანხმობით შემოვიდა რუსეთი ჩვენში, როგორც დიდი მოკავშირე, მაგრამ ფქტიურად კი ❀ ცინიკურად მოხდა ჩვენი დაპყრობა, ამაზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს. მათი ბატონობა გრძელდება დღევანდლამდე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამი წლის დამოუკიდებლობას. ისტორიული ყნოსვა მოსჩანს ბარათაშვილის სტრიქონებში:

„ახლა კი დროა სოლომონ რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა
მან საფარ ქვეშ მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის,
და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს,
რომ ქრისტიანთა ხმა მარად ისმოდეს
საფლავთ ზედ ჩვენთა მამა-პაპათა“.

ამ ამაღელვებელ სტრიქონებში აღნიშნულია ჩვენი ერის დრამა, ყოველგვარი კომენტარია უადგილოთ მიმაჩნია. მეფე ერეკლემ ალალი გულით გადასცა საქართველო რუსეთს მფარველობისათვის. იმ ჟამად ჩვენი თავ-კაცები ასეთ კრიტიკულ მომენტში, რუსეთის ხელში ეძებდნენ ძმურ მფარველობას და არა ორ გუბერნიათ გადაქცევას. ცხადია, მფარველობა არის ერის სუვერენობის ერთგვარი შეზღუდვა, მაგრამ მფარველობა არ უდრის დაპყრობას. აქ დიდი განსხვავებაა. რუსეთის ორიენტაციის აღება, ისტორიულ აუცილებლობად მიგვაჩნია, როცა 17-18 საუკუნის რეალობას უკვირდებით. მთავარი ის არის, ჩვენი ბედი არავის აინტერესებდა გარდა მტრულად განწყობილ მაჰმადიანური ქვეყნებისა. ამბობენ ბელგია და შვეიცარია თავიანთ დამოუკიდებლობას უნდა უმადლოდნენ დიდი სახელმწიფოების მეტოქეობასო, ამრიგად ამ სახელმწიფოების არსებობა ნაწილობრივ ხელოვნურია. თვით თანამედროვე ხანაში, მოგეხსენებათ, ლოიდ-ჯორჯის ნებართვამ შეუწყო ხელი თავისუფალი საქართველოს დაპყრობას. ჩვენ, ქართველებმა უნდა ვიცოდეთ, დღე-

ვანდლამდე რუსეთს კავკასიაში არავინ ედავება. ჩვენი უბედურებაა, რომ მეზობლად არა გვყავს არც ერთი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც რუსეთს შეიძლება კონკურენტად გამოადგეს.

ერთად-ერთი გამონაკლისი იყო, ჰიტლერი, რომელმაც მცირე აზიის და აღმოსავლეთის დასაპყრობად და შესანარჩუნებლად საჭიროთ დაინახა საქართველო მის ხელში ყოფილიყო. ცხადია, ასეთი ბატონის მიღება ქართველი ერისთვის მიუღებელია, მაგრამ, თავისთავად დამახასიათებელია. ორიენტაციის გამოცვლა ამ ჟამად აღარ არის იმ ხასიათის, როგორც შუა საუკუნეებში იყო. ტრანსპორტის განვითარებამ, ტექნიკის პროგრესმა, ქვეყანა „დააპატარავა“, სივრცე აღარ არის დღეს დამაბრკოლებელი მიზეზი, როგორც ეს იყო საშუალო საუკუნოებში. ურთიერთობას, შეგობრობას, ამ ჟამად ფრთები შეესხა და მომავალი დიდ იმედებს იძლევა. დღეს სახელმწიფოებრივი ურთიერთობა აღარ თავსდება უბრალო მეზობლობის ფარგლებში, არამედ დიდი კონტინენტების მასშტაბით . . . როგორც ომები აღარ ეტევა ვიწრო ფარგლებში და თითქმის, მსოფლიო თეატრის ასპარეზი აქვს, ისე საბედნიერო წყობილებას, ზავს და სიწყნარეს უნდა დარჩეს უნივერსალური ბუნება, თუ კეთილი ადამიანების ოცნება სინამდვილეთ იქცა.

1883 წლის ტრაქტატით ბაგრატიონებს უნდა შერჩენოდათ ტახტი და ქვეყნის შინაგანი მმართველობაც. შემთხვევით არ იყო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს ხალხი არ გაჰყვა, მიუხედავათ იმისა, რომ ის ანტი რუსული ძალა იყო. მაგრამ ის მაჰმადიანურ ქვეყნებს ემყარებოდა, რაც ხალხისათვის მიუღებელი იყო.

ეხლაც კი ჩვენში თათარი, სპარსელი ან ლეკი ეშმაკის სინონიმია. ძველი საქართველო უმთავრესად ეყრდნობოდა მმართველ წრეებს და არა ხალხს. ამ ჟამად წამოუდგენელია რაიმე ეროვნული აქტი, ფართო საზოგადოებრივი თანხმობის გარეშე.

ეროვნულმა სიბეჩავემ ჩვენ ლიტერატურაშიც გამოჟონა. აი როგორ სწერს ერთი გამოჩენილი მწერალი: „ველური მხნე-

ობით სავსე მთიელები მშიერი მგლებივით დაწრწოდნენ დაღისტანით ახალ-ციხემდე და მოტაცებულ ქრისტიანებს ცხვრის ფარასავით მიერეკებოდნენ. მათ ხელთ იგდეს ჯვარედინი გზები, მიუვალი ციხეები, ყველა დიდი ძარღვები და დედაქალაქს რკინის სალტები შემოარტყეს, ბაგრატიონები მოხარკეთაც კი გაიხადეს. ერთი საწყობიდან ლილა მოიტაცეს, ქალაქშიაც კი შემოიჭრნნენ და მთებში გაიქცნენ, თანაც ეგონათ უფასო განძეული მიგვაქვსო.

იქვე ქალაქიდან ზედაზნის ქედზე ასი ლეკი იჯდა, გიორგი მეფემ უკანასკნელმა ძლივს შეუბედა, მაგრამ ვერ დაძრა და სასიკვდილო სარეცელზე მძიმედ დაიკვნესა: „აი რა დარჩა თამარის სამეფოდანო". მას აქედ მეტყვიან რუსებს ნუ მოიყვანო და მოიყვანა, რუსეთს კარი გაუღო".

ამ ამონაწერიდან ნაწილიც რომ მართალი იყოს, ქართლ-კახეთის ბედი გადაწყვეტილი იყო, ხოლო დასავლეთ საქართველო ცალკე იყო და არა უკეთეს პირობებში.

ამ რეალობის აღნიშვნით ჩვენ არ გვმართებს გაწითლება. ერთგვარი სირცხვილი, თვით ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ც ხშირათ ყოფილა დაცემული, გავერანებული, გაპარტახებული, მაგრამ ფეხზე წამომდგარა, წელში გამართულა, სასკოლო წიგნები კმარა, რომ ამაში დავრწმუნდეთ.

დღევანდელი ისტორიკოსები და მათ შორის განს. ნოე ჟორდანიას აზრით, საქართველოს სხვა გზა არ ჰქონდა, რათა შეჩერებულიყო ქვეყნის გაჩანაგება, ქართველების მასიური ელეტა და გაერთიანების მიღწევა. ორ უბედურებაში საქართველომ აირჩია რუსეთი, სხვა გზა არ მეგულება, ან ეს იქნებოდა უბრალო გონებრივი სპეკულაცია. გარდა ამისა ჩვენ ვლაპარაკობთ, უკვე მომხდარ ფაქტზე. თურმე ერის ცხოვრებაც ერთგვარ ფატალობას ემორჩილება, ერთგვარ ბედისწერას. ამ ქვეყნად არიან დაწინაურებული ერები, კულტურულად, ინდუსტრიალურად და ტექნიკურად. 18-19 საუკუნეში ვხედავთ მთელ რიგ პატარა ერებს, რომ თავს აფარებენ ძლიერებს, რომლის მაგალითად გა-

მოდგებიან ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია და ბელგია. ავიღოთ საფრანგეთი, რომელიც პროტექტორული მანდატით სარგებლობდა ტუნიზის და მაროკოს მიმართ, ხოლო ალჟირი ითვლებოდა საფრანგეთის ნაწილათ და დეპარტამენტების შინაგან რეჟიმს ექვემდებარებოდა. ამავე დროს, ზემო დასახელებულ ქვეყნებს კოლონიალურ პირობებში ჰყავდათ მრავალ მილიონიანი შავ კანიანები, რომლებმაც კონფლიქტების გარეშე მიაღწიეს დამოუკიდებლობას.

როდესაც ამ პატარა ერებმა პოლიტიკურ სიმწიფეს მიაღწიეს, თავისუფლება მოითხოვეს. მართალია დამოუკიდებლობას ზოგან წინ უძღოდა გამანთავისუფლებელი ბრძოლა, მაგრამ ეროვნული აღტყინება ისეთი ძლიერი იყო, რომ დიდმა საფრანგეთმაც ქედი მოიხარა პატარა ერების ნების ყოფის წინაშე. უფრო მშვიდობიანათ მოხდა მათი განთავისუფლება სხვა ქვეყნებში. ერთად-ერთი რუსეთია ისტორიულ საათს ჩამორჩენილი, გარეგნულად ვითომც რუსეთიც უწევს ანგარიშს ეროვნულ პრობლემას, მაგრამ ამ დარგში ისეთ ფარისევლობასთან გვაქვს საქმე; ისეთ სისხლიან სინამდვილესთან, ისეთ მირაჟთან და სიყალბესთან, რომლის მაგალითი ისტორიაში არ მოიპოვება. ჩვენ მკითხველს არ ვაკადრებთ, ამ თემაზე ლაპარაკს. რუსეთში ეროვნულ პრობლემას ართულებს არა მარტო ტერიტორიის საკითხი, არამედ იდეოლოგიური მხარეც, რომლის პრეცედენტი არ არსებობს ისტორიაში. ერთ ჟურნალში წავიკითხე რუსული ენის შესწავლის საჭიროება, იმიტომ, რომ ის არის ლენინის ენა. ჩვენ არა ვართ რომელიმე ენის სწავლის წინააღმდეგი, მაგრამ ასეთი რეფერანსი გულის ამრევია და ყოველგვარ სამართლიანობის შეურაცყოფაა.

თუ ერთი მხრივ ჩვენმა ერმა მაჰმადიანებისაგან დაისვენა, მეორე მხრივ რომანოვების აგრესიულობა და გარუსების პოლიტიკა [illegible] მთავარ პრობლემათ იქცა. ამ დარგში რუსეთი დიდ ნებისყოფას და ენერგიას იჩენდა.

ქართულ სინამდვილეში გადაგვარების საფრთხე, ეროვნუ-

ლი ტკივილები, არაჩვეულებრივი წინდახედულობით, საღი ეროვნული ინსტინქტით დაინახეს, ჩვენი პოეზიის ტიტანებმა. 19-20 საუკუნეში, ამ ეროვნულმა მედროშეებმა ღირსეული ბრძოლა მისცეს უცხო ერის წყობილებას. ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ და სხვ. აღმართეს აჯანყების დროშა. ერის ჩამოყალიბების ამ ისტორიულ ფონზე, მათი დამსახურება არა მარტო დიდი, არამედ გარდამწყვეტია. ისტორიულ წყაროს, რომელსაც გავცნობილვათ, არსად გვეგულება პოეზიის ისეთი დიდი დამსახურება, როგორც ჩვენში. ამ მოვლენას მივყევართ იმ ძირითად ლოღიკამდე, რომ 17 საუკუნიდან ამერი და იმერი საქართველო, ძლიერი სპარსეთის და ოსმალეთის წინააღმდეგ ეძებდნენ მოკავშირეს, რომელიც მათ დაიცავდა. ზემო დასახელებულ ქვეყნებს საქართველოს ეროვნულად მოსპობა უნდოდათ, რელიგიურათ გამაჰმადიანება და ასეთ პირობებში თანამორწმუნე რუსეთის იმედი, ჩვენ მეფეებს ცოდვათ, ან გულუბრიყვილო ნაბიჯათ არ ჩაეთვლებათ.

მაგრამ ეს ბუნებრივი ორიენტაცია, არც ისე ჩქარა სრულდებოდა. რუსეთს თავისი ანგარიშები, თავისი სტრატეგია ჰქონდა. მაჰმადიანური ქვეყნები გებულობდნენ რა საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებებს, მათი რეაქცია იყო შეუბრალებელი, უღვთო; ვინაიდან მათ არ უნდოდათ მეზობლათ ძლიერი რუსეთი. მაგრამ ვითომდა ქართველობის ჭკუის სასწავლებლად ახდენდნენ საქათველოს აოხრებას, გაპარტახებას, რაც ბუნებრივად ჩვენ მეფეებს, რუსეთის ორიენტაციაში ისროდა. ამ ლოღიკურ რეაქციას აღმოსავლეთის სატრაპები ვერ ითვალისწინებდნენ და ვერც ხედავდნენ . . .

იყო მეორე ორიენტაცია, ეს ევროპის. უსათუოდ მორცხვი და გაუბედავი. მაგრამ საბა-სულხან ორბელიანის მოგზაურობა რომში და პარიზში არ იყო შემთხვევითი. მაგრამ 17-ტე საუკუნის საფრანგეთი, ან რომის პაპი ჩვენ ვერ დაგვეხმარებოდნენ, თავიანთი შინაგანი აწეწილი საქმეების გამო. ესეც არ იყოს 17 საუკუნე ისეთი ეპოქაა, რომ პატარა ხალხისთვის თავს არ შე-

იწუხებდნენ, არც ლიუდოვიკე 14-ტე და არც რომის პაპი. ფრანგები გართულნი იყვნენ ამერიკის ტერიტორიებით და ევროპიული ომებით, ხოლო რომი მარტო მორალურ ძალათ ითვლებოდა, ჯარს მოკლებული...

ამრიგად ჩვენი მწერლობის შემოქმედება ნაციონალურია, პატრიოტული. შესაძლებლობის მიხედვით ანტირუსული. ეროვნული ეპიზოდები იდეალიზმათ ქმნილი, ჩვენი წარსულის ტენდენციურად გალამაზება. ამ მწერლობამ სამშობლოს სიყვარული პირველ რიგში დააყენა. მათ საჭიროთ დაინახეს ჩვენ ერს მხარში ამოდგომოდნენ. პატრიოტული მწერლობა იდუმალ გულისტკივილს გამოხატავს, მალულ გრძნობებს ემორჩილება, ერის რეალურ სულისკვეთებას ემსახურება. ასე ვთქვად, ეს ინსტინქტიური მოვლენაა. ამ ჟამად თვით კომუნისტებიც ამ ეროვნულ მოტივებს აყოლებენ, იმდენად მძლავრია ჩვენში ეროვნული აღტყინება, თუმცა იმათ, რომ უთხრათ გაკვირდებიან, მაგრამ ეროვნული პრობლემის დათრგუნვა არავის შაუძლია — როდესაც ეროვნულს სიმძაფრე მოსდევს, ეს ნიშანია იმ კრიზისების, რომელსაც ერი განიცდის ვისიმე მეოხებით.

ნორმალურ ვითარებაში პატრიოტული მწერლობა არ არსებობს, თუ ეროვნულ ცხოვრებას საფრთხე არ მოელის. დღეს, რომ ევროპის პატარა ერებში სამშობლოზე ლექსი დასწეროთ, ან პროზა, ცხადია, არავინ დაგიშლით, მაგრამ არც არავინ წაიკითხავს.

როცა ბისმარკის გერმანიამ ომის შემდეგ საფრანგეთს წაართვა ალზას-ლორენი, თანხმობის მოედანზე, ძაძებით შემოსეს სტრასბურგის და ნანსის ქალაქების სიმბოლოები და მაშინ ჩემოყალიბდა კლემანსოს, დეროულედის და ბარესის სარევანშო პოლიტიკა, რომელიც ამ ჟამად გამქრალია, რადგან ისტორიული სიმართლე აღსდგა.

დღეს ევროპა-ამერიკაში პოეზიის საგანი სიყვარულია. (მუდმივი თემა) სოციალური რომანები, მეცნიერული თვალთა-ხედვა, ახალგაზრდობის პრობლემები, ომის შედეგები, ვიზიონუ-

რი წიგნები, იორიშამას და ნაგაზაკის ატომური ტრაღედია და თაისუფალი თემები — ზოგ წიგნს მილიონებით მკითხველი ჰყავს.

მეოცე საუკუნის მიჯნაზე იწყება პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბევრ ქართველს არ უყვარს, ბუნებით, საზოგადოთ პარტიები. სამწუხაროთ, თუ საბედნიეროთ, ადამიანმა დღევანდლამდე უკეთესი წყობა ვერ მონახა.

სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი, ან დე გოლი, წინააღმდეგი იყვნენ სხვა პარტიების, მაგრამ მტკიცედ იცავდნენ საკუთარ პარტიებს, რაც საბოლოოდ დაუჯერებელ უსამართლობას ჰქმნიდა.

ჩვენ სინამდვილეში ყველაზე მნიშვნელოვანი, წინ დახედული, ისტორიული ყნოსვის მატარებელი იყო სოციალ-დემოკრატია. ჩვენ მიერ აღნიშნული ფაქტი, ეხლა უკვე დიდი ხნის არის, ამიტომ გონება დამდგარი უნდა მიუდგეთ. თუ ეროვნული ისტორია გვიზიდავს, უნდა ვიცოდეთ, შემთხვევით არაფერი ხდება, თუ პარტიამ ქართველი ხალხის ნდობა დაიმსახურა, ის ამის ღირსი იყო. ქართველი ხალხის გონება-ინსტინქტში ეჭვის შეტანა არაა საკადრისი. იოლი გამოსავალი და საბოლოოდ მომხდარი ფაქტის ბიზანტიური კამათის შედეგებს მოგვცემს.

გონება გახსნილი და დინჯი ქართველებისაგან ხშირად მსმენია კრიტიკა, ან გაკვირვება: სად სოციალისტური წყობილების პირობები და სად ქართველი ხალხის მდგომარეობაო! გარეგნულად ასეთი მიდგომა სიმართლეს შეიცავს და დამაფიქრებელია. შეძლების გვარად მსურს ავხსნა: ისტორიულად სოციალისტური მოძრაობის დასაყრდნობი ბაზა არის, ეკონომიურად განვითარებული ქვეყნები, ე. ი. დასავლეთ ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა. ვინაიდან ბურჟუაზიული წყობილება თავის წიაღში ატარებს უსამართლობის ელემენტებს; აქედან იბადება „კლასთა ბრძოლა“, ან ვ. ჰუგოს სიტყვებით რომ ვთქვათ, „ღარიბების ლტოლვა სიმდიდრისაკენ“, საზოგადოთ, მატერი-

ალური პირობები ამ ქვეყნად მთავარია, ამ პირობებით აიხსნება თვით ომების არსებობა.

60 თუ 80 წლის წინათ, მუშები და გლეხები იმყოფებოდნენ მეტად უმწეო და უნუგეშო მდგომარეობაში, ამიტომ ადგილი ჰქონდა მუშების და გლეხების გაბედულ ბრძოლებს. ამ შეჯახებებს ჰქონდა პოზიტიური მიღწევები, მაგრამ ამ ჟამად, ნუ შევჩერდებით ამ საგანზე, სჯობია სხვა დროს ვილაპარაკოთ. რაც ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ: თვით ბურჟუაზიას აღმოაჩნდა დიდი უნარი დათმობის, შეგუების, შინაგანი გარდაქმნის შესაძლებლობის, საბოლოოდ გამოიჩინა კულტურული სიმწიფე. მოხდა სოციალური რეფოფრმები, სოციალიზმის დასაყრდნობი პროგრამის განხორციელება, რაც სოციალისტურ მოძრაობას ახალ პირობებში აყენებს. ბურჟუაზიამ დაინახა, რომ სოციალური დათმობები აუცილებელია და საბოლოო ანგარიშში პოზიტიურ შედეგებს იძლევა. ამიტომ არის სოციალური წინ სვლის საჭიროებას აღარავინ უარყოფს. ავიღოთ რეფორმები კენედის, ან სხვა სახელმწიფო მოღვაწეების, გაკვირვებული დარჩებით მათი გამბედაობით. უპირატესობა ენიჭება ევოლუციას და არა რევოლუციას. გლეხი და მუშა დღეს საზოგადოების სრულ-უფლებიანი წევრია, ნივთიერად შედარებით უზრუნველყოფილია. ეს ევოლუცია იმედია მომავალშიც გაგრძელდება, ამის დანახვა ჩვენი ვალია. ინდუსტრიალურ ქვეყნებში ვეღარ ვხედავთ მარქსის და ემილ-ზოლას აღწერილ უმწეო მდგომარეობას, თვით სოციალისტური მოძრაობა ახალ ფორმებს იღებს და ახალ ტაქტიკას. უშედეგო, უმიზნო და ტყუილი, ან დემაგოგიური დარჩა ჩამორჩენილი ხალხების ასპარეზად. დღეს რომ საფლავიდან აღსდგნენ სოციალიზმის პიონერები, მებრძოლნი და ბურჟუაზიის შეურიგებელი ელემენტები, დღევანდელ რეალობას ვერც ერთი ვერ იცნობს. ცხადია, გასაკეთებელი ბევრია, ადამიანის მოთხოვნილებას საზღვარი არა აქვს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს რაციონალურად, თანდათანობით.

საქართველომ ღარიბმა, დიდათ ჩამორჩენილმა ინდუსტრი-

ალურად და ეკონომიურად, ბურჟუაზიული რეალობის გარეშე, როგორ მიიღო სოციალისტური დოქტრინა? ამას ხომ ახსნა სჭირდება, მით უფრო ჩვენი ერი ბუნებრივათ გონიერია და თავის ბედს ადვილათ ავრავის მიანდობს ნებით.

ჩვენი აზრით, სწორეთ დიდი სილარიბე, უმწეო მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი, ლოღიკურათ ქართველმა ერმა დაინახა ჩვენ პარტიაში. შეიძლება თქვენ მითხრათ, რომ ეს იმედი უსაფუძვლო იყო, მაგრამ ეს იქნებოდა კამათი და არა ახსნა.

მეორე: პარტიის უანგარო ბრძოლა და თავგანწირვა რომანოვების წინააღმდეგ, ჩვენ მოძრაობას უქსოვდა დიდათ დამსახურებულ ორეოლს. გაიხსენეთ არსენა ჯორჯიაშვილის გმირული აქტი, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ჩვენი პარტიის დევ-კაცები. ასეთი ნაბიჯი ეროვნული დაფნის გვირგვინს იძლევა.

მესამე: სოციალიზმი ყოველგვარ რეზერვის გარეშე, სწყვეტს ეროვნულ პრობლემას, კავკასიის დაპყრობაში მარტო სოციალისტებმა ალიმაღლეს ხმა.

მეოთხე: უნდა გამოვტყდე არ ვიცი საიდან მომდინარეობს, ან რა მიზეზია ჰუმანიზმის არსებობა ჩვენში. ამ მოძრაობას ჩვენ სინამდვილეში არც ვინმე იდეოლოგი ჰყავს, ისე როგორც ფრანგი ენციკლოპედისტები: დიდრო, რუსო, ვოლტერი, ალამბერი და სხვ. პაციფისტურ სკოლას ეკუთვნიან ისეთი ტიტანები, როგორც ჰიუგო, ჟორესი, ზოლა, ფრანსი, მარლო, მორიაკი და სხვ. გადახედეთ ჩვენ ლიტერატურას და განცვიფრებული დარჩებით: დიდმა ილიამ პარიზის კომუნას თანაგრძნობის ლექსი უძღვნა, ჩვენი მეგობარი ვლასა მგელაძე საბრძოლველად სპარსეთში წავიდა... „სარჩობელა“-ში მოხუც პეტრეს, ამ პრიმიტიულ კაცს, ისეთი საღი აზრები და მსჯელობა აქვს, რომ ნობელის პრემია ერგებოდა. სწორედ სოციალიზმი არის სინონიმი ჰუმანიზმის ანუ კაცთ-მოყვარეობის.

ყველა ეს ძირითადი პირობები საკმაო აღმოჩნდნენ, რომ ქართველ ხალხს ნდობა მიეცა მათთვის. გულწრფელად რომ ვთქვად საწინააღმდეგო ძალას ვერცა ვხედავ. ვიცი შემეკითხე-

ბიან ჩვენი ქვეყნის ნაციონალიზმე და მის რეაქციაზე. ჩვენი აზრით, ჩვენი ქვეყნის ნაციონალიზმი ჯერ ახალგაზრდაა, იკვებება ფეოდალური საქართველოს ნაშთებით და მთავარი ის არის, რომ ის ველარა პოულობს ჩვენი ეპოქის პასუხს.

მშრომელი ელემენტები, ე. ი. უმრავლესობა, გვინდა თუ არა, პრაგმატულ შედეგებს მოითხოვს, როცა ერს მიეცემა ღირსეული ცხოვრების პირობები, მხოლოდ მაშინ წამოიჭრება ესტეტობა, წარსულის მკრთალი სურათები, მამა-პაპური ნანგრევები, ან წარსულის გაცნობა. ბუნებრივად მიიზიდავს ქართველის სულს და გონებას, მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში საჭიროა თანამიმდევრობითი რიგი დავიცვათ.

ცნობისთვის აღვნიშნავთ, რომ მთელი რიგი ერები ცდილობენ სოციალისტური რეჟიმის დამყარებას, ბურჟუაზიული წყობილების გარეშე. მაგ. ნაწილობრივ შვეცია, დანია, იუგოსლავია ან ზელანდია.

თანამედროვე საზოგადოების ბუნებრივი მემკვიდრე არის სოციალიზმი. ამ დარგში დღეს კამათი ალარ არის, ვინაიდან სოციალიზმი არის მომავალი კულტურა, ხილული სამყაროს პრობლემების გადამჭრელი. როგორი იქნება ქართული ახალგაზრდა ბურჟუაზია ან სოციალიზმი, არავინ უწყის. ჩვენ ამ ეპოქას ველარ მოვესწრებით. უფრო გონიერი იქნება აქ შევჩერდეთ.

ვინაიდან მომავალ რიგიან წყობილებაზე ვლაპარაკობთ, მსურს ადამიანთა შორის არსებულ უთანასწორებაზე ცოტა რამ მოგახსენოთ. ჩემ ახალგაზრდობაში გვაჯერებდნენ, ერთგვარ მატერიალურ თანასწორობაზე, რომელსაც ვითომ სოციალიზმი დაამყარებდა. ამგვარი აზროვნება არის ზღაპარი, შეუძლებელი, თანაც უსამართლოა, ან მოგონილი შურიან დემაგოგებისაგან. მე არაფერს ვიტყვი უფლებრივ სფეროში, რადგან ეს პრობლემა მოგვარებულია ცივილიზაციურ ქვეყნებში, თუმცა შერჩევა აქ ხდება ნიჭიერების და ღირსეულების. ხოლო გონებრივ სფეროში წარმოუდგენელია, შეუძლებელი და არც დასაშვები. ჯერ ერთი ბუნება არის ავტორი უთანასწორობის. აიღეთ ლამაზი

და გონჯი; ახოვანი და ჯოჯო, ნიჭიერი და უნიჭო, ხოლო განსხვავება შემოქმედების სფეროში დაუჯერებელია. აიღეთ ორი გლეხი ან მუშა ერთნაირ პირობებში, შედეგები მსგავსი არ იქნება. ამ ქვეყნად მუდამ იქნებიან მხატვრები, მწერლები, ექიმები, მოქანდაკეები, ასტრონომები, არქიტექტორები და სხ. ასეთი რჩეულები, სერიის გარეშე ადამიანები, ფატალურად უფრო დაჯილდოვებულნი იქნებიან საზოგადოების მიერ მატერიალურად. ეს ხომ სრულიად სამართლიანი იქნება, რასაც მიემატება ადამიანური დიდება მათ მიმართ. ამ შესაძლებლობის სფეროში წარმოუდგენელია დავა. მატერიალური უპირატესობას ემატება gloire, დაყრდნობილი სამაგალითო შემოქმედებაზე, რომელიც საუკუნოებით კვებავს ადამიანებს.

დღეს ევროპა-ამერიკაში აღარ არიან ე. წ. „ღვთიური უფლების" პატრონები. მუშამ, გლეხმა, გონებით მომუშავეებმა, მოიპოვეს ბევრი უფლებები; ზოგი ბრძოლებით, ზოგი ბურჟუაზიის დათმობით, რაც სოციალიზმს არ გაუთვალისწინებია. როგორც შესაძლებლობა. თვით კლასთა ბრძოლა ახალ ვითარებაში ვითარდება. კურიოზული არის, ერთი პარადოქსი: ჩვენი მოძმე ევროპიული სოციალისტური პარტიები, თავიანთ პროგრამაში მოითხოვდნენ ეტატიზაციას, როგორც სოციალურ წინსვლის ეტაპს. სწორეთ ამ სახელმწიფო დაწესებულებებში, როგორნიც არიან: რენო, მეტრო, ოტობუსები, მოხელეები, თქვენ წარმოიდგინეთ თვით პოლიციელები, მასწავლებლები, ან ელექტრონ-გაზის მუშები იფიცებიან ყველაზე ხშირათ, ვიდრე კერძო წარმოებები. ჩვენი მოყვანილი მაგალითი მოწმობს, რომ ჩვენი მოძმე პარტიების მიერ წამოყენებულ პროგრამის უვარგისობას, მით უფრო ზემოთ დასახელებულ დაწესებულებებში, არ არსებობს მოგება, როგორც მიზანი, რაც ამტკიცებს დოქტრინალურ საეჭვო შედეგებს. ნურავინ დამწამებს საზოგადოების ზერელე იდეალიზაციას, გასაკეთებელი ბევრია,, მაგრამ ზოგიერთი მიღწევების დანახვა, უბრალო პატიოსნების საკითხია. როგორც მეცნიერულ სფეროში მიჯნა არ არის წინსვლისთვის, ამა-

ვე კანონმდებლობას ემორჩილება ადამიანების სოციალური ცხოვრებაც. 20-ცე საუკუნის დასაწყისში, სოც. დემ. პარტია მარტო სოციალურ-პოლიტიკურ კითხვებს აყენებდა. ჩემი დაკვირვებით ეროვნულ საკითხს არც სხვა პარტიები აყენებდნენ. ეროვნული პრობლემა წამოაყენა და ნაწილობრივ მოაგვარა პირველმა მსოფლიო ომმა და მეორე მსოფლიო ომმა რადიკალურად მოაგვარა, რუსეთის გამოკლებით. საზოგადოთ, თუ ომი დიდი საკაცობრიო უბედურებაა, არის მთელი რიგი ცვლილებები, რომელიც ომების შედეგია. პირველ მსოფლიო ომამდე რუსეთი ისე მაგარი გვეჩვენებოდა, რომ მისი დანგრევა არავის გაუთვალისწინებია, თუმცა ნიჭიერი ადამიანები გვყავდა. წარსულში, ამის გაუთვალისწინებლობა არავის ცოდოთ არ ჩაეთვლება. მომავლის გათვალისწინება არავის შეუძლია. შეიძლება რამე იწინასწარმეტყველო და ის გამართლდეს, ეს იქნება შემთხვევითი და არა რაიმე თეორიის გამართლება. როდესაც პირველ რიგში ეროვნული პრობლემა დადგა, ჩვენი პარტია არ ჩაჭრილა, არც სხვები. ხდება მეთოდიური ჩამოყალიბება ჩვენი ერის და მიემართება დასავლეთისკენ. გზა რაციონალური და სწორი, პირდაპირი წყარო ცივილიზაციისა. თვით ჩვენი დამოუკიდებლობის აქტი იყო, მეთოდიური, თანდათანობითი განვითარება რუსული ორიენტაციის საწინააღმდეგო აზროვნობის. ჩვენი დამოუკიდებლობა ჩანსახი იყო, იმ იდეის, რომელიც ილიამ სამემკვიდრეოთ დაგვიტოვა: „ჩვენი თავი, ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო“. ეს ისტორიული პაემანი რუსეთმა ჩაშალა. როდემდის?

რუსეთის პრიმიტიული აზროვნების სიბეცეს და მის ეგოიზმს ამტკიცებს. ჩეხების ეროვნული დრამაც 1968 წ. მათი „გაზაფხულის“ მოძრაობას საფუძვლად დაედო „ადამიანური სოციალიზმის სახე“, რაც ბუნებრივად გულისხმობს არა ადამიანურ წყობილებას რუსეთში. ჩეხების ეს სამი სიტყვა იყო ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამა, რაც სინამდვილეში შეიცავდა რუსეთის ჩამოშორებას ყოველ დარგში. ეს ისტორიული სილა რუსეთმა ვერ მოინელა, ამიტომ გაგზავნა ტანკები, მაგრამ როდე-

მდის? ჩეხები მარტო ხომ არ არიან ამ ვეებერთელა ტერიტორიაზე.

ჩვენი ერი გუმანით გრძნობდა, რომ ჩვენი და რუსეთის გზები ერთი-მეორეს შორდებოდა, რომ იწყებოდა ახალი ეპოქა, — ერთა განთავისუფლების, რომელიც, თითქმის დღეს დასრულებულია და რომელიც რუსეთმა ვერ შეიგნო. ეროვნული დამოუკიდებლობა, ვიწრო პოლიტიკიურ მიზანს არ გამოხატავს, ეს მისი შინაგანი და საგარეო გარდაქმნაა, თავის თავად ეს უარყოფაა უცხო დომინაციის, ჩვენთვის მიუღებელია რაიმე იდეოლოგიის სახელით, ქართველების ფიზიკური განადგურება, გონებრივი დამოკიდებულება, ჩვენ გვინდა ერის აყვავება და კულტურა, ჩვეენი ოცნება შესაძლებელია, მაგრამ არ იფიქროთ ეს იყოს ავტომატიური. რადგან ჩვენი ქვეყნის დამპყრობელნი ცდილობენ ჩვენ ერში მოადუნონ ნებისყოფა, ახალგაზრდები აღზარდონ საეჭვო იდეოლოგიით, შორეული ანგარიშით, ჩვენ ერს ნებას ~~ეს~~ აძლევენ წარსული უხვად აქონ, ქართული ბუნება პოეზიის საგანი გახადონ, ამრიგად ამ უცოდველი „პატრიოტული" რწმენით ხალხი დაათრონ, მაგრამ 20-ცე საუკუნის პრობლემები განგებ დავიწყებულია, მიჩქმალულია და სცენაზე ვხედავთ უბრალო ტიკინებს, რომლებიც არავის აინტერესებს, თვით კომუნისტებსაც. 20-ცე საუკუნის ადამიანების პრობლემები, ეროვნული საკითხი და ქართველების სოციალისტური კითხვები, აი ჩვენი ამოცანა.

ახლო წარსულს რომ დაუბრუნდეთ, რუსეთის ომში ჩარევა გათვალისწინებული არ იყო. არც მისი დამარცხება, არც სამოქალაქო ომის საშინელებანი და არც ბოლშევიზმის გამარჯვება, რომლის სისხლიან ანგარიშებს დანტეს კალამი სჭირდება, თუმცა ყველა ჩვენგანმა საკუთარ სხეულზე გამოვცადეთ. საბოლოო ანგარიშები ერების დამოუკიდებლობა რუსეთის ტერიტორიაზე. ეს ბუნებრივი, თავდაცვითი მეთოდია, რასაც ემატება სხვა ფაქტორებიც. დიდი ერების ცხოვრება ეგოისტურ მეთოდებს ემორჩილებიან, რაც დიდია სახელმწიფო, მისი პო-

ლიტიკაც გაზრდის და გაფართოვების ზრახვებს ემორჩილება. ნაპოლეონი, ჰიტლერი, ლენინი და სტალინი, ან ცეზარი და სხვა და სხვა იდეოლოგიის სახელით, ემსახურებიან თავიანთ ეროვნულ ეგოიზმს, თავიანთ ერებს. პატარა სახელმწიფოები არავის ემუქრებიან, არავის სტანჯავენ, ქმნიან გემებს, ყვავილებს, ან სხვა უტილიტალურ საგნებს. ამ ერების წყალობით არსებობს წითელი ჯვარი, ემიგრანტების დაცვა, მეცნიერულ ლიტერატურული პროგრესი (ნობელის პრემია, ანუ საჩუქარი). აი, სად გვინდა ვიხილოთ ერთ დღეს ჩვენი ერი.

თვით რუსეთს კარგად გაგებული ინტერესები არ მოითხოვს. ასეთი რეჟიმის არსებობას, რომელსაც ამდენი სისხლი და ცოდვა აწევს. დიდი ერის ცხოვრებაში არის კოლექტიური სიგიჟის მომენტები, რაც გამოიხატება უსამართლოდ დაღუპულ ადამიანების რაოდენობაში. ჩვენ შეგნებულად არას ვამბობთ ომების გარშემო, რადგან ძნელია დავამტკიცოთ: თუ რომელი ომი არის „სამართლიანი“, „აგრესიული“, ან „თავდაცვითი“.

საილუსტრაციოდ ავიღოთ ჩვენი მეორე სამშობლო საფრანგეთის ისტორიული ეპიზოდები: რევოლუცია, რელიგიული ომები, კომუნა, ან კოლონიალური კრიზისები.

პატრიოტიზმის სახელით, რობესპიერმა თავები დააყრევინა; დანტონს და მის მეგობრებს. ექვსი თვის შემდეგ, პატრიოტიზმის სახელით ეშაფოტზე ავიდნენ რობესპიერი და მისი მეგობრები.

ასეთივე უსამართლობის ბეჭედი აზის რელიგიურ ომებს, როცა კათოლიკეები და პროტესტანტები შეუბრალებლათ ებრძოდნენ ერთი-მეორეს.

კომუნამ ორივე მხრიდან იმსხვერპლა ოცი ათასი ადამიანი. ამგვარივე უსამართლობის მსხვერპლნი იყვნენ ალჟირის პატრიოტები. დავაკვირდეთ ეხლა კეთილ-შობილ ერის რეაქციას და მოქმედებას. ეროვნული ტრაგედია ყოველთვის იწვევს ჯერ საყოველთაო მწუხარებას, გლოვას, შემდეგ ხდება ამნისტია და ბოლოს საერთო სინანული. დღეს არც ერთი ფრანგი არ იკადრე-

ბს გაამართლოს რევოლუციის სიგიჟე.[3] ამავე გულწრფელობით დასტირის რელიგიური ომების მსხვერპლებს, კომუნის თუ ალჟირის გულისათვის დაღუპულ ადამიანებს. იცით თუ არა, გენერალმა ფრანკომ ერთად დამარხა, ორივე მხარის მებრძოლი ძმები; ერთნაირი პატივისცემით და გულწრფელი სინანულით. აი, როგორ იქცევიან კულტურული ერები, მათ აქვთ უნარი ამაღლებისა, რაც მთავარია შეცდომის აღიარების. არავის შეუძლიან დამისახელოს რუსეთში ასეთი მაგალითი. ამის შემდეგ, ჩვენ გვისაყვედურებენ, რათა ვართ ანტირუსოფილები: სწორედ იმიტომ, რომ ამ ერში სისხლი და ბოროტება, სახელმწიფო ინსტიტუციად არის ჩამოყალიბებული და აქვს პერმანენტული ბუნება, რაც ანტითეზაა ლათინების და საქსონების ბუნებისა.

გონებრივად განიარაღებული ვართ, როცა რუსეთის ცხოვრებას თვალს ვადევნებთ, მით უფრო, რომ, არამც თუ წარსულში, აწმყოშიც ვერა ვხედავთ მკრთალ იმედს, რომ ის შეიცვლება. ხრუშჩოვი, რომელიც 11-ტი წლის განმავლობაში რუსეთის მმართველი იყო, მის დასაფლავებას 120 კაცი დაესწრო, ამ მიცვალებულის ბედი ჩვენ არ გვაინტერესებს, ამით მხოლოდ გვსურს აღვნიშნოთ ფაქტი, რომელიც მარტო რუსეთში შეიძლება მოხდეს.

ჩვენის აზრით, 1924 წლის აჯანყება, თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობით, რელიეფით, თავდადებით, გარკვეული ნების ყოფით, შეიძლება წინ უსწრებდეს 1918 წ. 26 მაისს. ისტორიულად, დამოუკიდებლობის აქტს, წარმოშობილ ჰუმანურ ფონზე. მას ზედ დაერთო გრანდიოზული მომენტი, ეს იყო აგვისტოს აჯანყება თავისი ტრაღიკული შედეგებით. აგვისტოს აჯანყებას ისეთი სიმძიმე შემოაქვს ჩვენი თაობის ცხოვრებაში, რომ სიტყვიერად არ გამოითქმება. მეც ამ აჯანყების მონაწილე ვარ. ერთი საჭირო დიეერსია მინდა მოვახდინო: მორალურად ძნელი ასატანია. როდესაც აჯანყების დამარცხების მიზეზათ ჭიათურის ნაადრევ გამოსვლას ასახელებენ, რომელმაც, ვითომ, მტერი გააფრთხილა . . . მსგავსი აზრი გამოსთქვეს „დამკომის“ წე-

ერებმა, განსვენებულმა სოლომონ ზალდასტანიშვილმა და სხვებმა. მსგავსი მსჯელობა არის მებრძოლის ბუნებრივი რეაქცია, ადვილი ხელმოსაკიდებელი საბუთი, მაგრამ მიდგომა ყალბი, შემცდარი, დასკვნები საეჭვო . . .

საფრანგეთის უკანასკნელი აჯანყება მოხდა 1830 წ. აქედან მოყოლებული არც ერთ აჯანყებას არ გაუმარჯვნია, მიუხედავათ მებრძოლების თავდადებისა. მიზეზი უბრალოა: მთავრობა არის შეიარაღებული, ხალხი კი განიარაღებული და მარტო სამართლიანი აღელვება არ კმარა გასამარჯვებლად.

მაგალითად გამოდგება კომუნა, ბიაფრა, საბერძნეთის აჯანყება, კრონშტატის ტრაღედია, პოლონეთის მრავალი გამოსვლა, უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის ტრაღედიები და თვით საქართველოც ხომ მაგალითია უბედურ აჯანყებისა.

ერთმა გულშემატკივარმა მეგობარმა გვირჩია აჯანყება არ მოგვეხდინა, რადგან ამბოხების აპარატი ისე რთულია, რომ სადმე ერთი მანჭვალი გიღალატებთო.

1924 წლის აჯანყების, ვითომდა, საიდუმლო მხარეს უარყოფს ვალიკო ჯუღელის გამოსვლა. გან. ჯუღელმა, რომელიც აჯანყების სამხედრო მეთაურად ითვლებოდა, ორი თუ სამი კვირით ადრე, გაზ. „კომუნისტში“ გამოაქვეყნა წერილი და მეგობრებს ურჩევდა გამოსვლის გადადებას, რადგან „ჩეკამ“ ყველაფერი იცის და აჯანყებას მარცხი მოელისო. კიდევ მეტი: ჩეკამ საგანგებო დავალებით გამოუშვა გერმანე ლლონტი, რომელსაც „დამკომი“ უნდა გაეფრთხილებინა. მოხდა მეტიც: ახალგაზრდა სოციალისტების კომიტეტმა, სადაც უაღრესად ნიჭიერი ყმაწვილები იყრიდნენ თავს, ჩვენი ცენტრალური კომიტეტი წერილობით გააფრთხილა, შესაძლებელი დამარცხების აუცილებლობაზე.

ამდენ საბუთებთან, რა წონის არის ჭიათურის ადრე გამოსვლა? ხომ ნათელია მმართველებმა ყველაფერი იცოდნენ. ცხადია, ჭიათურის ამბავი მარცხია, მაგრამ არა გადამწყვეტი. ფაქტია, რომ განმარტოვებული ვიყავით, მეზობლებისაგან მიტო-

ვებული; იარაღი ჩვენ არა გვქონდა, არც არავინ მოგვცემდა; ჰიათურაში მართალია ხელთ ვიგდეთ თოფები, მაგრამ უვაზნოთ, ამით აიხსნება, რომ რუსის ჯარს შებრძოლება ვერ გაუბედეთ, მიუხედავათ ჩვენი სიმხნეევისა. უარეს პირობებში იყო აღმოსავლეთ საქართველო, დიდი ქალაქები საუბედუროთ ვერ ავიღეთ.

დაუშვათ, რომ მთელი საქართველო ამბოხებულების ხელში გადასულიყო, განა ეს იქნებოდა სრული გამარჯვება? რუსის ჯარი ხომ სულ ახლო იყო და ახალ-ახალი მარაგით გამოგვაცლიდნენ ხელიდან ძვირად მოპოვებულ გამარჯვებას.

დიდი სახელმწიფოები თავიანთ სტრატეგიულ გეგმას მისდევენ და პატარა ერის ბედი მათ იშვიათად აინტერესებთ. განა ამერიკის ძლევამოსილი ფლოტი სულ ახლო არ იყო უნგრეთთან, თუ კი სურვილი ჰქონდათ მოხმარებისა? როგორც ვნახეთ ეს სასწაული არ მოხდა: ევროპა-ამერიკამ წითელი ჯვრის საშუალებით, აჯანყებულებს შოკოლადი და ჭინჭები შესთავაზეს! თვით ბიაფრას სამი წელიწადი დასჭირდა, რომ ბავშვების ბედით ვინმე დაეინტერესებინა. ჩვენ კი ამის იმედიც არ უნდა გვქონოდა. რუსულ ჯარს წინ არაფერი დაუდგებოდა, საიდანაც არ უნდა მიუდგეთ ამ პრობლემას, აჯანყება მაინც განწირული იყო. შეეძლო „დამკომს“ და ეროვნულ მთავრობას კატასტროფის თავიდან აცილება? არავინ უწყის, პასუხისმგებელი ხალხი ყველა განვიდა ამა სოფლიდან და ჩვენ არც კი ვიცით, რაოდენობა სპონტანიური მოძრაობისა და ორგანიზაციული ელემენტების და ამიტომ ვსვამთ წერტილებს. რაც უდავოა, ხელისუფლებას არ უნდა ჩაედინა ასეთი გენოსიდი. მტერს არ ჰქონდა უფლება ჩვენი ქვეყანა საყასბოთ გადაექცია. უბედურებასაც აქვს მიჯნა, რომელსაც ჯალათებიც კი არ უნდა გადასცილდნენ. რით აიხსნება ქართული გვარების მატარებელ გარეწარებიდან ასეთი სისხლის წყარო, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება?

სულ სხვა ფაქტორებს ემორჩილებიან აფრიკის და სამხრეთ ამერიკის გადატრიალებანი, რომელსაც ახდენს რეგულიარული

ჯარები. ჩვენთვის არც ის მაგალითი გამოდგება, რაც ფრანგებს აფრიკაში დაემართათ და აზიაში ამერიკელებს. როცა ალჟირი იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, მთელი ას მილიონიანი არაბების არსენალი და ფული მათ განკარგულებაში იყო, აგრეთვე საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი. ამავე მოვლენას ვხედავთ ინდო-ჩინეთში. აჯანყებულებს არ აკლია დახმარება რუსეთის, ჩინეთის და ჩრდილო ვიეტნამის. ამას ზედ ერთვის ნიადაგის თავისებურება და ამერიკის საზოგადოებრივი აზრი, ამიტომ ეს ომი არ არის პოპულარული.

დღევნდელ პირობებში აჯანყებით, ან ომით დამოუკიდებლობის მიღება აღარ არის იდეალური საშუალება. ინგლისმა, საფრანგეთმა, ჰოლანდიამ გაანთავისუფლეს ასეული მილიონები თავის ნებით, ყოველგვარი ომების გარეშე.

რა ანგარიშია რუსებისათვის ამდენი არა რუს ერების თავის სახელმწიფოში ძალით ჩაჭედვა? ამ ისტორიულ ლოღიკას ვერ გებულობს რუსული გონება. ეს არის ყველაზე დამაფიქრებელი პრობლემა. რუსეთს რომ შეეძლოს გონებრივი დომინაცია, კულტურული ბატონობა, კიდევ გავიგებდით, მაგრამ „დედა“ რუსეთი, ამ სფეროში, ჩამორჩება მრავალ ერებს, რომლებზეც ის გაბატონებულია მხოლოდ ფიზიკური ძალით. მარტო სტრატეგიული, ან ეკონომიური ანგარიშები კი არა კმარა სხვა ერებზე საბატონოთ!

ზოგიერთები მიგვითითებენ რუსეთის რევოლუციის და კომუნიზმის მიღწევებზე. ჩვენი, ქართული ბუნება, ყურადღება, გონება და გული დახშულია ასეთი საზრდოს მიმართ. ჩვენ არ გვინდა ასეთი მოწამლული საჩუქრები, ჩვენ არ გვიზიდავს კომუნიზმის „სხივოსნობა“, რომელიც თავის არსში რუსულ იმპერიალიზმს ატარებს.

ქართული ემიგრაცია

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შემომქმედი ემიგრაცია არ მოსჩანს. მართალია 19-ტე საუკუნის დასაწყისში ბევრი ქართველობა გადაასახლეს რუსეთში, უმთავრესად ბრწყინვალე წოდების წევრები, მაგრამ, ყოველშემთხვევაში, ამ ემიგრაციის შემოქმედება უმნიშვნელოა, განსაკუთრებით პოლიტიკურ დარგში.

ჩვენი საუკუნის ემიგრაცია არის პოლიტიკური და ეროვნულად შედეგებული ძალა, რომელსაც ასაზრდოვებს ეროვნული აღტყინება, უცხო მპყრობელის სიძულვილი და არა პრივილეგიური, ან მატერიალური ანგარიშები. ამაშია მისი ძალა და ნების ყოფა. ჩვენი ერის ემიგრაცია ქართველი ხალხის იდუმალი მესაიდუმლეა; თვით კომუნისტებიც კი ვერაფერს უბედავენ. როდესაც იძულებული ვიყავით სამშობლო მიგვეტოვებინა და ოსმალეთში მოვხვდით, სირცხვილით ვიწოდით, ისე ვიყავით დაძონძილი და ჯიბე ცარიელი. კეთილშობილმა საფრანგეთმა, თუ სხვა ქვეყნებმა თავიანთი ქარხნების კარები გაგვიღეს, მძიმე სამუშაოებით, მაგრამ მაინც არსებობის შესაძლებლობა მოგვცეს. ეს გარემოება აღსანიშნავია, რადგან მოწმობს რა მაღალი იდეალებით შევეხიზნეთ უცხოეთს და აქედან გამორიცხული იყო რაიმე ანგარებიანი მოსაზრებები. ჩვენი ემიგრაცია არის ეროვნული და არა რომელიმე პრივილეგიური კლასის მეაბჯარე. დევნილი ქართველები მდიდრები ვართ მხოლოდ იდეებით. ჩვენმა ემიგრაციამ ბევრი გააკეთა საქართველოს ინტერესებისათვის; მან შესძლო ევროპის საზოგადოებრივი აზრის აღელვება ჩვენი დამპყრობელის წინააღმდეგ, რაც ადვილი მისაღწევი არ არის. რუსეთის სახელმწიფო ცხოვრებამ, ჩვენს საუკუნეში ჩაიდინა მრავალი სიბოროტე; შეუძლებელია ისტორიამ ის არ დასაჯოს. ლენინის ხანის სიბოროტეა საქართველოს ტრაგედია, სტალი-

ნის ეპოქის უპატიებელი ცოდვაა ფინეთის ბედი, ხოლო გაუგონარი ბარბაროსობა უნგრეთის მიმართ ეკუთვნის ხრუშჩოვს, ჩეხო-სლოვაკიის ტრაგედია კი ბრეჟნოვ-კოსიგინის „მიღწევაა". ამრიგი ცოდვებით არის დატვირთული რუსეთის იმპერია რასაც ზედ ერთვის რეჟიმით გამოწვეული ცხოვრების ჯოჯოხეთური პირობები.

ქართული ემიგრაციის შემოქმედება მრავალია. ჩვენ ხაზი გაუსვით მხოლოდ ეროვნულ მომენტს, რადგან მთავარი ეს არის. ამ მხრივ რაიმე გახრას, იმედის დაკარგვას ადგილი არ ჰქონია. ჩენ სიმტკიცეს კვებას საქართველოს აწმყო და მოცაცალი და ჩვენ არ შეგვიძლიან დავივიწყოთ დაღვრილი ქართული სისხლი.

ქართულ ემიგრაციაში მოიპოვებიან აპოლიტიკური პირებიც: გულგატეხილნი და იმედ დაკარგულნი, როგორც ეს არის ყველა საზოგადოებაში. საკვირველია, რომ ვერც ერთი ვერ ბედავს საბჭოეთის ნდობას, ვერც პოლიტიკურად და ვერც ეკონომიურად. საკუთარ სამშობლოში მიდიან ტურისტებათ. ვერა გრძნობენ, რომ ასეთი მგზავრობა დამცირებულია ეროვნულად. დაბრუნებულები ამბობენ, ან სწერენ: საქართველო ლამაზი ყოფილა და ქართველები სტუმართ მოყვარენიო. საცოდავები... ამისთვის განა მოგზაურობა იყო საჭირო? სადაოა არა ქართველი ადამიანის ბუნება, არამედ რუსული რეჟიმი... ვწუხვართ, რომ ამ ხალხს ათი სტრიქონი მაინც შევწირეთ, იმენად უმნიშვნელოა მათი რიცხვი და ღირებულება.

სულ სხვა საკითხია უცხოეთში დაბადებული ახალგაზრდობის ბედი. მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ შორეულ სამშობლოზე. აქვთ ქართული ბუნების ელემენტები... მაგ. ისენიც ისე ცეკვავენ, როგორც ბ-ნი სუხიშვილის მოწაფეები. ვინაიდან სამშობლოს სიყვარული რეალური მცნებაა და მთელი რიგი საბუთებით ჩვენ მომხრე ვართ, იხილონ თავიანთი ქვეყანა ამ ახალგაზრდობამ და შეიყვარონ იგი. რა თქმა უნდა, ყოველგვარი დაწოლის და პროპაგანდის გარეშე.

ემიგრაციის წარმოშობის ისტორია, ან მისი გამომწვევი

მიზეზები ბევრ ადგილს მოითხოვს და ამიტომ იძულებული ვართ მას მხარი აუქციოთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ქართული ემიგრაცია წინამორბედია საქართველოს მომავლისა. ჩვენ არა ვართ დაღლილი ესტეტები, ან ცხოვრებას ჩამორჩენილი მეოცნებეები. დღევანდელ ეპოქაში რიგიანად გაგებული ერთა დამოუკიდებლობა ამ საუკუნის მოთხოვნილებაა და რუსეთმაც ამ ფონზე უნდა დაიჩოქოს. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ხვალ საქართველო განთავისუფლდეს, ჩვენ ვერავითარ როლს ვერ ვითამაშებთ, ჩვენ ადგილს დაიკავებს ახალი თაობა. მებრძოლის როლი იქ თავდება, როცა იდეა იმარჯვებს. ამის საუკეთესო მაგალითია იტალიის გაერთიანება, გამარჯვებულ ერს აღარ დასჭირდა არც ორლანდო, არც გარიბალდი, არც მაზინი და არც მათი თანამებრძოლები. ერის ცხოვრებაში არის განწირული თაობა . . . ან კი რა არის მარადიულობისათვის ერთი თაობა? მხოლოდ წვეთი ზღვაში.

ჩვენს იდეას გამარჯვება უწერია, რადგან მას ასაზრდოვებს აბსოლუტური ჭეშმარიტება. ეს არის ჩვენი ეპოქის განაჩენი. რუსეთს შეუძლიან ამ განაჩენის მოყვანა შეაფერხოს, დრო მოიგოს, მაგრამ ისტორიულ აუცილებლობას ვერ გაექცევა.

ამ მესიანურ პოსტულას ემყარებოდა გაბნეული ებრაელობა, რომლებმაც დღეს სამოთხედ აქციეს უდაბნო და შექმნეს ღმრსეული ერი და სახელმწიფო. მომავალში, საქართველოსაც, ალბად ექნება რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა, თუ კი ის ამაღლდა ეპოქის მოთხოვნილებამდე და განიმსჭვალა მეზობლობის გრძნობით.

ისტორია გვასწავლის, რომ ერების დაპყრობა, სისხლიანი რეჟიმი, ადამიანების ფიზიკური მოსპობა, საბოლოოდ არავის შერჩენია. ამ პოსტულას ემყარებოდა ქრისტიანული მოძრაობა და მრავალი ეროვნული აღტყინება. სამყაროში არის რაღაც მისტიური ძალა, ხორც შესხმული სამსჯავრო, რომლის პროლოგი არის გამარჯვება.

სტალინის შემოქმედების უარყოფის ცდები, თერთმეტი

წლის ხრუშჩოვის პოლიტიკის საეჭვოდ მიჩნევა, მჭერმეტყველური ფაქტია, რუსული ეროვნული პოლიტიკის დაბნეულობის, ეს არის ცდა პასუხისმგებლობის აცილების. ქართველებისათვის ამ რუსულ ანარქიაში, პოზიტიურს ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ ასეთი მოვლენა არანორმალურია, გაუგებარი, რომლის მაგალითი ისტორიას არ ახსოვს.

რუსული რევოლუციის შემდეგ იშვა გაერთიანებული, თავის თავის პატრონი საქართველო. მას ყველაფერი მოეპოვებოდა, რომ გაძლიერებულიყო ეკონომიურად და ინდუსტრიალურად ის შექმნიდა მაღალ კულტურას, რომ რუსეთს კვლავ არ შეეჩერებინა მისი არსებობა. ჩვენი ეროვნული უბედურება ის არის, რომ ამ ჟამად ჩვენ ქვეყანას არ მართავს „ჯიგრიანი" ქართველები, არამედ საოკუპაციო ხელისუფლების მორჩილნი, უბადლო ავტომატები, უსულო და უგულო ადამიანები. ამ ფაქტს ჩვენ მწუხარებით აღვნიშნავთ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ სამშობლომ და მისმა მოქალაქეებმა უნდა იარსებონ, ამიტომ საქართველოს დღევანდელ მმართველებს შეუძლებელს არა ვთხოვთ. საჭირო კია ისენიც ფრთხილად მოიქცნენ და საბედისწერო მიჯნას არ გადასცდნენ. „ბაში-აჩუკი"-ში ვხედავთ „სპარსოფილებს", რომლებიც სინამდვილეში ოცნებობდნენ ქვეყნის განთავისუფლებაზე. სამწუხაროთ დაპყრობილ ერში მოღალატენიც იჩენენ თავს. 1924 წ. აჯანყების დროს, კვანტალიანს, მის ჯალათებს და ე. წ. „მთავრობას", არავინ ავალებდა ქვეყანა საპყრობილეთ და სასაკლაოდ ექციათ. აქ საქმე გვაქვს აუხსნელ სადიზმთან, რომლის თავიდან აცილება ქართული გვარის მატარებელ გარეწარებს შეეძლოთ. ასეთი ხალხის მიმართ შეურიგებელია ჩვენი პოზიცია.

გაიხსენეთ უნგრეთის აჯანყება 1956 წელს, ჩეხო-სლოვაკიის 1958, პოლონეთის 1970 და დაინახავთ, რომ ეს აჯანყებები ჩააქრეს ტანკებით, მაგრამ გათავდა რამოდენიმე ათეულის დახვრეტით; იმიტომ, რომ ადგილობრივმა კომუნისტებმა ხელი დააფარეს თავიანთ მცხოვრებლებს და რუსეთს არ დაანებეს

ჯალათობა. როგორ მოხდა, რომ ქართველმა კომუნისტებმა ასეთი ულმობელობა გამოიჩინეს ერის წინაშე?

საქართველოს დამოუკიდებლობა შემთხვევით არ მომხდარა. ცხადია, ის წარმოიშვა საგარეო ურთიერთობის ხელსაყრელ პირობებში, მაგრამ საჭირო ნიადაგი მომზადებული იყო. ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბებას ხელი შეუწყეს პოლიტიკურმა პარტიებმა. მეოცე საუკუნის ქართველებს აღმოაჩნდათ შემოქმედების და აზროვნების გოლიათები, როგორც: პრეზიდენტი ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ს. ჯიბლაძე, ნ. ჩხეიძე, ი. წერეთელი, ევ. გეგეჭკორი, ა. ჩხენკელი, კ. კანდელაკი, რ. არსენიძე და სხვ. ნიკო ნიკოლაძე, კოტე აფხაზი, სპირიდონ კედია, ვ. ზურაბიშვილი, გ. გვაზავა, ალ. სათიანი, არ. ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე, სიმონ მდივანი, ლასხიშვილი, მამაო ამბროსი, იაკობ გოგებაშვილი, ქართული თეატრი, ჩვენი პოეზიის ტიტანები ილია, აკაკი და ვაჟას მეთაურობით. თუ წარსულში დიდი დამსახურება აქვს, ჩვენი პოეზიის ქურუმებს, ამჟამათ ჩვენი მწერლობა დიდი ქების ღირსი ვერ იქნება, ჩვენდა სამწუხაროთ.

ქართულ სინამდვილეში, ჩვენ მიერ დასახელებული მოღვაწეები იყვნენ დიდი შესაძლებლობის, მათ მძლავრ მხრებს შეეძლოთ ეტარებინათ ჩვენი ქვეყნის ტვირთი. ასეთი თაობა იშვიათად იბადება. უკანასკნელი 50 წლის „მოღვაწეებზე" კი გადაფარებულია უვიცობის და არარაობის ზეწარი და თვით კომუნისტებისთვისაც შეუმჩნეველია მათი არსებობა, რადგან ერში ვერ დატოვეს რაიმე კვალი.

სიტყვამ მოიტანა დიდ ადამიანებზე, ანუ გენიოსებზე ლაპარაკი და რაგდგან ეს სფერო მუდამ მაინტერესებდა, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას: დიდი საიდუმლოებაა ჩვენთვის, თუ როგორ იბადება ასეთი გონების დისპროპორცია? ავიღოთ სამხედრო კაპიტნები: ცეზარი, ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონი, ტიურენი, მობანდი, მოლტკე, ან სხვა დარგში: ფიდიოსი, პრექსილერი, მიქელ-ანჯელო, რაფაელი, ტიციანი, ლეონარდო და ვინჩი, სერვანტესი, პასტორი, დანტე, ლე-ნოტრი, მოლიერი,

შექსპირი, რუსთაველი, ან ზოგიერთი დიდი მშენებელი მეფეები, ან პაპები, აინშტეინი, ბრონი, ბერტოლო ან სხვები.

ჩემ ახალგაზრდობაში გამიგონია „გენიოსებს ისტორია ქმნისო“, აი მორიგი სისულელე! ეს არის ზარმაცი გონების, ან შურიანი ადამიანების ახსნა-განმარტება. როგორ გინდათ ამ ცივილიზაციის შემქმნელ პირებს, ზურგს უკან მოუნახოთ „ისტორია“, ყოველ დროს და ყოველ ეპოქაში? წარმოუდგენელია უფსკრული ჩვენსა და მათ შორის, უბრალო კაცს რისთვისაც მთელი წლები სჭირია რომელიმე ხელობის შესასწავლად, მათ ამ ხნის განმავლობაში შექმნეს ეპოქები. ჩვენსა და მათ შორის დიდი ზღვარია. თუ ცხოვრების სცენაზე ასეთი დაუჯერებელი განსხვავებაა, როგორც ადამიანები, ჩვენზე უკეთესნი არ არიან. უბრალო ადამიანური სიწვრილმანე, უსათუოდ მათაც ექნებოდათ კერძო ცხოვრებაში. ანგარიშის ხალხი ექსპლოტაციას უკეთებენ, მაგ. მათ სიყვარულს და ისეთ ფერებში წარმოადგენენ, გეგონებათ დიდი ადამიანების ლოგინ ქვეშ იყვნენო, მაგრამ აქ საქმე გვაქვს ცინიკურ ვარჯიშობასთან და მეტი არაფერი. მინდა ერთი ლიტერატურული ლეგენდა მოგახსენოთ: დიდი გიოტე სიკვდილის დროსაც „სინათლეს და მზეს მოითხოვდა“. მეცნიერული დაკვირვების შემდეგ გამოირკვა, რომ მომაკვდავ გიოტეს ყოველგვარი აზროვნება დაკარგული ჰქონდა, სული ეხუთებოდა და იმიტომ მოითხოვდა ჰაერს, როგორც ჩვენ ვიზავდით მის ადგილას. დიდი კაცების ბუნებრივი გრძნობების ექსპოტაცია უბრალო ეულგარული ანგარიშია, მაგრამ თავისთავად არა მავნებელი.

ჩვენ თანამედროვე ქართულ მწერლებს ერისაგან დაფნის გვირგვინი არ ეკუთვნის. სამწუხაროდ, ჩვენში ის სიმხნეეც კი არ გამოუჩენიათ, რაც რუსმა მწერლებმა უკანასკნელ დროს გამოამჟღავნეს. მე კარგად ვიცი ზოგი მკითხველის რეაქცია, იტყვიან: შიშმა და ძალამ გასტეხა მწერლობა. შიშით ყველაფრის ახსნა არ შეიძლება. საუბედუროთ ეს მოვლენა შეიცავს სხვა, ადამიანისთვის უფრო დამამდაბლებელ საქციელს: ანგარება, გა-

ნდიდებისკენ ლტოლვა და სხვა ფარული ზრახვები. ვინ დააძალებდა მოხუცებულ ი. გრიშაშვილს, რომ ლ. ბერიაზე ეწერა ლექსები? რა პოეზიის საგანია ვინმე პოლიციელი? ან ვინ აძალებდა ჯ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილი" დაეწერა, რომელიც არსებითად „კონსომოლების", „კოლხოზების" ქებაა, ან პოლიტიკური დისერტაციები. საბრალო ნიჭიერმა პოეტმა პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა ბერიას შენიშვნაზე(?), იგივე იაშვილი პურმარილით შეხვდა თბილისში წითელ ჯარს 1921 წ. რატომ, ვინ დაავალა? ეროვნული ტრაგედიის მომენტში მას საკუთარი ხალხის ბედი უნდა გაეზიარებინა და არა მტერს წინ მიგებებოდა! პოეზიის ჯვარი მძიმეა, მწერლებს და პოეტებს პოლიტიკოსებზე უფრო მეტი პასუხიმგებლობა აწევთ. ძველ საბერძნეთში იყო სპეციალური კანონი, რომლის ძალით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ სამშობლოს წინაშე მცოდნე ხალხს. მახსოვს ჩვენმა პარტიამ სპეციალური დადგენილება გამოიტანა ოპორტუნისტების წინააღმდეგ, ისიც საქართველოში 1921 წ.

ჩვენ ვასკვნით: როგორც პოლიტიკაში, ისე პოეზიაში მოიპოვება ინდივიდუალური ნაკლი, მოკლებული პატიოსან გრძნობებს. საქართველოში ათასობით დაიღუპნენ უბრალო ეროვნული ჯარი კაცები, იმ დროს, როცა ჩვენი პოეზიის მესაჭენი მეტად დახურდავებულ თავმოყვარეობით კმაყოფილდებიან.

ჩვენ კარგად გვესმის დაწოლა, ტერორი, ჯოჯოხეთური პირობები, მაგრამ არის მიჯნა, რომლის იქით, იძულებას ცოტა გამჯრთლება აქვს... ანდა როგორი ეროვნული მოვალეობაა, სადაც ერთნი კვდებიან, ციხეში ლპებიან, მეორენი კი ჯალათების მეხოტბენი არიან?

უცხოეთში მყოფი ქართველები, მუდამ ნაზი გრძნობით. შორს მხედველობით და გონება დამდგარი აფასებენ საოკუპაციო უღლის ქვეშ მგმინავ თანამემამულეებს. ჩვენ კარგად გვესმის მათი მწარე ხვედრი, რთული და ძნელი პირობები, ამიტომ გულისტკივილით ვკილავთ მათ, რომლებმაც უპირობოთ აღიარეს უცხო ქვეყნის ბატონობა: ჩადგნენ მათ სამსახურში და თა-

ვიანთი მოქმედებით ეროვნულ დანაშაულს სჩადიან. მსგავსი მოვლენა არც უპრეცედენტოა ჩვენს ისტორიაში. ემიგრაციის მიდგომა კატეგორიულია, უკომპრომისო. ჩვენი უბედურების სათავე მოსკოვშია და ყველა ერების საკეთილდღეოთ ეს იმპერია უნდა დაინგრას. ჩვენი მიდგომა უფრო შორს მიდის: რუსეთის წყობილება, რომანოვების, ლენინის, სტალინის, თუ ბრეჟნოვის, ან მათი მემკვიდრეების, ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენი არჩევანი უბრალოა: საქართველოში თბილისი უნდა ბატონობდეს და არა მოსკოვი. ჩვენ მოსკოვის ბედი და მისი იდეოლოგია არ გვიზიდავს.

შესაძლებელია, თანამედროვე რეჟიმი არც რუსის ხალხს ახარებს, თუმცა ეს მის ბუნებას ეგუება. მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხსა სწყვეტავს იმპერიალისტური მისწრაფებები: ყოველი მიმართულების რუსი ერთიანდება, როდესაც საკითხი ეხება რუსული იმპერიის დაცვას. როდესაც მეოცე საუკუნის ტკივილებს აღვნიშნავთ, საქართველოს ოკუპანტები წონასწორობას ჰკარგავენ, დაცინვით, გულცივი სიტყვებით, უკადრისი ტონით, ან ცილისწამებით გვიმასპინძლდებიან. რატომ? ჩვენი მიდგომა არის ეროვნული, მაშ რა ამართლებს მათ ცინიზმსა და უგულობას?

ეს მეთოდი რუსეთის უკულტურო ბუნებიდან მომდინარეობს, რომელიც ანტითეზაა სამართლიანობისა. მოწინააღმდეგის უსამართლო განსჯა, ეს არის სუსტების წესი, წესიერ საზოგადოებაში მსაჯი ხალხია და არა ხიშტი და ზარბაზანი. ადამიანი ღირსეული მოქლაქე უნდა იყოს და მის უფლებას პატივიეცეს და არა პოლიციისაგან დაბეჩავებული. რუსულ საზოგადოებაშა კომუნისტობა არის ერთად ერთი კრიტერი, რომელიც გზას გიხსნით ცხოვრებისათვის, მაგრამ თუ კომუნისტად არ დაიბადეთ თქვენი ბედი განწირულია. დიქტატურა შეიძლება აიტანოს საზოგადოებამ რამოდენიმე თვე, წელიწადი, მაგრამ პერმანენტული, ჩვენთვის წარმოუდგენელია. ამას არავითარი დოქტრინა არ ამართლებს.

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ვინმე ლომაშვილის წიგნი, რომელიც გარეგნულად, თითქოს ეწინააღმდეგება „სამშო-

ბლოს ხმის“ „პატრიოტულ“ ტონს. წიგნი არის ემიგრაციის ვულგარული გინება. საბრალოა, რომ ის ქართულ გვარს არის ამოფარებული. ამ საცოდავს ქვეყნიერების თავი და ბოლო კრემლის კედლები ჰგონია. უკვირს, რომ თავისუფალ ქვეყნებში ადამიანის ავი და კარგი შარაგზაზეა გამოტანილი. მისი შემოსალტული ბუნება ვერა ხვდება ამის უპირატესობას.

ევროპაში მცხოვრებ ქართველებს ვერაფრით აუხსნიათ იქ ჩვენი თანამემამულეების გონებრივი დამბლა დაცემულობა, კომუნისტობას არ ვედავებით, მაგრამ უმორალობა ძნელი ასატანია. ლომაშვილი იმოწმებს იაფ-ფასიან ჯაშუშებს, ჩეკის მიერ წამებისაგან გატეხილ ჩვენს მეგობრებს, ცნობები კი ამოუკრეფია ყოვლად საეჭვო საოკუპაციო წყაროებიდან. ამაზე ამბობს შოთა „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი დაუწერია“.

კრემლის კალმოსნებს, საზოგადოთ არ მოეთხოვება ბევრი კულტურა. ისენი ვულგარულ ცინიზმს ვერა სცილდებიან და მათ პრიმიტიულ შეგნებაში, ვინც კომუნისტი არ არის, ყველა მოღალატეა, მოყიდული და ყოველ ღირსებას მოკლებული.

ადვილი დასაშვებია, რომ არც თვითონ სჯერათ, რასაცა სწერენ, მაგრამ აიძულებენ. ასეთია ბუნება რუსეთის წყობილების, საზოგადოთ უსამართლო გინება, სუსტების საფარველია. ჩვენი აზრით, თვით ქართველი კომუნისტიც, ასეთ მორალურ გახრწნამდე არ მივა, რომ ის შებოჭილი არ იყოს.

ჩვენ რამოდენიმე სტრიქონი შევწირეთ ლომაშვილის წიგნს, არა აზრების საწინააღმდეგოთ, არამედ მისი მორალური მხარის აღსანიშნავად. ჩვენ, ემიგრაციამ ვიცით ჩვენი ქვეყნის უბედო ბედი და ვცდილობთ შევინახოდ ქართული რასა, არ გვინდა ჩვენი ეროვნული კულტურა ჩამოქვეითდეს და ლომაშვილებიც კალმოსნებად იქცნენ. კომუნისტების ძველმა თაობამ თავის დროზე აღნიშნა ქართული კულტურული უპირატესობა და ამიტომ „უკლონისტებად“ მონათლულები დაიხოცნენ. როგორ გგონიათ ქართველო კომუნისტებო, რას იფიქრებდა ბერია სიკვდილის წინ? ამ კითხვას თქვენი სინდისის წინაშე იდუმალებით უპასუხეთ.

ისტორიული განაჩენი

ყველას მოეხსენება ისტორიის შეჩერება არავითარ ძალას არ შეუძლია. სიმართლის ეტლი ნელა დაჩოჩავს და ხშირათ მებრძოლების სიცოცხლე ხან მოკლეა, გამარჯვებას მოესწრონენ. ამ დაკვირვებით შეიარაღებული უყურებს მომავალს ემიგრაცია. მაგრამ კმაყოფილებას ვგრძნობთ, როცა ვხედავთ ბევრ იდეოლოგიურ დიდ გამარჯვებას, რომლის შესაძლებლობას ვერ წარმოვიდგენდით წინა ხანებში.

მოგეხსენებათ, ხელისუფლება უხეში ძალდატანებით აიძულებდა ჩვენ თანამემამულეებს, ან რუსეთის სხვა ერებს, ედიდებინათ და შეეყვარებინათ უცხო ერის მოღვაწენი, რომელთა არსებობას ამდენი სისხლი და ცოდვა აწევთ; აბა გაიხსენეთ ზოგი გვარები: ლენინი, ტროცკი, სტალინი, ბუხარინი, ზინოვიევი, ტომსკი, ბულგანინი, ხრუშჩოვი, რიკოვი, ენუქიძე, კალინინი, იაგოდა, ეჟოვი, ბერია, ორჯონიკიძე, მოლოტოვი და რამდენი ვიგინდარა, რომელთა დასახელება არ შეგვიძლიან. ამათ ბედს რომ ვაკვირდებით განცვიფრებული ვართ: რა მალე მოეწიათ სამართალი. ამათგან, ლენინის გამოკლებით, ყველანი სამარცხვინოთ დაილუპნენ, როგორც „მოღალატენი“ და „ხალხის მტრები“. ბრალდებულებს და ბრალმდებლებს ერთი და იგივე ბედი ეწვიათ. აი წყობილების ბურჯები, ჩვენ ხალხს თავზე რომ მოახვიეს ათეული წლების მანძილზე. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანთა ცოდვები, ცრემლები, მათ ცხოვრების გზაზე წამოეწიათ, ანგარიში მოსთხოვა და მათი შემცოდებელი არავინ აღმოჩნდა. მიეძღვნათ, რაც დაიმსახურეს. ამის შემდეგ ჩვენ გვაგონებენ ოქტომბრის გმირებს, რომლებმაც, როგორც ზღაპრულმა იუპიტერმა თავის შვილები დაჭამა!

ამ სისხლიან ანგარიშებს მხოლოდ ლენინი გადაურჩა. შე-

იძლება იმიტომ, რომ ადრე მოკვდა. ყოველშემთხვევაში ხდება ამ პიროვნების გალმერთება, თითქოს მან, ერთმა მოახდინა რევოლუცია. მას აკუთვნებენ ყოველგვარ სიკეთეს, რაც მთავარია, მას ერთს უკავია მარტო მთავარი ადგილი ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში. პიროვნების კულტი, უდავო პიროვნება, გონებრივად ჩამორჩენილი ხალხის თვისებაა. ჩვენ, ქართველებს არავითარი ეროვნული საჭიროება არა გვაქვს ლენინის ღირსებები, ან დოქტრინა, ან პიროვნება სადაოთ გავხადოთ. ლენინი უცხო ერის შვილია, ჩვენი ეროვნული მოვალეობა არ მოითხოვს, რომელიმე დიდი ერის შვილი შევიყვაროთ, მით უმეტეს ლენინი, რომელთანაც ჩვენ გვაქვს ანგარიშები გასასწორებელი. ამ რუს მოღვაწეს ქართველი ერი არ იცნობდა, მან ქართული ენა არ იცოდა, მას ჩვენ მიწა-წყალზე ფეხი არ დაუდგამს, რაც მთავარია, მისმა შექმნილმა წყობილებამ სისხლის მორევი დააყენა ჩვენში. შეიძლება ლენინს რუსეთისათვის პოზიტიური შედეგი ჰქონდეს, როგორც დიდი ერისთვის. დიდ ერებს ახასიათებთ გაფართოვების, დომინაციის პოლიტიკა, ისე, როგორც რუსეთში არის ბოლშევიზმი, როგორც იყო ნაციზმი, ან ფაშიზმი. ეს „იზმი" წარმოუდგენელია პატარა ერების ცხოვრებაში. ბუნებრივად, ჩვენ პატარა ქვეყანას ზავიანი ეპოქა სჭირდება, ეროვნული მოღვაწე, აღზრდილი შოთას, იღიას და აკაკის ნაყოფიერ ნიადაგზე. ქართველობამ მის მიწა-წყალს უნდა მოუაროს, მისი შვილები აღზარდოს, საკუთარი ტკივილები მოირჩინოს და რაც მთავარია, უნდა შექმნას საკუთარი კულტურა.

ამ ქვეყნად ყველა ნაციონალისტური მოძრაობა ეგოისტურია და ამ შემთხვევაში რუსული კომუნიზმიც, რუსული ნაციონალიზმის იარაღია. არავითარი ეროვნული საჭიროება არ გვიკარნახებს, სადაოთ გავხადოთ, რომელიმე დიდი ერის ცდა, ნაციონალიზმის, ან რომელიმე დოქტრინის შინაარსი. ჩვენ გულცივად, ან უბრალო ცნობისმოყვარეობით უყურებთ ყველა დიდი ერების ვითარებას, განსაკუთრებით კი რუსეთისას. ჩვენი ქვეყნის კარგად გაგებული ინტერესები მოითხოვს რუსეთის ჩა-

მოშორებას, რუსის ხალხს არავინ უშლის ლენინზე ილოცოს, მაგრამ ჩვენს ტერიტორიაზე, ჩვენს აზროვნებაში, ჩვენს ახალგაზრდობაში უნდა აღმოიფხვრას ლენინის და მისი მემკვიდრეების ხსოვნა. ლენინის იდეოლოგია, სისხლის, ცოდვის და ცრემლის სამყაროა. ლენინი ჩვენ წარმოგვიდგენია, როგორც პირდაბანილი, წვერ მოპარსული ცინიკი, მოქცეული პეტრე დიდის, ავსისხლიან ეკატერინეს და პუგაჩოვს შორის; მისი ადგილი ციმბირშია და არა მტკვრის, არაგვის და რიონის ხეობებში.

ეკონომიურად ყალბ პრინციპზე დაშენებული სისხლიანი რეჟიმის გახანგრძლივებაც რუსის ორიგინალური თვისებაა. ამ ვითარებას საერთო არაფერი აქვს კულტურულ ერებთან. საერთაშორისო ზავის და მშვიდობიანობა მოითხოვს რუსეთი გადაიქცეს „ველიკორუსიათ“.

ოქტომბრის რევოლუცია ფაქტიურად იყო მიმართული დასავლეთის ასაფეთქებლად. სინამდვილეში წამოიჭრა ახალი ფაქტორი, არავისგან გათვალისწინებული. ჩვეულებრივი მასისთვის დავა არის ვითომ დოქტრინალურ ხასიათის, ეს ზღაპარი სერიოზული არ არის. სინამდვილეში მშიერი ხალხის ინსტინქტური მოძრაობა მდიდარი მეზობლისადმი. ძნელი დასაჯერებელია რუსეთ-ჩინეთის მოძრიგება, გარეშე ტერიტორიალური კონცესიებისა, რომელიც თავის დროზე, ლენინსაც მისაღებათ მიაჩნდა.

ჩვენ გაკვრით აღვნიშნეთ, რომ იყო დრო, როდესაც ოქტომბრის რევოლუცია თავისი ლოზუნგებით ეხებოდა დასავლეთ ევროპის წყობილებას. საბჭოებმა თუ შეინახეს ცოტა აგრესიული ტონი, უფრო იმიტომ, რომ შინაური ხალხი დაარწმუნონ, თითქოს დასავლეთი მათ ველარაფერს დააკლებს. ამიტომ ველარ წაიკითხავთ უთავბოლო ტრაბახს, წინასწარმეტყველობას, შესაძლებელ რევოლუციაზე, თვით ევროპის კომუნისტებიც იძულებულნი არიან, ოპორტუნისტული პროგრამა წარმოადგინონ. ცნობილია ძველებური სლოგანები: ვითომ ოქტომბრის რევოლუცია წალეკავდა დასავლეთის წყობილებებს, შეიქმნებოდა ახალი ცივილიზაცია, ახალი კულტურა, ახალი ადამიანები.

საბოლოოთ რუსეთის კომუნისტებიც მიხვდნენ სინამდვილეს; დაიწყეს იდეოლოგიური უკან დახევა, შინაგანი ძალების რეაქციამ და ჩინეთის პრობლემამ, ძირიანათ შესცვალა რუსეთის პოლიტიკა. ამ იდეოლოგიურ უკან დახევას, ოფიციალურად არ აღიარებენ, ამიტომ ხდება, რომ ოფიციალურმა პრესამ შეინარჩუნა, ნაწილობრივ, აგრესიული ტონი, საშინაოთ, მაგრამ არავითარი რწმენა ამ მწერლობას აღარ ასულდგმულებს საგარეო სფეროში.

ჩვენ უკვე მოგახსენეთ ბურჟუაზიული წყობილების რაციონალურ ევოლუციაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მარქიზმის, ან სოციალიზმის თეორიები, არც ისე მექანიკურათ განვითარდნენ, როგორც ჩვენი წინაპრები მოელოდნენ. ამ მდგომარეობით აიხსნება, რომ დასავლეთში რევოლუციონურ სეკუსებს, ამჯობინებენ მეთოდურ ევოლუციას. თვით კომუნისტური პარტიის ლიდერები, რევოლუციონურ ლოზუნგებს გაურბიან და ქადაგობენ ოპორტინისტულ ლოზუნგებს. რევოლუციონური მოძრაობანი, თავის გარკვეული შედეგებით, დარჩა აპანაში ჩამორჩენილი ხალხების, რაც საბოლოოთ თავდება დიდი ავორტიტით და მარცხით.

ევროპიელი და ამერიკელი წყობილების პოზიტიურ ცვლილებას მაშინ აღნიშნავს, როცა მისი ცხოვრების სტანდარტი გაუმჯობესდება, ამიტომ არის, რომ მისი შეგნებიდან გამორიცხულია პროპაგანდის გავლენა.

აიღეთ გონებრივათ ღატაკი და ეკონომიურად სუსტები, როგორც არის რუსეთი და ჩინეთი. მათი ოფიციალური პროპაგანდა უსირცხვილოდ ცდილობს დააჯეროს ხალხი მის „ბედნიერებაზე", ან „ინდუსტრიალურ პროგრესზე", არავის უფლება არა აქვს, შეებრძოლოს ამ უსაზღვრო ტყუილს, იმ დროს, როცა თავისუფალ ქვეყანაში, ავი და კარგი შარა გზაზე არის გამოტანილი და შეცდომაში ხალხს ვერ შეიყვანენ.

აი ძირითადი განსხვავება ამ ორ ცივილიზაციას შორის.

თავისთავად ჩამორჩენილობა, სიღარიბე ხომ სირცხვილი

არ არის, ბოროტება იქ იწყება, სადაც სინამდვილეს ღალატობენ, სადაც ადამიანის გონებას დასცინიან უპასუხისმგებლო ცინიკები. მთელი საბჭოთა პრესა, წლების განმავლობაში, ხალხს არწმუნებს, რომ ისენი ბედნიერნი არიან, რომ მათ ყველაფერი აქვთ, მაშინ, როცა ამერიკა-ევროპაში კეთილდღეობა ოჯახების ეკითხება დიასახლისებს, ან მამასახლისებს, ან სტატისტიკას და არა დაქირავებულ ჟურნალისტებს, როგორც რუსეთში.

როდესაც ანტიკომუნისტურ ძალებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ კათოლიკური ეკლესია, რომელიც ითვლის 500 მილიონ მიმდევარს. აქვს დიდი მორალური გავლენა და რომელიც ნიჭიერათ უდგება ყველა ჰუმანურ კითხვებს. მარტო პრიმიტიული კულტურის სტალინს არ ესმოდა რომის ეკლესიის დიდი ძალა და ამიტომ გულუბრყვილოდ კითხულობდა „ვატიკანს რამდენი დივიზია ჰყავსო“.

რამოდენიმე რუსის მწერალმა ხმა აღიმაღლა თავისუფლებისათვის, ამ გამონაკლის , ამ ღირსეულ გამოსვლას, მკაცრი განაჩენით უპასუხა მთავრობამ და ციმბირში გადაასახლა. ამ მწერლების გამოსვლა იყო მორცხვი, ისენი არ მოითხოვდნენ რეჟიმის მოსპობას, არც ეროვნული საკითხი დაუსვამთ, მაგრამ რაც თქვეს არც ის აპატიეს.

ჩვენ აზროვნებას, ჩვენ მიდგომას აძლიერებს ახალგაზრდობის პრობლემა, როგორც რუსეთში, ისე, უფრო მეტად, დაპყრობილ ხალხებში. ახალგაზრდობა მომხრეა ცვალებადობის, ბუნებრივათ მას არ იზიდავს აწმყო და ახალს ეძებს. ახალგაზრდობას აღარ, ან ვეღარ დააკმაყოფილებს მარქს-ლენინის თეორიები, ბიუროკრატიის წვენით შეზავებული დოქტრინა, მუდმივი ამ ქვეყნად არაფერია, როგორც ფრანგების რევოლუციას მოჰყვა ტერორი, დიდი წყურვილი თავისუფლების და კარგი ცხოვრების, ამავე მოვლენას დაურჩება ადგილი რუსეთშიც.

ერთი ძირითადი პრობლემა იზიდავს ჩვენ აზროვნებას, ან ყურადღებას: ეს არის რუსეთში გლეხობის საკითხი. სადაც არ უნდა აიღოთ ადამიანი, მისი ძირითადი ბუნება გამოიხატება

კერძო საკუთრებაში. ადამიანი ინსტინკტიურად ამბობს ჩემი სახლი „ჩემი ბავშვი“, „ჩემი ქალი“ და რა უფლებით გინდათ აუკრძალოთ გლეხს თქვას „ჩემი მიწაო“. გლეხობა ბუნებრივი ინსტინქტით ცხოვრობს, მას დღეს არ შეუძლია „კოლხოზს“ გაექცეს, მისი წინააღმდეგობა მას ძვირათ დაუჯდა, მაგრამ საკუთრების მოთხოვნილებას გლეხებში ვერავითარი ძალა ვერ წაშლის. თვით კომუნისტები პირველნი იქნებიან, უსულო და უგულო კოლხოზს გამოეთიშონ. მიწა არის წყარო სიმდიდრისა და ადამიანი ბუნებრივად ვერ დასთმობს მიწის სიყვარულს, ამიტომ არის, რომ ჩვენ მას უწოდებთ „დედა-მიწას“.

ომი და ზავი

ეროვნულათ აუცილებლათ მიმაჩნია ამ პრობლემაზე შევჩერდე. თუ პატარა ერებს ომის წარმოშობა არ ეკითხება, ჩვენი სისხლის ეკონომია ჩვენი წმინდა ვალია. განა ვინ დაგვძრახავს, თუ ვიტყვით, არავითარ შემთხვევაში არ გვინდა ჩვენი ქვეყანა საომარ ასპარეზათ გარდაიქცეს. მეორე მსოფლიო ომში, სულ ცოტა დააკლდა ჩვენი მიწა-წყალი გამხდარიყო ბრძოლების მოდამოთ. ორი კოლოსის ანგარიშების გასწორების დროს საქართველო სისხლისგან დასცალა რუსეთის ორმა ომმა. ამ კონფლიქტებში არავითარი ანგარიშები არ გვქონდა, არავითარი მიზანი. ამ ჩვენთვის უცხო ომებში ასი-ათასობით დავკარგეთ ყვავილი ჩვენი ახალგაზრდობის, ყოველგვარი საჭიროების გარეშე. ამ მომენტის მოგონება დამბლას გვცემს. ამ ეროვნული უბედურებით ყველა ქართველი უნდა აღშფოთებული იყოს. არ უნდა შეურიგდეთ არასდროს ასეთ გენოსიდს, ცინიკები ქართველებს დაცინვით ეუბნებიან, რომ ეს იყო „სამამულო ომი“-ო. ამაზე შორს ეროვნული ტრაღედია ვერ წავა. ამ თემაზე წერას

გონებრივი მსჯელობა აღარ ემორჩილება. წარმომიდგენია ძაძით შემოსილი ქვეყანა, ამდენი ძმები დაკარგული, იმიტომ, რომ ნაციზმი და ფაშიზმი ებრძოდნენ ბოლშევიზმს. ამ დიდი ერების ანგარიშებში ჩვენ რა შუაში ვართ? როდის იყო ჩვენი საზღვარი ბერლინში, ვენაში, ვარშავაში, ნორმანდიაში? რა უნდა მოგვეგო ამ ომში, ან რატომ უნდა დაგვეცვა ეს სისხლიანი რეჟიმი? განა ვინმე უარესი შესცვლიდა ჩვენ დამპყრობლებს, რომლებმაც ჩვენი სამშობლო სამარეთ გადააქციეს. ამ ერთოვნული ტრაღედიის დასკვნა არის იმპერატიული: საქართველო რუსეთს უნდა ჩამოშორდეს სამუდამოთ, ჩვენ პატარა ერს შორეულ ტერიტორიაზე ომები არ სჭიდრება, არც შეუძლიან. უნდა მივბაძოთ ევროპის პატარა ერებს. დაკვირვება გვასწავლის შეგნებით თუ ინსტინქტით ადამიანს სიცოცხლე უნდა, თვით ბუნებრივი, გამოწვეული მოხუცებულობის გამო, სიკვიდილი მიუღებელია. მუდმივი ახალგაზრდობის და სიცოცხლის წყურვილი, მარტო გიოტეს გენიის ოცნება არ არის,, არამედ ღრმა საიდუმლო ხორც შესხმული ლტოლვა ადამიანების მოდგმის.

მაგრამ, პერიოდულათ, ძველი დროიდგან დღევანდლამდის ხდება ომები. კაცობრიობა ომის მიერ გამოწვეულ უბედურებებში ტრიალებს. ყველაზე პარადოქსალურია, ძნელათ ასახსნელი, ამ ომების გამომწვევი პირების დასახელება. ყოველ საუკუნეს, რომ თავისი ჰომეროსი ჰყავდეს, ომებს ტექნიკური პროგრესი დაემატებოდა, ხოლო ტანჯვანი, ან წამებანი იგივე დარჩებოდა. გამოუანგარიშებელი სიმდიდრე ნადგურდება ომებით. დიდი ხანია ადამიანმა ომს ომი გამოუცხადა, გენიალური პოლიტიკოსები, მწერლები, ან მეცნიერები, სიწყნარეზე და ზავზე ოცნებობენ, საკვირველია, ომის მომხრე ჩრდილშიაც კი არ მოიძებნება. მაგრამ ომი მაინცა ხდება თავისი კატასტროფიული შედეგებით. არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვით, თითქოს მითოლოგიაში არსებობს ორი ღვთაება: სიკეთის და ბოროტების. თუ ეს ასეა, უნდა დავასკვნათ, რომ ჯერ ბოროტების ღმერთია გამარჯვებული. ჩვენ ისიც შეგვინიშნავს ძველ და ახალ

ალთქმაში, ომის და უბედურების ავტორნი ღმერთი და მისი წინასწარმეტყველები არიან. ებრაელებმა რატომღაც 40 წელიწადი იხეტიალეს უდაბნოში. დღევანდელი კაცობრიობაც ომისათვის ემზადება. არის აპოკალიპსური საშუალებანი ქვეყნის დანგრევის. გარეგნულად არსებობს ერთსულოვნება, რათა უარყონ ატომური იარაღი, რომლის გამანადგურებელი შედეგები ისეთია, რომ არავის გამარჯვებას არ მიანიჭებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარ თვითმკვლელობას არ ჩაიდენს კაცობრიობა, როგორც წინა ომებში, არ უხმარიათ გაზები და ბაქტორიული იარაღი, თუმცა ყველას ჰქონდა. ამ დარგში არის მიღწეული უკანასკნელი საზღვარი რეზონს და სიგიჟეს შორის.

ჩვენ შეგნებულათ არაფერს ვამბობთ პირველი მსოფლიო ომის გარშემო, რადგან მიზეზი ყველამ იცის. მეორე მსოფლიო ომს ჰქონდა მიზეზათ გერმანიის, იტალიის და იაპონიის გაფართოების ცდები. ამრიგათ როგორც ყველა ომს, ამასაც ეკონომიური საფუძველი ჰქონდა, რადგან რეჟიმისთვის არავინ იბრძვის. დღეს ყველამ იცის, რომ ამ კონფლიქტის ცოტა შანსები ჰქონდა გამარჯვების, რომ ჰიტლერს სტალინი არ მოხმარებოდა, რადგან ორივე ფონტზე გერმანიას ომი არ უნდოდა.

რუსეთი პრიმიტიული ანგარიშით მიუდგა ომის მსვლელობას. მას ეგონა ყველა მონაწილე დაიღლებოდა და რუსეთი განახორციელებდა თავის გეგმებს. მაგრამ გორელი ანგარიშში მოტყუვდა და თვითონაც იქნა ჩათრეული. რუსული ჯარი დაიბნა და ასიათასობით ბარდებოდნენ ტყვეთ. გერმანიამ გამარჯვებით დამთვრალმა, ვერ შესძლო გამარჯვებით ესარგებლა, ხალხს უნდოდა რეჟიმის გამოცვლა და არა ახალი ბატონი. უკრაინაში და ბალტიის ქვეყნებში იქცეოდნენ უსულგულოთ. შემდეგ, როცა ამერიკა ომში ჩაერია და რუსეთს გაუხსნა გამოულეველი მატერიალური მარაგი, რუსეთი მორალურად გამხნევდა და ომის სასწორიც გადაიხარა. საბოლოოდ გამარჯვება ამერიკა-ინგლის, რუსეთის კოალიციას დარჩა.

ამ ომში გერმანიამ დაამტკიცა გაუგონარი გამძლეობა, სი-

მხნევე და ამტანობა. ბრძოლის უკანასკნელ მომენტში გერმანიამ შესთავაზა ზავი ანგლო-საქსონებს და რუსეთის განდევნა, მაგრამ გამოუცხობი მოსაზრებით მოკავშირეებმა ეს წინადადება უარყვეს.

გერმანია ხომ ისტორიული ჯებირია სლავიანიზმის გაფართოვების. ამრიგად, რუსეთს ნება მიეცა ბერლინში, ვენაში, ვარშავაში თავისი ჯარი ჩაეყენებინა. ამ კულტურული ქვეყნების დაპყრობით შეიქმნა ახალი დიდი იმპერია და როგორც ყველა იმპერია ძალაზე დაყრდნობილი.

ისტორიული ანგარიშით ეს არის მითოლოგიური ცხენი, რომელიც რუსეთში მოექცა, ჩვენდა საიმედოთ.

ომის გარეგნული მიზეზი, ვითომ პოლონეთის დამოუკიდებლობა იყო, იალტაში მისი ბედი აღარავის გახსენებია. მხოლოდ ჩერჩილმა განაცხადა მორცხვი პროტესტი, ამით მოიხადეს მოვალეობა და დაიმშვიდეს სინდისი. 1944 წ. პოლონეთი რუსეთის იმედით აუჯანყდა გერმანიას, მაგრამ გერმანიამ აჯანყება სისხლში ჩააქრო და გაანადგურა ვარშავა. მიუხედავათ იმისა, რომ რუსის ჯარი სულ ახლო იყო, მას არც უფიქრია პოლონეთს მიშველებოდა. ეს არის რუსული ტრადიციული პოლიტიკა.

მეორე მსოფლიო ომის გარშემო, ქუჩური ამბების შეთხზვით, ცდილობდნენ ქართული ემიგრაციის სახელის გატეხვას. სიმართლე მარტივია: ნაციზმი ჩვენთვის არავითარ მიმზიდველობას არ წარმოადგენდა. ფაქტიურათ, ეს იყო დიდი ერის დაპყრობითი იდეოლოგია, გაფართოვების ტენდენციის მატარებელი, როგორც ახასიათებს ყველა დიდ ერებს. ჩვენ ვფიქრობდით ჩვენ პატარა ერზე, რადგან გერმანიის გამარჯვებას ცოტა აკლდა. ჩვენ გვამოძრავებდა ეროვნული ინსტინქტები, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. ეს იყო სპონტანური კეთილშობილი მოძრაობა. ამ ჯოჯოხეთურ პირობებში, ჩვენ ვფიქრობდით ტყვეობაში მყოფ ჩვენი ძმების ბედზე, მათ გადარჩენაზე, არა როგორც გვინდოდა, არამედ როგორც შევძელით. სხვა მხრივ, პო-

ლიტიკურ-მორალურ სიმწიფის მოწმობა არა გვჭირდება კრემლის კალმოსნებისგან.

ნურავინ გაიკვირებს, თუ ჩვენში ჯანსაღ ოპტიმიზს იწვევს, რუსეთში მოქცეული ერების პრობლემა. „ველიკო-რუსიას" არ შეუძლია დაიმორჩილოს მასზე მაღალი კულტურული ხალხები, რომელთა რიცხვი აღწევს მრავალ ათეულ მილიონს. არავინ იფიქროს, ჩვენი მიდგომა ზერელე იყოს, ან მას არ ამართლებდეს ისტორიული პრეცედენტები.

ჩვენდა საბედნიეროთ აღვნიშნავთ: თუ ძველი კულტურული რომი ბატონობდა დაბალ ხალხებზე, რუსეთში ეს პირ-იქით ხდება. ამ მითოლოგიური ცხენის მოქცევა რუსებში, სამართლიანად კვებავს ჩვენ ოპტიმიზმს.

ჩვენ აზრებს ასაზრდოებს ჭეშმარიტების აღნიშვნა. ამიტომ უნდა მოგახსენოთ, რომ ევროპას რუსეთზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. რომანოვების და ლენინის რუსეთს იცნობდნენ რამოდენიმე. დამახასიათებელი სიტყვებით: „კნუტი", „ტზარ", „ოხრანკა", „რასპუტინ", ამას დაემატა: „ჩეკა", „გეპეუ", „კომუნისტი". პირველ ხანებში ოქტომბრის რევოლუციას მომხრეები გაუჩნდნენ არა მარტო მუშურ წრეებში, არამედ სნობიზმით შეპყრობილ ინტელიგენტებში, დაღლილ ბურჟუაზიულ წრეებში. მოყიდულ ჟურნალისტებში და სამწუხაროდ, პირველ ხანებში, გავლენიან ებრაელებში, რომლებიც კომუნისტები არ იყვნენ. მაგრამ ფიქრობდნენ, რომ ბოლშევიზმი რუსეთისათვის პოზიტიური მოვლენა იყო. ამ მრავალი ელემენტების დაჯგუფება არის მიზეზი, რომ პირველ ხანებში, მოსკოვთან ბრძოლას სპირდებოდა ჯანსაღი ოპტიმიზმი. პირველმა მსოფლიო ომმა, ისე დაღალა, მოქანცა ადამიანი, რომ შორეულ რეჟიმზე ფიქრი, ფუფუნება იყო. ევროპიელი დინჯი აზროვნების არის, მისი დაჯერება შეიძლება ფაქტებით და არა პროპაგანდით.

სწორეთ რუსეთმა, თავისი ნაციონალური ნაკლებით, ჰიტლერის გერმანიასთან კავშირით, საბოლოოთ ნათელ-ჰყო რუსეთის საშიში მიდრეკილებანი. მოხდა ბოროტება საქართველოს

მიმართ; ფინეთის მიმართ უნგრეთის და სხვა ხალხების დაპყრობით. რუსეთმა ამორალური პოლიტიკა აწარმოვა ყველგან. უღალატა ესპანეთის რევოლუციას, პოლონეთის და ებრაელების ეროვნულ ინტერესებს. დღეს გაშიშვლებულია რუსეთი. ყველამ შეიგნო მისი ბუნება, მისი ვერიგობა. თუ როგორი იქნება რეაქცია ამდენი ღალატის შემდეგ, ეს ისტორიის საქმეა.

ჩვენ პარტიულ რიგებში ებრაელებზე ლაპარაკს გაურბიან, რატომ არ ვიცი! ისტორიულათ ცნობილია ებრაელების სიმპატია, პირველ ხანებში, იყო მიმართული რუსული კომუნიზმის სასარგებლოთ. მაგრამ, როდესაც თავიანთი პატარა ერი შექმნეს, როდესაც სიონიზმის არსებობა საფრთხეშია, რუსეთმა აშკარა მტრული პოზიცია აიღო, აიარაღებს ყოველ მხრივ არაბებს და ორნახევარ მილიონ ებრაელებს ას მილიონიანი არაბების ბედი ამჯობინეს. იტყვიან ნავთის საკითხიაო, მაგრამ ეს არ იქნება მართებული. არაბები თავის ნავთის წყაროებს ყველას უთმობენ, განურჩევლად ეროვნებისა. ამის რეალური ახსნა უნდა ვეძებოთ რუსეთის დაბალ ინსტინქტებში და ბუნებაში. ამავე დროს ხდება რუსის ხალხის ანტისემიტიზმი . . .

ბევრს ლაპარაკობენ რუსულ ასტრონომებზე, რომლის დიდი ნაწილი გერმანელ მეცნიერების მიღწევაა. ესეც არ იყოს ჰაერში ფრენა ეფექტის საკითხია და ამ ქვეყნიურ პრობლემებს ვერ უპასუხებს. გამარჯვებულ რუსეთის ტერიტორიაზე გასახვევი ქალაქდი არ იშოვება, ხოლო დამარცხებული და მიწასთან გასწორებული გერმანია და იაპონია ამერიკას ეპაექრებიან.

ჩვენი დაკვირვებით რუსეთს სამაგალითო არაფერი შეუქმნია. თვით აზროვნებაც ევრობიდან არის შემოტანილი და რუსეთის მიერ დამახინჯებულად მიღებული. რუსული საზოგადოებრივი აზრი, სიმართლისთვის აღელვებული არ მოიძებნება.

აიღეთ ჩვენი ერის 170 წლის ისტორია. მას არც ერთი რუსი სიმპატიას არ უცხადებს. ჩვენი ეროვნული დრამა, რუსულ საზოგადოებას არ აღელვებს, ეგოისტური ანგარიშების გამო. რუსოფილებმა ყურები გამოგვიჭედეს რუსის მწერლების ღირსე-

ბებით. ესტეთიკის მიხედვით მართალია, მაგრამ არ უნდა დავიიწყოთ, რომ ეს მწერლები არსებითად ევროპის შვილებია. ჩვენ საკითხს უდგებით ეროვნულად, არავის არ ახსოვს რუს მწერლებს თავიანთი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი აეღელვებინოთ, როგორც ჩაიდინეს კეთილშობილმა ფრანგებმა. მაგ. შატობრიანმა, ჰიუგომ, ზოლამ, ა. ფრანსმა, მარლომ, კამიუმ და სხვებმა. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ რუსებშიაც მოიძებნება კეთილშობილი ადამიანი, მაგრამ მათ არავითარი გავლენა არა აქვთ რუსულ ცხოვრებაზე. ამიტომ, ვიმეორებთ: იმ სახით, როროგორც რუსეთშია „ეროვნული" საკითხი, ეს არის უბრალო სიყალბე, ფარისევლობა და ფალსიფიკაცია. ბოლშევიზმი, ან რუსული ბუნება, ნიჭიერათ აქვს აღწერილი უნგრელ მწერალს არტურ კოსტლერს და ვწუხვართ, რომ ამ ნაშრომიდან საყურადღებო ადგილები ვერ მოგვყავს.

საქართველოს ტრაღედია

ჩვენი ქვეყნის დაპყრობაში და საბჭოთა წყობილების დამყარებაში დიდი როლი ითამაშეს ქართველმა კომუნისტებმა, რომლებიც დამპყრობ ჯარს თან შემოჰყვნენ. დედა სამშობლოს გადაუდგნენ, გარეშე მტერს მიეკედლნენ, ყოველგვარი პირობის გარეშე, ჩაიდინეს ეროვნული ღალატი და ჩვენი სამშობლო სამარეთ გადააქცეს. ჩადენილ იქმნა უპატიებელი დანაშაული; განმეორდა ძველი უღირსი ფეოდალების უღირსი მოქმედება. ჩვენდა სამარცხვინოთ მათი ქართული გვარებია: მახარაძე, ქავთარაძე, ოკუჯავა, ორჯონიკიძე, ბერია, ენუქიძე, მდივანი, ტოროშელიძე, ცინცაძე, ორახელაშვილები, ელიავა, ლომინაძე, ძმები ვაშაძეები და სხვ. დღეს ხომ შეგვიძლიან ვთქვათ: ქა-

რთველი ხალხის ცოდვა, სისხლი და ცრემლი, ცხოვრების გზაზე წამოეწიათ; ეროვნული ღალატი მოსკოვმა არ დაუმადლა და თითქმის ყველანი დაიღუპნენ უაზროთ და დაუტირლად. მათი ხსოვნიდან ერთი რამ დარჩა: ამბობენ და ჩვენც გვჯერა, სიკვდილს მხნედ შეხვდნენო. ეს ბუჩნებრივი რეაქცია იყო ქართული სისხლისა. განსაკუთრებით მხნეობა და ვაჟკაცობა გამოუჩენია ლომინაძეს, რომელსაც ჯალათის მოსვლამდე თავი მოუკლავს. თურმე კლდეს დასჯახებია. დაგვიანებით მიხვდნენ. რომ დედა სამშობლო არ იყო ღალატის ღირსი და რუსეთი ნდობის. გამათრლდა ჩვენი ეროვნული მოღვაწეების წინაგრძნობა, რომლებმაც ქართველ კომუნისტებს უწინასწარმეტყველეს მათი მომავალი. ეროვნული კეთილშობილება მიკარნახებს, რაიმე სიამოვნება ან სიხარული არ განვიცადო მათი გაჟლეტით, მაგრამ ვინ იფიქრებდა 1921 წ. რომ ამ სტრიქონებს ქრონიკოსი დასწერდა.

რუსეთის ფონზე ქართული წარმოშობის კომუნისტებიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჯუღაშვილ-სტალინს. საჭიროა ამის გარშემო ცოტა ხნით შევჩერდეთ. 25 წლის მანძილზე სტალინი, სიკვდილამდე რუსეთის უგვირგვინო მეფე იყო. უდაოა, როგორც მემკვიდრემ, მან განაგრძო ლენინის და მისი მემკვიდრეების გზა . . . გზა, რომელიც მოფენილია მსხვერპლებით და სისხლიანი ანგარიშებით. ალბათ იყო შინაური შეუპოვარი ბრძოლები, რათა მემკვიდრეობა ამა თუ იმ პირს დარჩენოდა. ეს ჩვენთვის საინტერესო არ არის. რუსული ბოლშევიზმი სტალინის ხელში ატარებდა ყველა ძირითად თვისებებს. სტალინი არ ერიდებოდა სისხლის ღვრას, გადასახლებას, წამებას, მორალურ გათახსირებას; არ ესმოდა მეგობრობა, არც ამხანაგობა. არავის ხელი არ შეუშლია, არც ერთს ხმა არ აუმაღლებია სტალინის წინააღმდეგ. ძნელია იმის თქმა, სტალინის ადგილზე რომ სხვა ვინმე ყოფილიყო, უფრო ადამიანურათ მოიქცეოდა, ეს ხომ რეჟიმის შეცვლა იქნებოდა! გარდა ამისა, ჩვენ არ მივდევთ მარჩიელობას, ვსჯით რაც მოხდა, რაც უკვე შესრუ-

ლებული ფაქტია. ჰიპოტეზების დაშვება ჩვენ არ გვიზიდავს, ჩვენი მიზანია მომხდარ ეროვნულ უბედურებაზე ვილაპარაკოთ. მოხდა დაუჯერებელი ამბავი. 25 წლის მანძილზე ამ სატრაპს ადიდებდა ვეებერთელა სახელმწიფო, რაც შემთხვევით არ მომხდარა. მწერლები, პოეტები, მოქანდაკენი, მხატვრები, თეატრი და სინემა, ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ. როცა გარდაიცვალა, კიდევ დიდ ხანს ვერაფერი შებედეს. მერე დაიწყო მისი უარყოფა: კრიტიკა, უდიერათ მოხსენიება, ძეგლების დანგრევა, ქალაქების გადანათვლა, მოხდა, ნამდვილი რუსული ამბავი. ყველა დანაშაული და სიბოროტე მას დააბრალეს. შემდეგ საფლავიდანაც მოთხარეს. სტალინის ბედი ჩვენ არ გვაინტერესებს, მაგრამ არ გვესმის ისტორიის ასეთი გამასხარავება და პასუხისმგებლობის აცილების ცდა. 25 წელიწადი ერის ცხოვრებაში მეტად დიდი ეპოქა არის, უსათუოდ ყურადღების ღირსია. არა სასურველი პიროვნების მოცილება, არც ისე ძნელია, არც შეუძლებელი. ამის მაგალითად გამოდგება ბერიას უდროოდ სიკვდილი, ან ხრუშჩოვის გადაყენება.

რომ ადამიანებში განსხვავება არსებობს უდავოა, მაგრამ ამ პატარა კითხვებისათვის ჩვენ თაობას არ სცალია. საქართველოს ისტორიის წინაშე, პასუხისმგებელია მთელი კომუნისტური პარტია. ჩვენთვის გამონაკლისი არ არსებობს. სტალინი წარმოშობით იყო ქართველი, რომელიც რუსეთის საქმეს აკეთებდა. ჩვენ ისიც ვიცით, რომ სტალინს ბევრი სერიოზული ისტორიკოსი აქებს, როგორც მაგ. მარლო, კონტი, ან მარშალ პეტანი. მას რუსეთის დიდ მოღვაწეთ სთვლიან. ეროვნული მიდგომით ჩვენ სტალინში ვხედავთ უბრალო რუსის მოღვაწეს, ამიტომ საკითხს გულგრილათ უდგებით. ამიტომ ლენინი, ტროცკი, სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნოვი და სხვები, არიან რეჟიმის ბურჯები და პასუხისმგებლები ჩვენი ერის წინაშე. ჩვენ არ გვაინტერესებს მათ შორის არსებული ინტრიგები, ან კულისების ბრძოლები. ამაზე იტყვიან ჩვენში მოხდენილათ „ოსმანი და ალია ორივე თათარია". კომუნისტებს შორის ვერა ვხედავთ ჩვენი ერის მეგობარს.

საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ რუსეთში ყოველგვარი ცვლილება ხდება იძულებით. მოვიგონოთ იოანე მრისხანე, პეტრე დიდი, ლენინ-სტალინი, თითქოს შეუძლებელი იყოს პროგრესი მსხვერპლის გარეშე.

გაბედულათ, ან მორცხვათ ლაპარაკობენ შედარებით თავისუფლებაზე, რეჟიმის „გალიბერალებაზე". აქ არის მცნებათა ალრევა. სინამდვილეში, შენელდა მასიური ტერორი, ფიზიკური განადგურება, რაც პოზიტიურ მოვლენათ ჩაითვლება. ხოლო რეჟიმი უცვლელი დარჩა პოლიტიკურ-ეკონომიურ სფეროში, არ არსებობს კერძო საკუთრება, თავისუფლება, არ მოგვარებულა ეროვნული საკითხი და სხვ. ან ისე გამოდის: თუ ქართველ კაცს თავი შერჩა მხრებზე, ან თავის ლოგინში სძინავს, „ვიღაცას" უნდა უმადლოდეთ, მსგავსი ცნება თავისუფლების არსად გვსმენია. თავისუფლება ერთი და განუყოფელია: თავისუფლება სიტყვის, წერის, კრების, შერჩევა ნიჭის მიხედვით. რისთვისაც მთელი ასეული მილიონები ამაყობენ და სამართლიანად. აკრძალულია მხოლოდ ვანდალიზმი, ე. ი. რაც საზოგადოებისთვის მავნებელია. წარმოუდგენელ ბედნიერებას გრძნობთ, როცა დილას გამოხვალთ და იყიდით, რომელიც გსურთ იმ გაზეთს, ან წიგნს, სადაც ქებაა, ან კრიტიკა მთავრობის წევრების. წინასწარ იცით პირადი რწმენისათვის არავინ პასუხს არ მოგთხოვთ. თქვენ გთავაზობენ ათამდე პოლიტიკური პარტიები თავიანთ აზრებს. ამრიგათ, თქვენ ხართ აბსოლუტურად თავისუფალი საზოგადოებაში. მსგავსი თავისუფლება არსებობს მთელ რიგ ერებში, როგორც დიდებში, ისე პატარებში. ამიტომ ჩვენც ჟინიანათ მოვითხოვთ დამოუკიდებელ არსებობას. თავის თავად დამოუკიდებლობა ცარიელი სიტყვაა, მაგრამ ჩვენი მიდგომა გულისხმობს ეროვნულ სიმდიდრეს, სულიერ კულტურას. ჩვენ გვინდა ჩვენ ქვეყანას განაგებდნენ ჯიგრიანი ქართველები და არა მონური სულის მატარებელნი. 1941 წ., რომ საქართველოს ჰყოლოდა ღირსეული მოღვაწენი, რუსეთის ომში არ ჩაერეოდნენ, როგორც ესპანეთი, პორტუგალია, შვეცია, შვეიცა-

რია, დანია და სხვ. მით უფრო ამ კონფლიქტში სადაო არაფერი გვქონდა.

მოზომილი ანგარიშით, ხალხის მიძინების მიზნით, რეჟიმის რეაბლიტაციისათვის, გოჯის ოდენა ასოებით, არაჩვეულებრივი პათოსით აღნიშნულია ქართულ პრესაში, ზოგიერთი აღმშენებლობა, ან ტექნიკური წინსვლა. თავის-თავად ნორმალური მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს 19-20-ცე საუკუნეებში, არა მარტო ევროპა-ამერიკაში, არამედ კოლონიალურ ქვეყნებშიც. ფრანგებმა სამოთხეს დაამსგავსეს აფრიკა, მაგრამ ამ ფაქტის ქება არსად გაგვიგონია. მაგრამ არავინ იხსენიებს, თუ რამდენი მილიონი ადამიანი შეიწირა მეურნეობა-მრეწველობის განვითარებამ, ისე როგორც ძვირი ჯდებოდა პირამიდების აშენება ეგვიპტეში. საქართველოში ზოგ მიღწევებს ჩვენ არ უარვყოფთ, მაგრამ არ არსებობს რაიმე დამაჯერებელი საბუთი, თითქოს რუსეთი გულუხობით „აბედნიერებს" საქართველოს. საკითხავია, თუ რამდენათ რაციონალურია, ან შეფარდებული ჩვენი ქვეყნის ინტერესებთან, ჩვენ ეროვნულ მომავალთან მოსკოვში დამუშავებული გეგმები. თავის-თავად ინდუსტრიალური მშენებლობა გულისხმობს, ერის ინტერესებთან შეთანხმებას, აბსოლუტურ წონასწორობას. არავითარ შემთხვევაში ჩვენი ერი რაიმე მადლობის, ან დავალიანების გრძნობით არ არის დატვირთული დამპყრობი ძალის მიმართ. კურთხეული ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალი იმდენათ მდიდარია (რომელთა ჩამოთვლა შეუძლებელია), რომ პატრიოტ ქართველების ხელში, ნამდვილ სამოთხეთ გადიქცეოდა, ისე, როგორც სკანდინავიის ქვეყნები.

საბჭოთა წყობილებას, არა მარტო უფლებრივათ ჰყავს ერი დამონებული, არამედ, რაც მთავარია, გონებრივათაც. მთელი საბჭოთა პრესა სავსეა ე. წ. ინდუსტრიალურ მიღწევებით, ერთი-მეორის „შეჯიბრებებით" და ერთი-მეორის „გამოწვევით". ამდენი ხანია ევროპის გაზეთებს ვკითხულობთ და არასოდეს არ შევხვედრივართ ქვეყნის ინდუსტრიალურ მიღწევებზე „გამომოწვევებს", „შენ ამდენი ჩაი მოკრიფე, მე შენზე მეტიო". მსგა-

ვსი მოვლენები მოასწავებენ უსირცხვილო ექსპლოტაციას, რაც ყველაზე აღმაშფოთებელია. ჯიბრი სუსტებს და ძლიერებ შორის. ამ ექსპლოტაციას საფუძვლად უდევს ვულგარული ცარცვა, რომელსაც იმით ამართლებენ, რომ მუშებს ეუბნებიან ქარხნები შენიაო. ასეთი დაცინვა ადამიანის გონების და აზროვნების ზანგებშიც აღარ გვეგულება. ჭეშმარიტად მეცოდებიან, ვინც ვალდებულნი არიან, საბჭოთა პრესა მუდამ იკითხონ; უსულო, უგულო და უაზრო. ოფიციალურ პრესაში ყოველიე წინასწარ გამოანგარიშებულია, მაგრამ მხატვრულ ნაწერებში, თვით კომუნისტური ავტორებისგან მოსჩანს მწარე სინამდვილის ანარეკლი. ამის მაგალითია ვინმე ირემაშვილის რომანის ადგილი: „ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი დაახლოვებით 12 წლისა, მიემგზავრება თბილისში, ავადმყოფ მამასთან. დედამ ხურჯინში ჩაულაგა პურები, ღვინო და ცოტა ხორცი. ყმაწვილი მიემგზავრება ფეხით, უცებ წამოეწია ავტომობილიანი შოფერი, გააჩერა ავტომობილი და ევაჭრება ყმაწვილს. ამ უკანასკნელმა შესთავაზა რაც ჰქონდა, შოფერი დაცინვით ეუბნება: „მაგ ფულით კეკი იყიდეო". შემდეგ ახალგაზრდას ეუბნება ხურჯინი ავტომობილში დასდოს და მდინარედან წყალი მოიტანოს, ბავშვი წავიდა წყლის მოსატანათ, ამ დროს შოფერმა ფეხი დაატარა ავტომობილს და გაიქცა ბავშვის ხურჯინით". ასეთი უმორალო მოქმედება კაპიტალისტურ ქვეყანაში წარმოუდგენელია.

ხდება პირიქიდ. ადგილი აქვს ჩვენი ქვეყნის ცარცვას, რომლის მაგალითია ჭიათურის შავი ქვა. ამ ჟამად ჩვენი ჩვეყნის სიმდიდრეთა დამუშავება, ეკონომიური მხარე, გადაბმულია რუსეთის სამოქალაქო და სამხედრო საჭიროებასთან. ამიტომ საქართველოს ეკონომიური და ინდუსტრიალური არსებობა მოითხოვს სრულ დამოუკიდებლობას. საკუთრების მოსპობა, კოლხოზების ყოველმხრივ დასაგმობი სისტემა, ქართველ გლეხ'ატოვებინებს თავის მამა-პაპათა მიწას და ჩვენ სოფელს მოელის გავერანება. გამოანგარიშებული გეგმით დ შორეული ანგარიშებით, საქართველოში არის ჩამოსახლებული მრავალი რუსობა,

რომელიც დიდ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი რასისათვის. თავის მართლება, თითქოს, ქართველი შავ მუშაობას გაურბის, ზღაპარია, ყურით მოთრეული საბუთი. ერს, რომელსაც რაჭველებისთანა მშრომელი ხალხი ჰყავს, როგორ შეიძლება აკადროთ ზარმაცობა.

ჩვენი მწერლობა ლარიბია. ისტორიული რომანების მეტს ეერასა ქმნის, ან უბრალოდ რეჟიმის ქებაა, რაც პოეზიის საგანი არ არის.

არა რაციონალური პირობები საფრთხეში აყენებს ნორჩ თაობას და მის აღზრდას. ეროვნული თავისუფლება ჩვენთვის სინონიმია დამდგარი ცხოვრების. რიგიანად გაგებული უფლებების აყვავება ეკონომიურად, კულტურულად, ინდუსტრიალურად, დამშვიდებული ცხოვრება. ჩვენ კარგად ვიცით რუსეთი დიდი ერია, ახალგაზრდა, უბედურების ამტანი, აქვს განდიდების სურვილი, რაც ომის საფრთხეს წარმოადგენს.

ჩვენ 30 წლის განმავლობაში ორი ომი ავიტანეთ, რისთვის? რატომ?

ჩვენი წარსულის ანალიზი გვაჩვენებს, რომ ქართული ეროვნული ინტერესები რუსეთთან თანამგზავრობა ისტორიულ მოთხოვნილებას აღარ უპასუხებს. უცხოეთში მცხოვრებ ქართველობას მომავლის ყნოსვა არ აკლია და როცა თბილისში დაჯდება ეროვნული მთავრობა, რუსეთთან იქნება მეზობლური დამოკიდებულება და შეიძლება ერთ დროს მეგობრულიც. ასე მოხდა საფრანგეთ-ინგლის შორის, გერმანია-საფრანგეთ შორის, ომს ამ ერებისათვის აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს.

ჩვენთვის და რუსეთისათვის მისაბაძია საფრანგეთ-ჩრდილო აფრიკის მაგალითი: ალჟირმა, მაროკომ და ტუნიზმა მიიღეს რა თავისუფლება დარჩნენ საფრანგეთის მეგობრები. ამ სამ კოლონიალურ სახელმწიფოებს არ აკლია საფრანგეთისაგან ეკონომიური და კულტურული დახმარება. ეროვნულ ცხოვრებაში გულჩახვეულობა არ არსებობს, რაც თავის თავად ბედნიერი მოვლენაა.

ბოლშევიზმს ზოგი სოციოლოგი ავადმყოფობას უწოდებს, ფაშიზმს, ან ნაციზმს დიდი ერების მოვლენათ სთვლიან, პატარა ერები დაცულნი არიან ყოველგვარი „იზმი"-საგან. უნდა შეიქმნას პატარა, მაგრამ სამაგალითო ერი. ეს იმედი გვასულმდგმულებს, რომ ბოროტება არავისთვის არ გვინდა. ამდენი ტანჯვა-უსამართლობა ავიტანეთ, შურის-ძიებას არ ვეძებთ; არავის სიბოლი არა გვმართებს. მუდამ თავს ვიცავდით, ამიტომ დარჩა ჩვენს იდეალად კაცთ-მოყვარეობა. უსათუოდ არსებობს ორიგინალური კულტურა, რომელსაც თანასდევს რიგიანად გაგებული სარწმუნოება. ყოველივეს კი ასაზრდოვებს ჰუმანიზმით დატვირთული პოეზია, რუსთაველის ხელმძღვანელობით. რუსეთის სამხრეთით ჩვენ ვიქნებით, რაც ფინეთია ჩრდილოეთით. ღმერთი მოწამეა ჩვენი გეგმა გადაჭარბებული არ არის, ჩვენი ამბიცია სამართლიანია. ქართულ ისტორიულ შარა გზაზე ყველა მტრები მოვიშორეთ, ეხლა რიგი მიდგა მოსკოვზე, შორს არ არის ლეგენდარული ტორპიის უფსკრული, რათა ქართველობამ ამოისუნთქოს.

საქართველოს ქართველებო! ჩვენ სიყვარულით დატვირთულ გრძნობებს, ან იმედიან მომავალს ნუ დასტოვებთ უყურადღებოთ. პირდაპირი თუ ირიბული ღ ა ლ ა ტ ი არ ეკადრება ჩვენ სამშობლოს. ისმინეთ უპრეტენზიო კასანდრას რჩევა, თქვენი ტვირთი მძიმეა, მაგრამ არა შეუძლებელი.

განგებამ ინებოს, ამ ისტორიულ პაემანზე სპეტაკი გულით შეხვედროდეთ უცხოეთში დაბადებულ ძმებს. ამ იმედით ჩავდივარ უფროსები სამარეში . . . ამბობენ ბევრი სიყვარული ადამიანს ჰკლავსო, ეს თქმულება ჩვენზე გამართლდა. უსურვებთ პატარა ქართველებს ჩვენი თავგანწირვა არ დავიწყებოდეთ.

აი, ჩვენი თხოვნა, ანდერძი პოლიტიკური და ეროვნული.

***

მოვალეობის დიდი შეგნებით ვწერ ამ ფურცლებს, რომლებსაც მიზნათ აქვთ დასახული ადამიანების შეფასება. ვიცი ჩემი

ტვირთი მძიმეა და საპასუხისმგებლო. ერთ'ში ყველა დამეთანხმება: პოლიტიკურ ასპაზეზზე ადამიანები განსხვავდებიან ნიჭით, შესაძლებლობით, ხასიათით, ნებისყოფით, ან უნარით. ასეა ყველგან, ასეა ჩვენში. როგორც ომში არიან შეუცვლელი კაპიტნები და უბრალო ჯარისკაცები, ამავე კანონს ემორჩილება პოლიტიკური ცხოვრებაც. სწორეთ ამ კრიტერით უდგები ადამიანებს. სხვა საზომი არის უსულგულო და ფარისევლური.

ყველაზე ვწერ გრძნობით, სიყვარულით და ეროვნული საზომით. სადაც გულწრფელობაა, იქ კრიტიკას მცირე როლი აქვს. ვიცი ყველა ნაშრომს მოენახება სუსტი ადგილი, მაგრამ ეს მე არ მაფიქრებს. ვიცი ზოგიერთები იტყვიან ასე სჯობდა, ან ისეო. მე პრეტენზია არა მაქვს ხელოვნების შექმნის, არამედ მე ვცდილობ დარჩეს უბრალო დოკუმენტი. გარდა ამისა ასპარეზი ხომ თავისუფალია და ყველას მოვალეობაა შექმნან ქრონიკული მასალა ემიგრაციისა, თანახმად შესაძლებლობისა. არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ წინ მელობება ჩემი ხელმოკლეობა, რათა რიგიანი ნაშომი დამებეჭდა და მეტი მეთქვა, როგორც მოვლენებზე, ისე ადამიანებზე. სულ არარაობას ვამჯობინე მცირე ფურცლები.

კოლექტიურად შედუღებულმა და ეროვნული იდეებით შეპყრობილმა ემიგრაციამ თავისი მოვალეობა მოიხადა. თავგანწირვა იყო კოლექტიური ხასიათის და ყველამ ერთგულათ იმუშავა ეროვნული ტაძრის ასაშენებლად. თავგანწირვა კოლექტიურია: ასე იყო ათინაში, რომში, იერუსალიმში, ყერდენში, ან კრწანისის ველზე, ამ საზოგადოებრივი სამარის და მისი არარაობის გარშემო ბევრი რამ ითქმის, მაგრამ არ შეგვიძლიან ამ ეამად.

„ჰაერში გაჰქრა მათი სახელი
და ეამთა მოწმე სადამი ძეგლი,
არ გვიქადებს მათთა საქმეთა
დუმილი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა".

მოღვაწეების კერძო ნაკლები არსად მომიხსენებია, არა იმი-რომ, რომ არ დამინახავს, არამედ საჭირო არ არის მომავლისა-თვის. განა ჩვენ ვიცით ნაკლები იმ ადამიანების, რომლებმაც ჩვენი ეროვნული ისტორია შექმნეს? ვიცი იკითხავთ: თუ მი-უდგომელი ვარ. პირადი გაუგებრობა არავისთან არა მქონია, სი-ძულვილი ჩემს გულს არ გაჰკარებია. მხოლოდ ერთი რამ არის აღსანიშნავი: ადამიანების ღირსებები მეტ-ნაკლებია ცხოვრება-ში. სხვა მხრივ ყოველგვარი ქმნილება ატარებს პირად დაღს. ამ ბუნებრივ კანონს ვერც მე ავიცილებ

მოღვაწენი და ადამიანები

ამ ქვეყნიდან განსულნი

ნოე ჟორდანია

განსვენებულ პრეზიდენტზე, ბევრი კარგი თქმულა, ბევრი ითქმება, მისი პიროვნება შესწავლის საგანი გახდება. ასეთია ხვედრი ისტორიული პიროვნებისა.

ჩვენ ვფიქრობთ, შეუძლებელია ორი აზრი არსებობდეს მისი ჭკუა-გონების გარშემო. ნოე ჟორდანია უნიჭიერესი ქა-ართველია ჩვენ საუკუნეში, ან ქართულ ისტორიაში. ჩვენ ვიცით მისი კრიტიკოსების ფასი, და რაც მთავარია, კულტურულ ერში უდაო პიროვნება არ არსებობს. ბუნებრივია მისი კრიტიკაც. ამ მოვლენას არ ვებრძვით. რასაც ჩვენ აღვნიშნავთ: სამოცი წლის მანძილზე მან ბრძნულათ უპასუხა ყველა ჩვენ ეროვნულ პრო-ბლემებს, ანდა მის ადგილს სხვა ვერ დაიკავებდა. ყოველ შე-მხვევაში ჩვენ ამ „სხვას“ ვერა ვხედავთ.

საქართველოში მან შემოიტანა დასავლეთის კულტურა, რომელიც არსებითად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის პრიმიტი-

ულ აზროვნებას და დამბლადაცემულობას. შეძლების გვარად მან შეადუღა ძველი და ახალი საქართველო. პირველად მრავალი საუკუნეების შემდეგ, ის ლაპარაკობდა მთლიანი საქართველოს სახელით. არავინ იფიქროს ეს პატარა ამბავი იყოს. შეიძლება ერეკლე მეორეს რუსეთისთვის მფარველობა არ ეთხოვა, რომ იმერ-ამერი ერთად ყოფილიყვნენ.

ნოე ჟორდანია, საზოგადო კრებაზე იყო შეუდარებელი, ყველანი ვიყავით მისი აზრებით დატყვევებულნი. ახასიათებდა ლრმა ანალიზი. არასოდეს იოლ გამოსავალს არ ეძებდა. მსჯელობის დროს სიბრძნის ისეთ მიჯნამდე მიდიოდა, სადაც ადამიანები კოლექტიურათ, რეზონით თვრებიან. ნოე ჟორდანია არ იყო მჭერმეტყველი, არამედ იყო დიდი აზრების ორატორი, მეაბჯრე კეთილშობილი იდალების. მას არ უყვარდა საგნის გარეშე ლაპარაკი, არც ვრცელი სიტყვა. ახასიათებდა ქართულ ისტორიაზე დაყრდნობა. კერძო ლაპარაკში იყო სრულებით სადა, არასოდეს პოლიტიკაზე არ ლაპარაკობდა. ახასიათებდა სხვისი აზრების პატივისცემა. ზოგჯერ დათმობაც. უსმენდა ყურადღებით და პატივისცემით უბრალო ხალხს და გაურბოდა გონება დაბნეულ ინტელიგენტებს და ესტეტებს.

გარეგნობით იყო იშვიათი შეხედულობის ადამიანი (რასაც ევროპაში დიდ ყურადღებას აქცევენ), ალვის ხის ტანი, თეთრი პატრიარქალური წვერი, ნამდვილი საპრეზიდენტო პიროვნება. მოგახსენებთ ერთ დამახასიათებელ შემთხვევას. 1926 წ. მარსელში იყო სოციალისტური კონგრესი, რომლის სხდომაზე დაგვიანებით მოვიდა ქართული დელეგაცია, რომელიც შესდგებოდა შემდეგი პირებისაგან: ნოე ჟორდანია, ირ. წერეთელი, ევ. გეგეჭკორი, კ. კანდელაკი, ა. ჩხენკელი და მგონი მიხ. ხუნდაძე. მათმა ტანადობამ და სილამაზემ მთელი კონგრესის ყურადღება მიიპყრო; არ იცოდნენ ვინ იყვნენ, ვიდრე დაუვიწყარმა ჩვენი ქვეყნის მეგობარმა, რენოდელმა, რომელსაც კომუნისტები ნათლავდნენ „ქართველათ“, არ დაიყვირა: „ესენი არიან ჩემი მეგობრები, ქართველებიო“, რასაც დარბაზი ტაშით შეხვდა.

პოლიტიკაში გულჩახვეულობა, ან სიძულვილი მისი ბუნებიდან გამორიცხული იყო. ამ თვისების მაგალითები ბევრი გვაქვს...

რთული საკითხის დროს, ყოველთვის მიმართავდა ჩვენი ერის ისტორიას. მისი შეფასება რუსეთზე, ან ბოლშევიზმზე იყო კატეგორიული, უკომპრომისო. ძალიან ფრთხილად ეკიდებოდა ქართველი ხალხის ბედს, ფიქრობდა შესაძლებელ უბედურებაზე და ცდილობდა მის აცილებას. მისი ბუნებიდან, ან მსოფლმხედველობიდან გამორიცხული იყო ავანტურა.

საზოგადოთ ქალის როლი ოჯახში გადამწყვეტად მიაჩნდა, განსაკუთრებით აფასებდა დედას. ამ მხრივ ის იყო აკაკი წერეთლის მიმდევარი. მამაზე უფრო დაბალი წარმოდგენის იყო. მეორე, ან მესამე ხარისხის არსებათ სთვლიდა. განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ვაჟს ოჯახში. ქალიშვილზე იტყოდა „გასაფრენათ ემზადებაო". დიდათ აკვირდებოდა საზოგადოთ ბავშვების ბუნებას, მათი განვითარების საფეხურებს, ბუნებრივ ჭკუას, აბსოლუტურ გულწრფელობას,ერთი სიტყვით, ბავშვში მოცემულია ნამდვილი საამქვეყნო თვისებები, რასაც დიდებში ველარ ვხედავთ დისიმულაციის წყალობით იკარგება ნამდვილი ბუნება. დიდათ აფასებდა ოჯახიან მეგობარს და განსაკუთრებით ბევშვებს. ძლიერი გრძნობით უყვარდა შვილიშვილები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სფეროში ის მარტო არ არის: შვილიშვილი ტკბილი ყოფილა.

ნოე ჟორდანიას დედა ყოფილა მეგრელის ქალი. პრეზიდენტს ჰყოლია და, ქალიშვილის ხელი უთხოვია, ვინმე მხეიძეს, ზედმიწევნით ლამაზ ვაჟკაცს. ნოეს დედას ცინიკურად უარი უთქვავს მხეიძესათვის. ნოეს გაკვირვებია დედის ქცევა და პასუხი და განმარტება მოუთხოვია. დედას ასე უპასუხია: „ქალი არ მივეცი, იმიტომ, რომ მეგრელი იყოვო". თუმცა თვითონ მეგრელის ასული იყო.

ასე ყოფილა, გურულები თურმე მეგრელის ქალებს თხოულობდნენ, როგორც კარგ დიასახლისებს, მაგრამ, რატომღაც გურულები მეგრელებს ქალებს არ ატანდნენ.

როგორც დიდი ადამიანების ცხოვრება გვასწავლის, პატარა მოვლენებს ვერ ხედავდა. პრაქტიკულ ცხოვრებაში იყო სრულიად გულუბრყვილო, ვერ წარმოედგინა თუ ევროპა-ამერიკაში გონების ნაყოფით მდიდრდებოდნენ.

თითქმის ორმოცი წელიწადი საფრანგეთში ცხოვრობდა და ფრანგულ ფულს ეძახდა თუმანს, მანეთს და აბაზს. უყვარდა ბაზარზე მოქადაგე „კალმოების“ სმენა. ახასიათებდა ძველი ნივთების ყურება. ვერ გაეგო ფრანგები რატომ სჭრიან ბალახს ეზოში. სეირნობის დროს აკვირდებოდა იმ პროგრესს, რომელიც საფრანგეთში ხდებოდა ყველა დარგში და ნატრულობდა ჩვენი ქვეყნისთვის ინდუსტრიალურ აყვავებას. დიდი წარმოდგენის იყო ევროპის ცივილიზაციაზე, ტექნიკაზე და გონებრივ სფეროში, მხოლოდ გაკვირვებული იყო ზოგიერთი ზერელე ნაკლებით, რომელთა აცილება ადვილათ მიაჩნდა.

ერთხელ მის უკვე მომწიფებულ ვაჟს საცხოვრებლად ისეთი უმნიშვნელო თანხა მისცა, რომ ყმაწვილს მალე დაეხარჯა. ლევან ფალავამ მორიდებით გააგებინა, რომ რეჯიბს ფული სულ დაეხარჯა. ნოე გაკვირდა და სთქვა: „ამდენ თუმანს რა უყოვო“. ვერ დააჯერეს, რომ ის სცდებოდა და მართალი იყო შვილი.

ერთხელ ჩვენი კარგი მეგობარი გრ. ბარამიძე და მე „მერიაში“ წავყევით მოწმეთ რაღაც ქალალდისათვის, ნოემ ჯერ ოჯახური ამბები გვკითხა, შემდეგ პროფესიონალური, ჩვენდა სამწუხაროდ ორივეს საწვრილმანო გვქონდა, ადამიანს არ შეუძლია თუ თავის გაჭირვებაზე არ იფიქრა, ან არ ილაპარაკა. მოუყევით, რომ ჩვენი საქმე კარგად არ მიდის, რადგან ვერაფერს ვგებულობდით, ისეთ საგნებზე, როგორც: ბრინჯი, რძე, შაქარი, ყავა, მინერალური წყლები, ღვინო, კარაქი, მაკარონი და სხვ. ნოეს გაუკვირდა და ბრძანა: „ჩემო ძმაო, რა ხელობა აგირჩევიათ, თუ ვერას გებულობთ თქვენი საქმე დალუპულია და სხვა რამე უნდა მოძებნოთო“. რა იცოდა პრეზიდენტმა, რა იყო საწვრილმანო და ჩვენი სიღარიბე.

როგორც ყველა გურული, ისიც ძლიერ აფასებდა ადესის ღვინოს, სიმონ ბლიაძის დაწურულს და მოწიწებით გვთავაზობდა ახალ წელს. დიდათ აფასებდა მორალურად საჩუქრებს, რომელსაც ამხანაგები მიუტანდნენ. ბ-ნი ჟორდანია ძლიერ ღარიბი იყო, ამხანაგებში ვაგროვებდით მცირე თანხას, რა თქმა უნდა. მეც მოვინდომე ჩემი წვლილის გაღება, რაზედაც ბ-ნმა ნოემ უარი სთქვა. როცა შემხვდა ასე დამარიგა: ჩემო ძმაო, ბავშვებს მოუარე და ჩემზე ნუ იფიქრებ, როგორც მოხუცებულზეო.

ნოე რამიშვილი

ნოე რამიშვილი არაჩვეულებრივი მოვლენა იყო საქართველოს პირობებში. მიკვირს ასეთი ფენომენი, როგორ წარმოშვა ჩვენმა ცხოვრებამ. ნოე რამიშვილს ჰქონდა რკინის ხასიათი, დაუშრეტელი ენერგია და პერმანენტული ოპტიმიზმი. ასეთი რეალიზმით მდიდარი მოღვაწე არ შემხვედრია ჩემი ცხოვრების გზაზე. მისი გონება დამდგარი აზრები, საღი ოპტიმიზმი კვებავდა ჩვენ თაობას. მის მიერ აღწერილი საქართველოს მომავალი, შემოქმედების შედეგრი იყო. მით უფრო, რომ ყოველთვის რჩებოდა რეალური შესაძლებლობის ფარგლებში. ერთნაირი სიყვარულით აკეთებდა დიდს თუ პატარა საქმეს. ის არ იყო შემთხვევით გაზრდილი ლიდერი. იყო დიდებული ორატორი, ნათელი აზრის მქადაგებელი. კამათის დროს არ იცოდა მტერ-მოყვარე. ის დასახულ აზრებს უმიზნებდა. ზედმიწევნით იცოდა ქართული საქმე, ჰქონდა დიდი უნარი ლიდერობის. კაცუნები ამბობდნენ, რამიშვილი „ჩამწყობია"-ო. ეს არის ლეგენდა. ის იყო საქმის მომწყობი და არ „ჩამწყობი". წვრილმანი საქმეები მის დიდ ბუნებას არ ეგუებოდა.

თუ ნოე ჟორდანია ტვინი იყო ჩვენი პარტიის, ნოე რამიშვილი იყო მებრძოლი, რომლის ბეჭები ატარებდა ეროვნულ სიმძიმეს. განსვენებულმა ჩემ თაობას წარუშლელი დაღი დაასვა. ნ. რამიშვილის ნიჭს და ხასიათს მიეწერება, სტალინის გაძევება საქართველოდან. მისი ვერაგული სიკვდილი, მუდამ საიდუმლო-

ებით იქნება მოცული. ფაქტია ის „ქართული“ გვარის კაცმა მოკლა. ამან უფრო გაალრმავა სევდა. იყო დიდი მეგობარი და გზის მაჩვენებელი ახალგაზრდა, ნიჭიერი ყმაწვილების.

ნოე რამიშვილმა ადრე დაგვაობლა. მტერმა ციხე შიგნიდან აიღო... ვაი სირცხვილო. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ, პირველათ მოხდა ჩვენში პოლიტიკური მკვლელობა, რომელმაც ასე უღვთოდ გადაჭრა ჩვენი ეროვნული მარჯვენა. მისი სიკვდილი უდრიდა ეროვნულ კატასტროფას, მისი ადგილის შეცვლას დიდი დრო სჭირდება. ასეთ სრულყოფილ ადამიანს ისტორია იშვიათად ბადებს.

კარლო ჩხეიძე

განსვენებულს დიდი ხანი არ უცხოვრია ემიგრაციაში. მან თვით-მკვლელობა ჩაიდინა 1926 წელში. ბრძენმა უარყო ბრძნული თქმულება:

„სიკვდილამდე არ მოუკლავს, თავი კაცსა მეცნიერსა“.

პოლიტიკურად მას ჰქონდა დაუშრეტელი ენერგია, იმსახურებდა ყველას პატივისცემას. მისმა უდროოდ სიკვდილმა, ჩვენ პარტიაში შემოიტანა გულ-წრფელი გლოვა და სინანური.

ბუნებით მისი ასპარეზი იყო აბობოქრებული ცხოვრება და არა ემიგრაციის მდორე არსებობა. კარლოს გამოსვლას კრებაზე, ყველა სასოებით უსმენდა. ის იყო ორატორი, ბრძენი, მისი ლოლიკა იყო ჭეშმარიტების განსახიერება. კარლო იყო არა ეფექტის კაცი, მისი სიტყვები მიმართული იყო გონებისადმი. როგორც ორატორს ვერ ვიცნობ, მაგრამ მისი დებატებში ჩარევა, იყო სინათლე-სიბნელეში.

მის გამოსვლას თან სდევდა ქართული კულტურის ღრმა გაგება, ეკონომიურად ჩვენ ქვეყანას იცნობდა იშვიათად, „საქართველოს მინერალური წყლები და აგარაკები აცხოვრებსო“, მის მიერ საქართველოს მომავალი აღწერილი იყო ისეთი დამარწმუნებელი და დამაჯერებელი ტონით, რომ მსმენელს ენა უვარდებოდა ამდენი ჭეშმარიტების წინაშე. იცოდა ზედმიწე-

ვნით რუსეთი, როგორც ძველი, ისე ახალი. იცნობდა ადამიანებს. რუსეთზე, ან მის ადამიანებზე კარგს ვერ ათქმევინებდით. ლენინზე იტყოდა: „ბოშო, ყველაფერს იკადრებსო“.

კარგად იცოდა საქართველოს კუთხეები. გაკვირვებული იყო მისი მცხოვრებლების განსხვავებით. ვერ წარმოედგინა გურული ვლასა მგელაძე და ქართლელი არავიაშვილი ერთი და იმავე ერის შვილები არიანო. ჰქონდა განმაიარაღებელი და ნაზი ჰიუმორი. ერთმა გურულმა ამხანაგმა სიამაყით აღნიშნა, რომ გურულები ბევრნი ვართ ემიგრაციაშიო, რაზედაც კარლომ უბრალოთ უპასუხა: „იმიტომ, ბოშო, რომ კარგი გაქცევა იცითო“. საქართველოს ფეოდალიზმზე, ან მის ნაშთებზე, იტყოდა: „ბოშო, ჩვენებურ საყვარელიძეს ორი „ბოიკი“ ყავს და სარალიძეს ერთიო; აი მათი განსხვავებაო“. ძლიერ დასცინოდა ჩვენებურ ძროხებს: რომ მიდიან ჯიქანს რახა-რუხი გაუდისო.

მას გულს უკლავდა ჩვენი ქვეყნის გლეხის სიღარიბე. ერთხელ ლევილის შატოში ფრანგი გლეხი მუშაობდა. რა თქმა უნდა გლეხმა 12 საათზე მუშაობას თავი დაანება და წავიდა. კარლომ თავი გადიქნია და სთქვა: „რამდენათ ბედნიერია ეს გლეხი, შინ დახვდება ღვინო, თეთრი პური, ხორცი, ყველი და ხილი, ჩვენ უბედურ გლეხებს, ქამარზე კიდიათ ცივი მჭადი, ყველის ნაჭერი და ცივი წყალიო“. ამ უბრალო გამოთქმაში არის მოქცეული ძირითადი დრამა ჩვენი გლეხობის, მსუბუქათ ნათქვამი, ძნელათ გამოსასწორებელი.

ერთხელ განსვენებული სვიმონ წერეთელი ავათ გახდა. კარლომ მზრუნველობით მოუარა (კარლო სვიმონის ნათესაი იყო). წასვლის დროს მხიარულათ უთხრა: „ბოშო, ეხლა ფრანგებივით უნდა გითხრა: „ბონ-აპეტიტო“, მაგრამ შე უბედურო საჭმელი არაფერი გაქვსო“. წავიდა და ერთი საინი ლობიო მოუტანა.

ირაკლი წერეთელი

სულ სხვა ბუნების კაცი იყო, დიდი ავტორიტეტი, ყველა ჩვენ დიდ პატივსა ვცემდით. მის სახელთან იყო დაკავშირე-

ბული ერთგვარი ლეგენდა, ძლიერი პიროვნების, უმაგალითო ორატორობის. ჩემი აზრით, ის იყო კაცი მიზანტროფი, შედარებით ცივი, ჩხეიძის და რამიშვილის დასაფლავებას დაესწრო, მერე არც მე მინახავს და არც სხვას.

საზოგადოთ, ის ჩვენ საზოგადოებას გაურბოდა. რა მოტივით არ ვიცი. გარეგნულად ის იყო იშვიათი შეხედულობის, არა ჩვეულებრივი გამომეტყველების თვალები ჰქონდა, იყო უდიდესი ორატორი. ასეთი ძლიერების ორატორი არ შემხვედრია არც ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ შ ი და არც ფ რ ა ნ გ ე ბ შ ი. უ ნ დ ა გამოვტყდე, მჭერმეტყველობა არ მიზიდავს. მით უფრო ისეთი მჭერმეტყველობა, რომელიც „კალმოებს", ან შარლატანებს ახასიათებს. ირაკლი კი იყო მართლა ოქროპირი. გეგონებოდათ, კაცია გრანიტათ გადაქცეული, რომლის პირიდან ისმოდა საუკუნის ტკივილები. მისი მჭერმეტყველობა იყო მომჯადოებელი, ღრმა აზრების. ის არასოდეს არ მიმართავდა გაცვეთილ მეთოდებს. მის სიტყვებში გრძნობდით, რომ განიცდიდა ეროვნულ დრამას. მისი ორატორობა იყო ხალასი, რეზონზე აგებული. ამ ჯავშანის გატეხვა ადვილი არ იყო. ის არ იკადრებდა ვექილების დახურდავებულ მჭერმეტყველობას. ირაკლიზე შეგვიძლიან გავიმეოროთ ფრანგული თქმულება: "qelle force de nature"!

უნდა ვაღიარო: ასეთი ძლიერების ორატორი მუდამ მარცდებოდა ნ. ჟორდანიასთან, ან რამიშვილთან კამათში. მე არ ვგულისხმობ დამარცხებას კენჭის ყრით. ეს ბრწყინვალე ორატორი ვერ იყო დამაჯერებელი ჩვენი თაობისათვის. ერთხელ დებატებში მან განაცხადა: „ძლიერ მინდა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ არა მწამსო". ამ აზროვნების დაცვა მართლაც ხომ შეუძლებელია!

ან, თითქოს, რუსეთის დემოკრატიის განვითარება მოაგვარებდა ჩვენ საკითხს, დამაჯერებელი არ იყო. მართალია დღევანდლამდე არც ჩვენი პოზიცია არის გამარჯვებული, მაგრამ ეს უფრო რეალურია.

ირაკლი გონებრივათ იყო დიდათ პატიოსანი. როდესაც გა-

იცინებდა, ეს ნიშანი იყო სიკეთისა და პატივისცემისა „მოწინააღმდეგის“ მიმართ. ერთხელ განსვენებული ვლასა მგელაძე მეორე ინტერნაციონალის გულგრილობას დასტიროდა. ირაკლიმ დიდი საბუთებით დაიცვა ინტერნაციონალი, რაზედაც ჩვენმა მეგობარმა უპასუხა: „ჩემო ირაკლი, შენი მომრეევი რქები ღმერთს ჩემთვის არ მოუცია, მაგრამ არაფერი გმირობა არ უნდა ინტერნაციონალს ჩვენი დახვრეტილი ამხანაგების პატივსაცემათ ადგნენ სკამებიდანო“. ყველა გაგვამხიარულა ამ სამართლიანმა გულისტკივილმა და ყველაზე მეტად ირ. წერეთელი.

გამიგონია ზოგიერთების აზრი, რომელთა მიხედვით, ვითომ ირ. წერეთელს, პარტიაში „უსამართლოდ მოექცნენო“ და ამიტომ გვერდზე გადგაო. ეს არის მითი, თუ გნებავთ. ირ. წერეთელი გაბუტვის კაცი არ იყო. გარდა ამისა ვინ გაუბედავდა მას დაჩაგვრას? ან რისთვის? სიმართლე მარტივია: მისი აზრები დიამეტრიალურად ეწინააღმდეგებოდა ჩვენსას და იცოდა ვერ გაიტანდა, ამიტომ ამჯობინა გვერდზე გადგომა, რადგან შინაური ბრძოლები მას არ აინტერესებდა.

ევგენი გეგეჭკორი

ჩვენი ლიდერების რიცხვს ეკუთნოდა ევგენიც. ის იყო სახელმწიფო მოღვაწე და არა ორგანიზატორი, „პარტიის შავი მუშა“. მას ჰქონდა საკუთარი ადგილი და ღირსეულათ ეჭირა თავი. ჯერ იყო მისი გარეგნობა, რომ ყურადღებას იქცევდა, იცმევდა იშვიათად სუფთათ, ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენ წრეებში გარეგნულ აღნაგობას, ან სისუფთავეს, ცოტა ყურადღება ექცეოდა, იმ დროს, როცა ევროპიელი გარეგნობას დიდ ყურადღებას აქცევს. ევგენმა, სრულიად აზალგაზრდამ დაამტკიცა თავისი ბრწყინვალე მომავალი. ჩვენ პარტიაში მას შემოჰქონდა სიდინჯე, ნათელი აზრები და კაცთმოყვარეობა. ევგენის ლაპარაკს ვუსმენდით სასოებით. ჰქონდა იშვიათი ნიჭი მჭერმეტყველობის; ორიგინალური საბუთებით იცავდა ჩვენი ერის უფლებებს. მისი ლაპარაკი მუდამ მომხიბვლელი იყო.

ჰქონდა დიდებული ბუნებრივი ნიჭი. ის არ იყო კაბინეტის კაცი, არამედ მოქმედების. ევგენი შეუცვლელი იყო მის დარგში. მისმა სიკვდილმა არა მარტო ჩვენ დაგვაღონა, არამედ ჩვენი მეზობლებიც. ძლიერ უყვარდა ახალგაზრდობა, გულით უხარიოდა, როცა ჩვენ რიგებში ვინმე ნიჭიერს დაინახავდა.

ძლიერ უყვარდა ქართველების დახმარება. ეს მას ემარჯვებოდა, რადგან გავლენიანი იყო ფრანგულ ადმინისტრაციაში. ასეთ შემთხვევაში თავს არ დაიზოგავდა. ერთხელ ჩვენ კარგ ამხანაგს, დათა რევაზიშვილს უმუშევრობის დახმარება მოუწყო. შადლიერმა დათამ ქოხში დაპატიჟა თავისი კათილისმყოფელი. ჩვენ ყველა ვფიქრობდით, რომ ევგენი რამეს მოიმიზეზებდა, რომ დათას ქოხში არ მოსულიყო. როგორი სასიხარულო სიურპრიზით გავიგეთ, რომ ევგენი სპეციალურად ჩამოვიდა პარიზიდან და ესტუმრა გახარებულ დათას. ამრიგათ, დიდმა კაცმა პურმარილი არ დაუწუნა ჩვენებურ გლეხს და თავისი მოსვლით გააბარა მოხუცი კაცის გული. აი, რა მეჩვენება ადამიანურ ფონზე მოღვაწის სიდიდეთ.

გარდაიცვალა მოულოდნელათ. მისი დასაფლავება მის სიცოცხლეს ჰგავდა. საყვარელი ადამიანი გულისტკივილით მიაცილა საზოგადოებამ ძმათა სასაფლაოზე.

კონსტანტინე კანდელაკი

განსვენებული კონსტანტინე ჩვენს რიგებში იყო ენციკლოპედიური ცოდნის ადამიანი, განსაკუთრებით ეკონომიურ დადარგში. იყო წარმოუდგენლად მორცხვი ამხანაგი. მას ერთს შეეძლო შეედგინა საქართველოზე ეკონომიური დოკუმენტი. კონსტანტინე იყო კაბინეტის კაცი, მაგრამ შეეძლო იშვიათი პოლიტიკური გამოსვლაც. ჩვენი ქვეყნის არსებობის საფუძვლები მას შესწავლილი ჰქონდა, როგორც ეკონომისტს და ამტკიცებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შესაძლებლობას ეკონომიური მდგომარეობა არ ეღობებოდა წინ.

მისი შერყეული ჯანმრთელობის გამო იშვიათად ესწრებ-

და ჩვენ კრებებს, მაგრამ იცნობდა ყველას, ავი და კარგი არ გამოეპარებოდა. ჰქონდა არაჩვეულებრივი იმერლური აქცენტი. ხილში ყველაზე უფრო უყვარდა ზღმარტლი და ვერ გაეგო რატომ ამ ხილის მოშენებას არ მისდევენ ფრანგები. მომხრე იყო პარტიის დოქტრინის გადახალისებას, რის საფუძვლად მოჰყავდა ეკონომიური ფაქტორები.

განისვენებს ძმათა სასაფლაოზე.

ძმები: აკაკი და კიტა ჩხენკელი

უფროსი ძმა აკაკი ორიგინალური მოღვაწე იყო. ადამიანი არა ჩვეულებრივი ზრდილობის და სიდარბაისლის. ჩვენ პარტიაში ითვლებოდა დისციპლინის კაცად, მაგრამ იდეოლოგიურად იცავდა ყველა ქართველების ერთობას, ყოველ პირობებში. თუ სოციალიზმის ეკონომიურ პროგრამას იზიარებდა ურეზერვოდ; სამაგიეროდ, ეროვნულ საკითხში მას ჰქონდა სულ სხვა მიდგომა, რომელსაც ნიჭიერათ იცავდა. საფრანგეთში იყო ჩვენი რესპუბლიკის პირველი ელჩი და დიდი ღირსებით ასრულებდა მოვალეობას. ჰქონდა დიდი ცოდნა და კულტურა. როგორც ორატორი არავის არ ჰგავდა. მისი კრებაზე გამოსვლა ყოველთვის დამაჯერებელი იყო. თუმცა მისი ლაპარაკი მუსაიფის ტონს ატარებდა; ეხერხებოდა და სწერდა ნიჭიერად.

უალრესად აფასებდა ნ. ჟორდანიას, ი. წერეთელს და ჯ. ჩხეიძეს, მაგრამ განსაკუთრებული კულტი ჰქონდა ი. წერეთლის. მის ნიჭსა და ორატორობის უნარს ყველაზე მაღლა აყენებდა, მისი აზრით ამგვარი ორატორი იშვიათია ცხოვრებაში.

კიტა იყო მეცნიერი, თუმცა პოლიტიკური გამოსვლაც შეეძლო. თავის ძმასავით ზრდილობიანი და დავმდაბალი. ქართული ენის სფეროში მისი ღვაწლი დიდია, თავის მიმზიდველობით მან შესძლო დაეინტერესებინა ევროპიელის მრავალრიცხოვანი მსმენელი. მას ჰყავდა ქართულად მოლაპარაკე მანდილოსნების წრე. აღელვებული და გაკვირვებული დარჩებით, ამ მანდილოსნების სუფთა ქართულით. ჩემი აზრით განსვენებულ კი-

ტას ჰქონდა უნარი და არაჩვეულებრივი მიმზიდველობა, რათა ქართული სიტყვა შეეყვარებინა უცხოელებისათვის.

რაჟდენ (მიშა) არხენიძე

ბუნებისაგან დაჯილდოვებული ქართველი იყო, მისმა სიკვდილმა ძლიერ დამაღონა. ყველა ვატყობდით, რომ მისი დღეები დათვლილი იყო, მაგრამ არა გვჯეროდა, რომ ეს ბებერი მუხა წაიქცეოდა. იქნება იმიტომ, რომ მისი შემცვლელი არავინ იყო. ჩვენი ლიდერებიდან მასთან ვიყავი დაახლოებული და რაც მთავარია, მისგან ბევრი სიკეთე ვისწავლე. რაჟდენი იყო დიდი ცოდნის და კულტურის კაცი, ბრწყინვალე ორატორი, იურისტი და დამწვარი ჩვენი ეროვნული ტრაღედიით.

იშვიათად იცოდა ქართული ლიტერატურა, ჩვენი ცხოვრება, ევროპის ავკარგი და ყველაფერ ამას უფარდებდა ჩვენი ქვეყნის პირობებს. მასთან მუსაიფით ბევრი ხალასი ცოდნის მიღება შეიძლებოდა. ახასიათებდა დიდი და მყარი მეგობრობა. ადამიანის სულის მოძრაობის გაგება. იყო თავმდაბალი კაცი და აღფრთოვანებდა ახალგაზრდა ტალანტები. დიდი წყურვილი ჰქონდა ცოდნის: როცა ძროხას აბალახებდა წიგნი ეჭირა ხელში. დიდი დაკვირვებით უდგებოდა საქართველოს და მოსწონდა ჩვენი ერის რაციონალური ოპორტუნიზმი. მისი მჭერმეტყველობა იყო პირდაპირი, მდიდარი შინაარსის. ლაპარაკობდა აღელვებით და არ იცოდა კარგად რუსული ენა. უყვარდა და ხშირათ თამაშობდა კარტს ბიძია სიმონთან, რომელიც მიაჩნდა ცოცხალ სინტეზად ძველს და ახალ საქართველოს შორის. დიდათ აფასებდა ნ. ჟორდანია-ჩხეიძე-წერეთელს. ბოლშევიზმი მიაჩნდა, როგორც პოლიტიკური უბედურება და როგორც დიდი ერის იდეოლოგია. ერთხელ შატოში დადიოდა დაფიქრებული და აფორიაქებული, როცა შეეკითხეთ აღელვების მიზეზი, მან გვიპასუხა: ჯაყოს ხიზნების მთავარი გმირი „ხევის თავი" სადღაც მინახავს და ვერ მოვიგონეო. ნორმალურ პირობებში მას შეეძლო გაეკეთებინა მრავალი ეროვნული საქმე.

მცირე შენიშვნა: არსენიძის მეგობრობის გრძნობის აღნიშვნამ, საბაბი მომცა, მცირე რამ მოგახსენოთ. მე ვფიქრობ ერთგულ მეგობრობას ფასი არა აქვს: არიან ადამიანები, რომლებიც მეგობრობას საფლავში ჩაიტანენ; ჭირში და ლხინში თქვენთან იქნებიან, რა პირობებიც არ უნდა იყოს არ გიღალატებენ, მეორე მხრით არიან „ვითომ მეგობრები“, რომლებიც პირველ ქარ-ნიავზე, ან უბრალო ანგარიშით გვერდზე გადგებიან, ხელებს დაიბანენ, ან ფარისეველურ მანჭვას დაიწყებენ. ვინ იცის რისთვის?. სიტყვამ მოიტანა და იმიტომ მოგახსენეთ, თორე ჩვენთვის უკვე გვიან არის, ახალგაზრდებს კი ჩემი ხმა ვერ მისწვდება.

გიორგი ერაძე

განსვენებული იშვიათი მოვლენა იყო ჩვენს ცხოვრებაში. ის იყო დინჯი, გონიერი, ძრაჩვეულებრივი ჭკუის პატრონი, მისი მაგალითი ამტკიცებს, რომ ხალასი ნიჭი მთავარია და სწავლას ბევრი მნიშვნელობა [illegible] აქვს, მაგრამ იგი მოითხოვს ნაყოფიერ ნიადაგს; წინაალმდეგ შემთხვევაში მიიღებთ ჭკუა-თხელ ინტელიგენტს. გიორგი ერაძეს ახასიათებდა პრაგმანტული მიდგომა საკითხისადმი. იყო დინჯი მოლაპარაკე, აუღელვებელი. ეხერხებოდა წერა. მისი ცოდნა-განათლება სიღრმეს მოკლებული იყო, ხოლო მისი ჭართული ენა სუფთა და გამართული. დიდათ აფასებდა ნ. ჟორდანიას აზროვნებას, მის ოჯახს, გაჭირვების დროს დახმარებას არ აკლებდა. შეხვედრის დროს ჯერ ოჯახურ ამბებს იკითხავდა. იცოდა ბევრი სახუმარო ამბები.

სამწუხაროა, რომ გ. ერაძემ არ მოინდომა პარტიის ხელმძღვანელობა. მას ამის უნარი ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ ერაძე დიდ მოვლენებს აპატარავებდა, ახურდავებდა. წვრილმანებს იცავდა და მთავარი ავიწყდებოდა. ასეთი არარაციონალური მიდგომა საბედისწერო იყო ეროვნული პრობლემისათვის და საბოლოო ანგარიშში მარცხის მეტი არა გამოუდიოდა რა. ამიტომ არის, რომ მისი კმაყოფილი ვერც პარტიაში ვნახე ვინმე და ვე-

რც პარტიის გარეთ. გიორგი ერაძის ხანგრძლივი სიცოცხლე ამტკიცებს, რომ საზოგადოებაში კვალის დაჩენას სჭირდება იდეალიზმი, აბსოლუტური რწმენა. თორემ მარტო ანგარიშებით, საბოლოოდ მიიღებთ ცინიზმს და ამ მეთოდით შორს ვერავინ წავა.

სიმონ წერეთელი

განსვენებული ითვლებოდა ჩვენი ემიგრაციის სულიერ მამათ. არავინ მეგულება ასეთი თავისებური ღირსებების მატარებელი. იყო სამაგალითო ადამიანი, დარბაისელი ქართველი. ღრმა პატრიოტი, კარგი მხედარი, სტუმართ მოყვარე, მხიარული. მოკლეთ, კეთილშობილი პიროვნება. ჩვენ მძიმე ცხოვრების მანძილზე, არ მეგულება რომელიმე ქართველი, რომელსაც სიმონის ქოხში პურ-ღვინო არ მიეღოს, გულით არ მოელხინოს, არ განეცადოს გულწრფელი აღელვება, ისე როგორც ბარათაშვილი თავის „ბედი ქართლისაში" ამბობს:

„სამჯერ მაინც გადაჰკრავს ღვინოს,
გამოიღვიძებს, შუბლს გაიგრილებს,
ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს:
არაგვო მაგ შენ ამწვანებულ მთებს,
და მერე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმისთვის ღარ დაღონდეს".

ასეთი გნწყობილებით მიდიოდა სიმონთან ქართველი კაცი. ეს იყო, ასე ვსთქვად, ზიარება, მისტერიული შთაგონება, რომელსაც მოსდევდა სამშობლოს უანგარო სიყვარული; სადღეგრძელოები, შოთას სიტყვებით შეზავებული. სიმონს უყვარდა ღვინო ბუნებრივათ, ზომიერებას არ გადააბიჯებდა, მაგრამ მეგობრები ითვრებოდნენ გრძნობებით. სიმონმა იცოდა დიდი და პატარა, იყო მაღალი ეროვნული შეგნების. მაგიდაზე ცუდ სიტყვას არ დაუშვებდა. უყვარდა გულით სიცილი; გასაკეთებელ საქმეს არ გადადებდა. რაც უნდა მომხდარიყო ღვინოს არ შეინახავდა, იტყოდა: „შენახული ეშმაკისაო". დიდი მომხრე იყო იერარქიის. გენ. გ. კვინიტაძე მიაჩნდა მთავარსარდლათ,

ნ. ჟორდანია პრეზიდენტათ. უყვარდა ჩვენებური ბუხარი და ნესტორ კალანდაძის მოტანილი ჯირკებით აგუზგუზებდა. არ უყვარდა ყბედი კაცი და ზარმაცი. ის. ქარსელაძეს და სიმონს სამაგალითო მეგობრობა ჰქონდათ. ისიდორეს ეძახდა „შვილს“. თავის მემკვიდრეთ ტოლუმბაშობისთვის დატოვა პავლე ვაშაძე.

საქართველოში სამსონ ფირცხალავა და ნ. ნიჟარაძე რომ დაბრუნდნენ, სიმონი არ გამოემშვიდობა. ასეთი მაღალი წარმოდგენა ჰქონდა ეროვნულ ვითარებაზე.

სიკვდილის არ ეშინოდა, მაგრამ დავრდომილობა აფიქრებდა. ღმერთმა შეიწყნარა მისი თხოვნა და ძალიან ცოტა ხანს იავადმყოფა.

შაბათ-კვირას მოულოდნელათ მოელოდა, უცდიდა ლევან ფალავას, პავლე ვაშაძეს, ჯაბა ხაბულიანს და სხვა მოულოდნელ სტუმრებს. სიმონს უყვარდა მაგიდა, აქ პოულობდა გაშლილ ასპარეზს: მისი ბუნება იყო სტუმართმოყვარეობა. ის იყო ჩვენი ქართველების გამმაერთიანებელი, რომელიც, სამწუხაროთ, იმ ჟამათ დაყოფილი იყო.

ბევრი რამე მახსოვს ჩვენი მწარე ცხოვრებიდან. ვინძლო მკითხველს გაეცინოს ამ სტრიქონების წაკითხვით.

ომის დროს დიდი გაჭირვება იყო. არაფერი არ იშოვებოდა. განსვენებულმა დათიკო ფერაძემ მოიყვანა მშვენიერი ბურვაკი, რომელიც ძღვნათ უნდა მიეტანა ვილაც გერმანელისათვის. ღორი დაკლეს ისიდორე ქარსელაძემ და კოლა ნიჟარაძემ, იმ პირობით, რომ თავ-ფეხი და ნაწლავები მათ დარჩებოდათ. მოხდა ერთი „მარცხი“. ღორს ისე მოსჭრეს თავი, (ცხადია შეგნებულად) რომ ბეჭის ხორცი ბევრი გაატანეს. ფერაძემ დამახინჯებული ღორი რომ დაინახა აყვირდა: დამახინჯებულ ცხოველს ვეღარ მიიართმევდა გერმანელს ძღვნად. ისიდორეს და კოლას ენა ჩაუვარდათ. სიმონ წერეთელმა საქმის ვითარება გამოასწორა და ფერაძეს მიმართა სერიოზული ტონით: „შვილო დათიკო, როგორ გეკადრება, ეს ბავშვები, (იგულისხმებოდა ისიდორე და კოლა) ყასბები არ არიან ხელობით, რა უყოთ, რომ

შეეშალათ, თუ ღორი დამახინჯებულია, ნუ წაიღებ, აქ დატოვე, თორე „შევრცხვებით იმ გერმანელთანო“. დათიკო მიხვდა, რომ ჭკუა წააგო, გაიცინა და იმ ღამეს კარგად ვიქეიფეთ.

ერთხელ სიმონის ოთახში კარტს თამაშობდნენ სიმონიკა კეკელიძე, შალვა შავლაყაძე, მიშა ნასყიდაშვილი და, მგონი, გერასიმე ბოლქვაძე. მაგიდაზე დიდი თანხა იყო. ქ-ნი ნამეტია ამ ყმაწვილებს სადილათ უცდიდა. მრავალჯერ დარეკა ზარი, მაგრამ მოთამაშენი ყურადღებას არ აქცევდნენ. ბოლოს მოთმინებიდან გამოსული ქ-ნი ნამეტია გულმოსული შემოვარდა ოთახში, მოგლიჯა ქუდი ბიძია სიმონს და უთხრა. „კარგი შვილი არც შენა ხარო“, მერე რაც მაგიდაზე ფული იყო ქუდში ჩაყარა. მოთამაშენი დარცხვენილები გაჰყვნენ ქ-ნ ნამეტიას სასადილოთ. რასაკვირველია ყმაწვილები როგორ იკადრებდნენ სიმონისათვის ფული უკან მოეთხოვათ. მარტო ურატაძემ გაუბედა სიმონს: „ბიჭო ამდენი ქონება ჩაგივარდა ხელში და ცოტა გამიზიარეო“. ბიძია სიმონმა სერიოზული ტონით უპასუხა ურატაძეს: „როგორ გეკადრება ასეთი აზრი, იმ ბოვშვმა (იგულისხმება ქ-ნი ნამეტია), რომ გაიგოს ეწყინებაო. აშენა ღმერთმა ამ ფულით საზამთროდ ნახშირს ვიყიდიო“ და მართლაც იყიდა ნახშირი.

ბიძია სიმონს ძლიერ უყვარდა კარტის თამაში და როცა პარტნერები არა ჰყავდა, „კონჩინას“ ეთამაშებოდა ჩემ პატარა, 5-6 წლის ქალიშვილს. ბავშვმა შეამჩნია, რომ ბიძია სიმონი კარტს იპარავდა. სიმონს ვერაფერი გაუბედა და დედასთან იჩივლა. ჩემმა ცოლმა სიმონს საქმის ვითარება უთხრა, თანაც მორიდებული საყვედური აკადრა. ბიძია სიმონმა გულიანათ გაიცინა და სთქვა: „შაგ შამაძღლმა ელიკომ სახელი გამიტეხა, ამ კოკობ სულს გეფიცები არ მომიპარავსო, ისე გამიფუჭდა თვალები მოხუცებულობის გამო, რომ კარტს ველარ ვარჩევო“.

ზევით მოგახსენეთ, რომ ბიძია სიმონს ეჯავრებოდა ყბედი კაცი. ერთხელ ლოვილში დასასვენებლათ პორფილე მუხუზლა ჩამოვიდა. კაცი ყბედი და ულაზათო მოლაპარაკე. დაიწყო ლა-

პარაკი, დასასრული აღარ უჩანდა. ბიძია სიმონმა სიტყვა გააწყვეტინა და მშვენიერი სადღეგრძელო დალია: „იცოცხლე შვილო, ქე ყოფილხარ ვაჟკაცი“. ეფიქრობდით პორფილე ძაფს დაკარგავდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. ეხლა ისიდორე ქარსელაძემ მოინდომა გაჩერება და გულუბრყვილოთ შეეკითხა: რამდენი კვირით ჩამოხვედიო“? პორფილე გაჩერდა, დაფიქრდა და მერე უპასუხა: სამი კვირითო. აბა, იცი, ეშმაკურათ უთხრა ქარსელაძემ: „დანარჩენი მომავალში გვითხარიო“. ასე გადაურჩით მუხუზლას გაუთავებელ ლაპარაკს.

ნამეტია და ვალოდია გოგუაძე

ეს ოჯახი ემიგრაციაში ცნობილია. ნამეტია ბუნებით მდიდარია. ლაპარაკობს ცოტას, აკეთებს ბევრს. მისი შემწეობით გვაქვს ძმათა სასაფლაო, რომელიც დიდი ეროვნული ღირებულების არის. ქ-ნი ნამეტია ყველა უპატრონო მკვდრების პატივისმცემელია და მომვლელი. დიდათ მიღებული და დაფასებულია ფრანგული საზოგადოების მიერ. აქვს იშვიათი პურ-მარილიანი ოჯახი. განწირულ სიმონ წერეთელს, ქ-ნ ურატაძისას, ქ-ნ თაყაიშვილს, თან გადაჰყვა. არის შრომის მოყვარე და მუყაითი. ს. წერეთელი და ქ-ნი ნამეტია, ჩვენი ემიგრაციის სულიერი დედა და მამა არიან.

განსვენებული ვალოდია გოგუაძე იყო ამაყი კაცი. თავის-თავს არავის დააჩაგვრინებდა. ჩვენ ახალგაზრდა რესპუბლიკას ბევრი ღვაწლი დასდვეს ვალოდიამ და მისმა ძმებმა. უცხოეთში ვალოდიამ თოფი გვერდზე გადასდო და შექმნა პატიოსან შრომაზე დამყარებული ოჯახი. გამიგონია უშვილო ადამიანები ეგოისტები არიანო. ამ თქმულების უარყოფა არის ვალოდია გოგუაძის ოჯახი. ვინ არ ყოფილა და პურ-მარილი არ მიუღია ამ კეთილშობილ ოჯახში? ვალოდია იყო ფიცხი, უსამართლობას ვერ იტანდა, მაგრამ ბუნებით კეთილი. იყო პოეტი; ჰქონდა იშვიათი მეხსიერება. წარსული ბრძოლის ეპიზოდები კარგათ

აგონდებოდა, როცა ემიგრაციის ისტორია დაიწერება, საპატიო ადგილი მიეკუთვნება ქ-ნ ნამეტია და ვალოდიას ოჯახს.

ისიდორე ქარსელაძე

ლევილის მამულის დაუღალავი მუშაკი. ამავე დროს ჩვენი გამომცემლობის ასოთამწყობი. ისიდორე კარგი კულტურის ადამიანი იყო, დაუღალავი მუშაკი, მუყაითი ადამიანი, როგორც ყველა რაჭა-ლეჩხუმელი.

იყო სასიამოვნო მომუსაიფე, მომსწრე მრავალი მოვლენების. იცოდა გულიანი სიცილი. ბუნებით მორცხვი იყო, მაგრამ თუ ილაპარაკებდა ტონი ჰქონდა დმაჯერებელი. პარტიაში შემოჰქონდა სერიოზული აზროვნება. იცოდა მყარი და ღრმა მეგობრობა. თვალს ადევნებდა ჩვენი ქვეყნის ევოლუციას. ძლიერი გრძნობებით უყვარდა უცხოეთში დაბადებული ახალგაზრდობა. ერთხელ ისიდორესი ფული მემართა. თანხა მნიშვნელოვანი იყო. ვალის გადახდა, რომ მოვინდომე ისიდორემ მითხრა: „ბავშვებს მოახმარეო“.

დათიკო შარაშიძე

დიდ ხანს არ ვიცნობდი, მაგრამ ის მცირე დროც საკმარისი იყო, რომ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოეხდინა. უყვარდა სიმონთან სადილობა, მიუხედავათ იმისა, რომ მას თავისი ოჯახი ჰქონდა. იყო იშვიათი მოსაუბრე, არ დაიღლებოდი მისი სმენით. ჰქონდა დიდი კულტურა და იცოდა უცხო ენები. მისი კალამი ცნობილია ჩვენს პარტიაში. უამბიციო კაცი იყო და უყვარდა ჩრდილში ყოფნა, მაგრამ თუ რამეზე დათანხმდებოდა, პარტიას არ შეარცხვენდა. მის კალამს ეკუთვნის ბარბიუსის წინააღმდეგ დასტამბული წიგნი, სადაც გაშუქებულია ჩვენი ეროვნული პრობლემა. იყო კარგი მომლხენი და ბრძნული აზრების ავტორი.

კალე ქავთარაძე

ემიგრანტათ არ უ ნ დ ა დაბადებულიყო. ის ი ქ ნ ე ბ ო დ ა იშვიათი პედაგოგი, მაგრამ ცხოვრებამ სხვანაირათ ინება. კა-

ლეს ჰქონდა ღრმა ცოდნა, ფართო კულტურა, დიდი მეგობრობა ჰქონდა ნოე ხომერიკთან. ხშირათ იცოდა გულმოსვლა. იყო ამაყი, მაგრამ მალე მშვიდდებოდა. ორატორი მეტად მომხიბვლელი. მაგალითად მოჰყავდა ჩვენებური ეროვნული ეპიზოდები. გამიგონია კალე დარჩიაშვილთან ერთად აყენებდა პარტიაში ეროვნულ სკითხსო. რა შინაარსის იყო ეს მიმართულება დღევანდლამდე ვერ გამოვარკვიე. კალემ გაუგონარი ამბავი ჩაიდინა: თავისი მძიმე შრომით მან აღზარდა თავის მეგობრის შვილები. სახელდობრ: დათიკო შარაშიძეს ობლები, რომლების მიმართ ჰქონდა ღრმა მამობრივი სიყვერული.

რუბენ ყიფიანი

ჩვენს პარტიაში ითვლებოდა ორიგინალურ მოღვაწეთ. ის წარმოადგენდა რაჭა-ლეჩხუმს. უმაღლესი ცოდნით არ იყო, მაგრამ ჰქონდ ბუნებრივი ნიჭი და ძლიერი არგუმენტებით იცავდა პარტიულ პოზიციას.

იცოდა აუარებელი იგავ-არაკები, რომლებსაც ნიჭიერათ იყენებდა დებატებში. იყო მყარი და გამტანი მეგობარი, მაგრამ მტრობაც ძლიერი იცოდა.

ჩვენს ლიდერებში ყველაზე მეტ პატივს სცემდა ირ. წერეთელს. მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაინახა, რომ ერთობა ყველაფერს სჯობია. ამ მხრივ მუშაობდა, როცა უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა.

დასაფლავებულია ძმათა სასაფლაოზე.

გრიშა ურატაძე

ჩვენი პარტიის მნიშვნელოვანი მოღვაწე. კარგი მოლაპარაკე და კარგი მწერალი. ჩემის აზრით ღრმა ცოდნას მოკლებული, მაგრამ პარტიის უერთგულესი წევრი.

მისთვის მძიმე იყო „შავი“ სამუშაო, მაგრამ ვაჟკაცურად აიტანა. კეთილი და თბილი დამოკიდებულება ახასიათებდა ადამიანებთან. უყვარდა კარგი ამბების მოყოლა. ეროვნულ საკი-

თხში ცოტა მერყეობდა, მაგრამ თუ საქმე რიგიანათ წავიდოდა მისი იმედი უნდა გვქონოდა.

ლადო ბაქრაძე

ყოველ მხრივ სანაქებო კაცი. დიდი ცოდნის, მაგრამ დიდი დილეტანტი. იცოდა ჩვენი ქვეყნის და უცხო ლიტერატურა.

კალამი ჰქონდა იშვიათი. მისი ქართული ენა მიმზიდველი იყო. დიდი სამსახური გაუწია ქართველებს ოდენკურში.

კოლა ორაგველიძე

სამაგალითო ერთგულებით იყო დაჯილდოვებული და მიძღვნილი პარტიისადმი. ცოდნა განსაზღვრული ჰქონდა, მაგრამ თავის აზრებს იცავდა ნიჭიერათ. ევროპიულ კულტურაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. ახასიათებდა მეგობრის ერთგულება და გატანა; დიდი სტუმართმოყვარეობა. მისი ხასიათი და ბუნება იყო აუტანელი, მაგრამ ეს ყველამ ვიცოდით და ყურადღებას არ ვაქცევდით.

სანდრო მენალარაშვილი

შესახედავათ ლამაზი ვაჟკაცი იყო. გარეგნობა დიდი საჩუქარია. ერთვნული მოვალეობისათვის ფრიად მომზადებული. ის ეკუთვნოდა განს. ნოე რამიშვილის მოწაფეთა რიცხვს, მაგრამ მათში სანაქებო იყო. სანდრო იყო კარგი ორატორი, ჰქონდა ცოდნა და ტემპერამენტი. საქართველოს პირობებში მას შეეძლო დიდი ადგილის დამსახურება, მაგრამ ბედმა უმუხთლა. განისვენებს ოსმალეთში.

იოსებ ცინცაძე

თავის ცხოვრება გაატარა კოლონიებში, როგორც ექიმმა. ჩვენ დაგვიბრუნდა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. იყო კარგი შეხედულობის, ეცვა სუფთად, აზროვნობდა ღრმად. ყოველ მხრივ მიმზიდველი პიროვნება იყო. მეტად მკვირცხლი, მე-

ბრძოლის ტემპერამენტი და ნათელი აზროვნება იყო მისი დამასიათებელი.

ვლასა მგელაძე

ჩვენს მოძრაობაში მეტად ორიგინალური კაცი იყო. არ ეხერხებოდა ყოველდღიური პოლიტიკა, უფრო ისტორიული მომენტები აინტერესებდა.

ვლასა ბუნებით იყო პოეტი, სამწუხაროთ, ასპარეზს მოკლებული. როგორც ორატორი იყო გრიგალივით. იცოდა ჩვენი ერის ცხოვრება, ჰქონდა გონიერი და მდიდარი მოგონებები. მისი პიროვნების გარშემო შექმნილია მთელი ლეგენდები.

თეოფილე მუხაშაურია

წარმოშობით ჩვენებული გლეხი. ტემპერამენტით წყნარი, აუჩქარებელი, დინჯი მოლაპარაკე და გონება გახსნილი მოაზროვნე. ხშირათ მიკითხავს ჩემი თავისთვის, ასეთი სრულქმნა როგორ წარმოშვა ჩვენმა ცხოვრებამ.

ვფიქრობდი წერა-კითხვა რიგიანად არც კი იცოდა: ერთხელ მოულოდნელად ვესტუმრე და ვნახე აკაკი წერეთელს კითხულობდა. ისეთი დგილები დამისახელა, რომ ენა ჩავარდნილი დავრჩი მისი ცოდნისაგან.

მერე თავი გადააქნია და მითხრა: „აკაკი წერეთელი დიდებული ყაზახიაო“. გურიაში მისი მოქმედება საქებარად იყო და დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ქართველი კაცის ბედი აინტერესებდა; ავადმყოფს უსათუოდ ნახავდა, გაამხნევებდა, მოყვასი უყვარდა. ტრადიციის კაცი იყო. დღესასწაულების დღეებში ჩემი სტუმარი იყო და ბავშვების სიახლოვით ხარობდა.

ვაჭრობა რომ დავიწყე თავისი ნებით მომიტანა გვარიანი თანხა. მერე გავიგე, მოგვიანებით, თურმე თავის „დასამარხი“ ფული მასესხა. შალვა აბდუშელის შემდეგ ასეთი ქართველი არ შემხვედრია.

განისვენებს ძმათა სასაფლაოზე.

ვასო წულაძე

ჩვენი პარტიის და ქართველი ხალხის ენციკლოპედია იყო. ბევრი ამბების მოწმე და მონაწილე. ძალიან იშვიათად ლაპარაკობდა. იყო საქმის კაცი და ჰქონდა დიდი ორგანიზაციული ნიჭი და საზოგადო კულტურა.

ითვლებოდა ნ. რამიშვილის მარჯვენა ხელათ. ახასიათებდა იშვიათი მეხსიერება, დინჯი მსჯელობა და საქმიანი დასკვნები. მუშაობდა ჩუმათ, ურეკლამოდ, არ ჰქონდა ავადმყოფური ამბიციები. მისი ჯიდლდო იყო მის მიერ გაკეთებული საქმე.

გულში იკლავდა დარდებს, მაგრამ მის ამხანაგებს არ გვეპარებოდა მისი სევდა. ძალიან სწუხდა, რომ შვილები პოლიტიკურად გადაუდგნენ და მოუწამლეს მოხუც მებრძოლს სიცოცხლე. საფლავში ამ დამძიმებული გრძნობით ჩავიდა.

ნესტორ კალანდაძე

ეს არ იყო პოლიტიკური მოღვაწე. ის იყო ჟურნალისტი და შეუდარებელი იუმორისტი. საზოგადოებაში, ან კრებაზე არასოდეს მომისმენია მისი სიტყვა. კერძოთ კი იყო ტკბილი მომუსაიფე. უცხოეთში დაბადებული ახალთაობა ძალიან უყვარდა. როგორც ყოველ იუმორისტს, ნ ე ს ტ ო რ ს ა ც უყვარდა ოხუნჯობა. ერთხელ ჩემს პატარა ქალიშვილს ქაღალდში შეხვეული რაღაცა მისცა ჩემი ცოლისათვის, როგორი იყო ამ უკანასკნელის კივილი, როცა ამანათში თხუნელა ნახა. ერთხელ დავრიშაშვილის პატარა ვაჟი წყალზე მიდიოდა, ნესტორმა უთხრა: აბა გაუშვი ხელიდან ეგ დოქი, თუ მაგარიაო. ბავშვა დაუჯერა, რა თქმა უნდა დოქი დაიმსხვრა. ნესტორი სიცილს ვეღარ იკავებდა, მაგრამ ბუნებით დიდათ დაჯილდოვებული ადამიანი იყო. მისმა დასაფლავებამ მეტად მგრძნობიარე ხასიათი მიიღო. ყველა ვგრძნობდით, რომ მიწას ვაბარებდით ბრძენ მეგობარს.

შერიფა ბერიძე

ეს იყო აჭარიდან გადმოხვეწილი ქართველი მუსულმანი.

არც კი ვიცი წერა-კითხვა იცოდა თუ არა. სიკვდილის წინ ყველას გვთხოვდა ძმათა სასაფლაოზე დაგვემარხა და ქართველი მღვდელი მოგვეყვანა. სამშობლოს ამისთანა იდუმალ სიყვარულში ვხედავ გრანდიოზულ გრძნობებს.

იოსებ ელიგულაშვილი

ქართველი ებრაელი. კაცი ბრძენი, მცოდნე და ერთგული სამშობლოსი. 1940 წელში, როცა პარიზი იცლებოდა და მოახლოვებული გერმანელების შიშით ხალხი გარბოდა, მან გადაჭარბებულ ფასად იშოვა ავტომობილი, რათა ნ. ჟორდანია გადაერჩინა. საზოგადოთ ჩვენი ქვეყნის ებრაელობა, იოსების მეთაურობით მხარში გვედგნენ და ჩვენთან ერთად ზიდავდნენ ეროვნულ ტვირთს.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ქართველებმაც შესძლეს ჰირში და ლხინში ჩვენთან მყოფ, ჩვენი ებრაელი ძმების დახმარება და როცა ნაციზმის სუსხი მწვავედ მოედო ევროპას, მაშინ მოვახერხეთ ჩვენი ერბაელების გადარჩენა, რაც ძალიან ძნელი ამბავი იყო ჰიტლერიანობის ხანაში.

გიორგი ულენტი

სასიამოვნო მოხუცი იყო. ჩემის აზრით, მას ცოდნა და განათლება ცოტა ჰქონდა. არასდროს არა ლაპარაკობდა. იყო უაღრესად პატიოსანი კაცი, სტუმართმოყვარე, სტუმრის დანახვაზე სიხარულით თვალები უციმციმებდა. თავს ირჩენდა შავი მუშაობით. იმასთან მისვლა ძლიერ მიხაროდა, მართლაც ყოველ მხრივ კეთილშობილი კაცი იყო. ისეთი, როგორსაც ჩვენი ქვეყანა მრავლათ შობს. როცა ვესტურებოდი, ვგრძნობდი, რომ გულით ხარობდა, მით უფრო, რომ ხშირათ მახლდა თან სიმონ წერეთელი, რომელიც ახელებდა გიორგის: „თქვენ, გურულებს, რომ „ჩემი“ ნიკოლოზი არ ჩამოგეგდოთ, მე ეხლა გენერლის პენსია მექნებოდა, შენ კი დამსახურებული მოხელისო“. განს. გიორგის ძალიან ეხერხებოდა ძველი ამბების მოყოლა და გვამხიარულე-

ბდა. მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელიც ს. წერეთელს ძალიან უყვარდა: „მეო, დაიწყებდა ელენტი, ახალგაზრდობაში ვიყავი დიდი მოჩხუბარი. ქორწილში თუ უბრალო ქეიფში, თუ არ ვიჩხუბებდი არ შეიძლებოდა. ამიტომ ჩემი სტუმრობის ყველს ეშინოდა, მაგრამ, ნათქვამია, მომრევის მომრევი ამ ქვეყნად არ გამოილევაო. ერთ დღეს ქორწილში მიმიპატიჟეს. მოვიდა ერთი გადარეული, ახმახი ყაზახი; უბედური მოჩხუბარი და მისი მომრევი მე არ ვიყავი. მამასახლისი წესიერი კაცი იყო და მირჩია გაპარვა, მეც ვატყობდი სხვა გზა არა მქონდა. ახალი ჩოხა ახალუხით, ხანჯალ-ლეკურით მაგიდის ქვეშ შევძვერი, რომ მშვიდობით გავპარულიყავი. სტუმრებს დმშეული ძაღლი ვეგონე და დამიშინეს წიხლები, სანამ სამშვიდობოს გავიდოდი გვერდები ჩამიმტვრიეს. მოჩხუბარს გადაურჩი, მაგრამ ვაი ამ გადარჩენასო“.

ნინა ივანოვნა

განსვ. ნოეს ცხოვრების თანამგზავრი. აღსანიშნავია ამ უცხო ტომის ადამიანს, როგორ უყვარდა საქართველო. პირდაპირ მოჯადოებული იყო ჩვენი ხალხის სტუმარმოყვარეობით. იყო ფართო კულტურის ადამიანი, ენერგიული, ქართული საზოგადოების აქტიური წევრი. უყვარდა უბრალო ხალხთან ლაპარაკი და მას აქედან გამოჰქონდა პრაქტიკული დასკვნები.

ვერა (ბოკა) ხუციშვილი-წულაძისა

წმინდა სანთელივით ჩაიწვა ცხოვრების გზაზე. ემიგრაციაში მიჩვეული ვართ მამა-კაცების სიკვდილს, მანდილოსნების დაკრძალვა, თითქმის იშვიათია, ამიტომ უფრო ამაღელვებელი იყო მისი დაკარგვა. მისმა კეთილშობილურმა ცხოვრებამ და მისმა უდროოთ დაკარგვამ ყოველი ჩვენთაგანის გული აატირა. იშვიათად მინახავს დასაფლავება, ასეთი გულწრფელი გრძნობებით დატვირთული.

ვერა ხუციშვილი-წულაძისა არავის არა ჰგავდა. მასში ცხოვრობდა რალაც ზეციური. ვერა ახალგაზრდობიდან, სიცოცხლის

დასასრულამდე ჩვენი პოლიტიკური მეგობარი იყო და ეს ერთგულება მას ბოლომდე შერჩა.

ვერა იყო ღირსეული მეუღლე, სამაგალითო დედა, სათნო ადამიანი. გულმხიარული დიასახლისი. აღზარდა შვილები და მათ ბედნიერებას ვერ მოესწრო. სულგრძელად შეხვდა სიკვდილს, რომელიც თურმე იცოდა, მაგრამ არავის გაანდო.

ვანო ჭავჭანიძე

ახალგაზრდობიდან ვიცნობდი. სამაგალითო ცოდნის და დიდი კულტურის კაცი იყო. შინაარსიანი ორატორი, შესანიშნავი ჟურნალისტი და ჰქონდა მეგობრობის და ამხანაგობის კულტი.

კოწია საბახტარაშვილი

შორიდან ვიცნობდი. ბევრი ქება მსმენია მისი. იყო უმაღლესი ცოდნით და საგარეო საქმეთა მინისტრი. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა და განისვენებს ძმათა სასაფლაოზე.

***

განსვენებულნი: ვასო მარჯანიძე, დავით რევაზაშვილი, გაბო ბერბიჭაშვილი, ბიძაშვილები: ზაქრო და იკო ელიზბარაშვილები, საფრანგეთში ერთად ჩამოვედით. ჩვენ შორის მეგობრული დამოკიდებულება არ შეწყვეტილა. დიდი ადგილი უჭირავს ცხოვრებაში კერძო დამოკიდებულებას. ვასო მარჯანიძის სიკვდილმა ჩემზე ღრმათ იმოქმედა. ჩემთან მოდიოდა, როგორც უფროსი ძმა. მეც ამ გრძნობით მივდიოდი მასთან. ზემო აღნიშნულ პირებს ახასიათებდათ ერთგული მეგობრობა, სტუმარმოყვარეობა და რაც მთავარია, ხალასი პატრიოტიზმი, ქართული მიწის სიყვარული.

წერა-კითხვა ისწავლეს ოდენკურში და უხაროდათ გოჯის ოდენა ასოებით რომ სწერდნენ „ბარაკზე“ თავის სახელსა და გვარს. მათმა ერთგულმა მეგობრობამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მათმა ხალასმა პატრიოტიზმმა ბევრი რამ მასწავლა.

შეიძლება ქართლის მიწამ მათში გამოსჭედა ღრმა სიყვარული ქვეყნის, მთელი რიგი ეროვნული ღირსებებით.

ერთხელ განსვენებული ნ. რამიშვილი გვესტუმრა ოდენ-კურში, მან დიდათ ნიჭიერი მოხსენება გააკეთა, ამის გამო იყო კამათი და შეკითხვები. კრებას თავმჯდომარეობდა ლ. ბაქრაძე, რომლის გამჭრიახ გონებას არ გამოეპარა გაბო ბერბიჭაშვილის ნერვიული მდგომარეობა და შეეკითხა: რა აწუხებდა. მან მორცხვად დაიწყო ლაპარაკი. „მე, ბატონო მინისტრო, ნასწავლი არა ვარ, ერთი ტლუ ბიჭი ვარ, შენ ბევრი კარგი იმედიანი აზრები გვითხარი, მაგრამ მთავარი დაგავიწყდა: ჩვენმა თამარ მეფემ ჩვენი ქვეყნის საზღვრები მიიტანა ტრაპეზუნამდე; შენ და ეორდანიამ, როგორც მამაკაცებმა, ქალს უდნა აჯობოთ და ჩვენი ქვეყნის საზღვრები შორს ჩაყაროთ". გამხიარულებული გაბლას, თავმჯდომარე და მომხსენებელი დაპირდნენ თხოვნის შესრულებას და კრება სიხარულით დაიშალა.

ვასო ლაბაძე ჩემი ცხოვრების თანამგზავრია. ის „ჩეკაში" აწამეს. ფიზიკურმა ტანჯვამ სამუდამოთ შეარყია მისი ჯანმრთელობა, თუმცა პირადათ ამ საგანზე ლაპარაკს ერიდება. ვასო უაღრესად თავმდაბალია, მცოდნე, მაგრამ გაურბის ამბიციებს, რადგან პატივმოყვარეობა ხშირათ მეტიჩრობათ მიაშნია. მისი ცოდნა თანამედროვე ხანას წინ უსწრებს, ამიტომ არის კონფლიქტში ადამიანებთან. მისი სამართლი პირდაპირია, უკომპრომისო, სამწუხაროთ რეალობა ამრიგად არ არის. ზედ მიწევნით იცის ქართული და ფანგული ლიტერატურა. მგრძნობიარობა მისთვის არის დასაყრდნობი საზოგადო მორალისა. მისი ბუნება, მისი ჰუმანიზმი, ლოღიკურათ ანტირუსული და ანტიკომუნისტურია. არის შეუდარებელი მეგობარი.

პავლე სარჯველაძე

პავლე სარჯველაძე კარგი მომზადებული მეგობარია. აქვს მოთხოვნილება ცოდნის შეძენის. მისი ნების-ყოფით და დაუშრეტელი ენერგიით გაკვირვებული ვარ.

ბავშვობდან ჩვენი მოძრაობის თანამგზავრია. პოლიტიკაში ახასიათებს რეალობა, ფეხები მიწაზე უდგია და სინამდვილე არ გამოეპარება. ახალ მოვლენებს თვალს ადევნებს და ეროვნულ დასკვნებს აკეთებს. მისდევს არა მარტო პოლიტიკას, არამედ ლიტერატურასაც, არა როგორც უბრალო დილეტანტი, არამედ როგორც მებრძოლი.

უსათუოდ აქვს ამბიციები, მაგრამ ეს მისი ცოდნით გამართლებულია.

შვილი ძალიან უყვარს და ზრდის ჩვენი სამშობლოს სასარგებლოთ.

პავლე ვაშაძე ჩემი ცხოვრების თანამებრძოლია, იშვიათად მეგულება ვინმე, რომ იმდენი მსხვერპლი გაეღოს ჩვენი ერისათვის, როგორც პავლეს ოჯახს. სამი ძმა დაეღუპა ეროვნულ საქმისათვის, თუმცა არასდროს ამაზე თვითონ არ ლაპარაკობს, მაგრამ მორალურად იტნჯება. უპრეტენზიო მეგობარია, თავისი აზრები აქვს ყველა საკითხზე, უყვარს ევროპაში დაბადებული თაობა და მისთვის არავითარ მატერიალურ მსხვერპლს არ ერიდება. დაუღალავია საზოგადო საქმისათვის, მაგრამ ჩვეულება აქვს, მუშაობის დროს გულმოსული იყოს. იცის გამტანი მეგობრობა და დახმარება.

ლევან ფალავა დიდი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში. ამის მიზეზია მისი ლაღი ბუნება, მსუბუქი იუმორი და ნიჭიერი ხუმრობა. აქვს უნარი არა ჩვეულებრივი დაკვირვების და ჩქარი დასკვნების გამოტანის. იცის საქმიანი ლაპარაკი და საკითხისადმი პრაქტიკული მიდგომა. ახასიათებს პატივისცემით სხვისი მოსმენა. უდროობის გამო ბევრს არ კითხულობს, მაგრამ აქვს დიდი ბუნებრივი ნიჭი. ზრდის იშვიათ უმაწვილს. თავის შვილიშვილს. ერასტო მაჭავარიანი მის სახლში ცხოვრობს და მაინც ტელეფონით ელაპარაკება.

ლევან ფალავას დიდ სამსახურს უწევს ქ-ნი ატია ჟორდანია, როგორც მეუღლე და საზოგადოთ ყველა ქართველების მე-

გობარი. არის კარგი დიასახლისი, პურმარილიანი, მოაზოვნე, პიდაპირი და სამათლიანობის დროს უკომპრომისო.

ხიმონ ბლიაძემ მეტად ახალგაზრდამ გამოიჩინა კარგი ორგანიზატორის ნიჭი და უნარი. მისი მასწავლებლები გაკვირვებულები იყვნენ მისი გონებრივი სმწიფით.

მის ორგანიზატორულ ნიჭს და ენერგიას მიეწერება მისი კოლოსალური მუშაობა ჭიათურის აჯანყებაში. იქ ვაჟკაცურად იბრძოლა და შემთხვევით გადარჩა. არის დაუღალავი მუშა, ენერგიული და დიდათ პატიოსანი. იცის მოხდენილი ლაპარაკი, ე. ი. პროლოგი მეტად ნიჭიერი. განვითარება მდარე და ეპილოგი დაბნეული. სამწუხაროთ არ ვიცი რას მიეწერება, მაგრამ ადამიანებს ვერ ეგუება, ვისთანაც არ უნდა იყოს, მისი ურთიერთობა უსიამოვნებით თავდება. ალბათ ამით აიხსნება მისი მიზანტროფული ცხოვრება. ამ ბოლო ხანებში დასაფლავებასაც აღარ ესწრება, მიუხედავათ იმისა, რომ სასაფლაო სულ ახლო არის მისგან.

გრიგოლ ლომაძე ახალგაზრდობიდან ეროვნული საქმის ერთგულია. მან თავის ფიზიკური შრომით მიაღწია უმაღლეს ცოდნას. ჰყავს კარგი ცოლშილი. კარგი მეგობარი და ეროვნული საქმისთვის თავდაუზოგველი.

ვალიკო ჩუბინიძე ახალგაზრდობიდანვე ჩვენი მოძრაობის აქტიური წევრია. აიტანა ბევრი წამება; ოჯახური გლოვა, ოჯახის განადგურება. დიდი მუყაითი კაცია და დაუღალავი მშრომელი. სამწუხაროთ აქვს ამბიციები. ჩემის აზრით უფრო დასაფასებელი იქნებოდა ბუნებრივ ჩარჩოში.

კონსტანტინე გვარჯალაძე

არ შეიძლება ჩვენი ლიდერების რიცხვში ჩავთვალოთ. ამის პრეტენზიები არც მას ჰქონდა. იყო ადამიანი იშვიათი ენერგიის და სწორედ ამ შრომას მიეწერება მისი დადებითი შედეგები. პოლიტიკურად ის თვალს ადევნებდა მოვლენებს და დასკვნებს აკე-

თებდა დადებითს, ჩვენი ქვეყნისათვის. იყო დასავლეთ ევროპის კარგად მცოდნე და მხარს უჭერდა, რომ ჩვენ ქვეყანას აეღო დასავლეთ ევროპის ორიენტაცია. კარგად სწერდა, ცუდათ ლაპარაკობდა. იყო წესიერი და სიტყვის კაცი. განათლების და კულტურის მხრივ შეზღუდული. ძლიერ ცუდი მოხუცებულება შეხვდა, იტანჯა ათ წელზე მეტი.

ილია თაყაიშვილი ჩვენ ცხოვრებაში სამაგალითო მოვლენაა. იესო ქრისტე გეგონებათ ამ ქვეყნად ჩამოსული. მუდამ კარგი მეგობარი, ერთგული და გამტანი. ყოველშემთხვევაში კაცთ-მოყვარეობა მისთვის ბუნებრივი მოწოდებაა. თავის საქმეს დასტოვებს და სხვას მოეხმარება. კარგი სტუმართმოყვარე, დინჯი მოაზროვნე. არ გამიგონია, რომ ვინმე ემდუროდეს. ყველა ჩვენთაგანის სევდას თუ სიხარულს გულწრფელად განიცდის. დიდი მოყვარული ჩვენი ქვეყნის. არც ერთ პარტიას არ ეკუთნის, ყველგან პეპელასავით ეძებს მოსაწონ აზრებს. დიდი ფანტაზიორი, შეუძლებელი გეგმების ავტორი. მხლოდ დამაჯერებელი ტონით ლაპარაკობს.

ერთხელ ომის დროს ჩემ პატარა მიწას ვამუშავებდი, ილია მეხმარებოდა. ჩემს მიწას იშვიათი მდებარეობა აქვს: მაღლობი, მზე და სხვ. ილია ჩაფიქრებული მეუბნება. გრიშა, ამ ადგილს კარგი იმერლური ოდა მოუხდებაო. მე ხუმრობა მეგონა. მერე შევატყე, რომ არა ხუმრობდა უპასუხე: კაცო რა საშუალებით შემიძლიან სახლის აშენება მეთქი? ილია არ დაიბნა და თავისი გეგმა გადამიშალა: „შენ იაფად იშოვე რკინიგზის „შპალები“ და ბიჭები შეგიკრავენ სახლსაო“. მე სახლი მაინც ვერ ავაშენე, როცა მომაგონდება სულელივით მეცინება.

ომის დროს ჩემი ცოლი და მე ვესტუმრეთ. უვახშმოთ არ გამოგვიშვეს. იმ დროს ძნელი იყო დაპატიჟება. თამარა სამზარეულოში გავიდა, ცოტა ხნის შემდეგ თამარას ყვირილი და წყევლა მოისმა: „შვილო შალიკო, შე ღორმუცელა, შენ არ შეგარგოს ღმერთმა არაფერი“ და სხვა ასეთები. გამოირკვა, რომ ახალგაზრდა შალიკოს „ტიკეტების“ ხორცი და პური სულ შე-

ეჭამა. ამ ამბავმა ყველა გაგვამხიარულა. ჩვენს ვახშმათ დარჩენას მიზანი ალარა ჰქონდა. მაინც არ გამოგვიშვეს, შეგვპირდნენ ხილს მოვიტანთო, ჩვენც დავრჩით.

წავიდა სამზარეულოში თამარა ხილის მოსატანათ, უცებ კვლავ მოისმა დიასახლისის ყვირილი და წყევლა. გამოირკვა შალიკოს შემონახული ხილიც მთლათ შეეჭამა. შეარგოს ღმერთმა. ეს დღე მარცხიანი იყო ჩვენთვის, მაგრამ ბევრი ვიცინეთ.

როცა ჩვენი პატარა ნუცა გათხოვდა, როგორც მამამ, ილიამ თავი არ დაიზოგა. „ალში“ (ბაზარია პარიზში) გამგზავნა მრავალი საჭირო საქონლის საყიდლათ. დავალება შეავასრულე, მაგრამ რიგიანი ფსიქოლოგი ვარ და ვატყობდი, ილიას რაღაც უნდოდა. შევეკითხე თუ რა აწუხებდა. ილიამ შორიდან დაიწყო: „ხომ იცი გრიშა, საქართველოში ქორწილი არ მოხდება თუ ხარის ბეჭი არ არის, კარგად მოხარშული ბეჭი, ტყემლის წვენით და პატარა დანით იშვიათია“. მე გამეცინა და უთხარი: აქაური ბეჭის მოხარშვას დევების ქვაბები დასჭირდება და როგორ მოვხარშავთ 150 კილო ხორცს? ილიამ გულის ტკივილით მითხრა: „ვიცოდი ჩემ აზრს არ მიიღებდი, მაგრამ სამწუხაროთ მართალი ხარო“. ასე დარჩა ნუცას ქორწილი უბეჭოთ, მაგრამ დიდებულათ ჩატარდა.

რამოდენიმე წლის შემდეგ შემთხვევით შემხვდა. გამიხარდა და უკანასკნელი შვილიშვილის დაბადება მიულოცე. ილიამ თავის გრძელი ხელები გაშალა და მწუხარებით მითხრა: „ჩემო გრიშა, ქრისტიანულად მინდოდა მომენათლა ბავშვი, მაგრამ შალიკომ (მისი ვაჟია) არ დამიჯერაო“. მე გაკვირვებული დავრჩი და კვლავ შევეკითხე მისი სევდის მიზეზს, მან მიპასუხა: „ძმაო ჩემი შვილიშვილისთვის, როგორც ბაბუას ქრისტიანული სახელი მინდოდა დამერქმია, ჩემმა ვაჟმა არ დამიჯერა და ეშმაკური დაარქვაო“. მე დავამშვიდე აღელვებული ილია და დაუსახელე, რომ გერმანიის უკანასკნელ მეფეს „გიომი“ ერქვა, არ ვიცი ილიამ დამიჯერა თუ არა, ისე იყო აღელვებული.

ლევილის შატოში, ჩემი ავადმყოფობის დროს, ჩემს ცოლს

პატარა ქოხი დაუდგამს, რითაც დიდათ გახარებულები არიან ჩემი შვილიშვილები. მათ ქოხი სათამაშო ჰგონიათ. ილიამ სერიოზული ტონით მირჩია ჩემი ქოხისთვის „პერევისა“ (ჩემი სოფლის სახელი) დამერქმია. ვფიქრობ, როგორ დავაჯერო ცოლშვილი, რომ ილიას ვასიამოვნო.

ნოე ცინცაძე რუსულ ნიადაგზე აღზრდილი ინტელიგენტია. ამ მემკვიდრეობისაგან ვერ განთავისუფლებულა. აქვს სერიოზული პედაგოგიური ცოდნა, რაც არ გამოეპარათ ჩვენს ხელმძღვანელებს და ძალიან ახალგაზრდას ჩააბარეს განათლების მინისტრის მოადგილეობის პოსტი. არ ეხერხება ადამიანების სულიერი პატრონობა, რასაც ეწოდება ლიდერობა. ახასიათებს სუბიექტიური დასკვნები და დოქტრინალური სექტანტიზმი. ლაპარაკობს დინჯათ, უადგილოთ ხმარობს უცხო სიტყვებს, პოლიტიკური გამოსვლები უთანასწორო ღირსების არის.

გიორგი შარაშიძე უცხოეთში დაბადებული ახალგაზრდა მეცნიერია. ჩვენდა სასახელოთ უნდა ითქვას, მომზადება აქვს. ბევრში ჰგავს მამას, დათიკო შარაშიძეს. ის არ მისდევს ყოველდღიურ პოლიტიკას, მაგრამ ეროვნულ სფეროში დიდ იმედებს იძლევა.

ბ-ნ ლევან ზურაბიშვილს კარგად ვიცნობ, როგორც გამტან მეგობარს. ის არის შვილი, უფრო სწორედ, მემკვიდრე ღირსეული წინაპრების, რომელთა როლი დიდია ეროვნულ ცხოვრებაში. ლევანი მოვალეობის კაცია. შეიარაღებული უმაღლესი ცოდნით, რომელსაც სწირავს ეროვნულ საქმიანობას. მრავალი წლის მანძილზე არის პარიზის კოლონიის თავმჯდომარე. ამ მძიმე მოვალეობას ღირსეულად ასრულებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ქ-ნი ზეინაბი და მისი შვილები კარგად ეხმარებინ. ჩემი დაკვირვებით ბ-ნი ზურაბიშვილი სამაგალითო თავმჯდომარეა და ამიტომ მრევლიც კმაყოფილი ჰყავს. ერთ რამეს ხაზი უნდა გაუსვა: ბ-ნი ზურაბიშვილი არ გაფრანგებულა, კეთილ ცხოვრებას ამჯობინა „უქვეშევრდომობა“ და ჩვენი მწარე ხვედრი გაიზი-

არა. უყვარს ჩვენებური პურ-მარილი და გულწრფელად ხარობს ჩვენს წეებში. მან შეგნებულად გაინაწილა ემიგრანტული მძიმე ხვედრი. თავისი მოქმედებით მან გაამართლა დიდი პოეტის სიტყვები: არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,

იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

ბ-ნ ზურაბიშვილის ყველაზე დიდი დამსახურებაა, რომ მას ესმის ჩვენი თაობის ტკივილები.

მამა ილიას ყოველგვარი ღირსებები აქვს, რათა პარიზის ქართველების სულიერი მამა იყოს და როგორც ასეთს დიდი პასუხიმგებლობა აწევს. ჩვენს რიგებში ამ ბოლო დროს გახშირდა სიკვდილიანობა. მამა ილია ყოველთვის ნახულობს სიტყვებს, რათა ღმერთი და სამშობლო არ განაშოროს. თუ ჩვენ, ქართველები, ღრმა მორწმუნეებათ არ ჩავითვლებით, არ მოიპოვება ადამიანი, რომ სარწმუნოებას აბუჩათ იგდებდეს. მამა ილია ცხედრის წინაშე ღირსეულ სიტყვებს ნახულობს ჭირისუფლებისათვის.

ლადო ახმეტელს პირადათ არ ვიცნობდი, მაგრამ გამიგონია მისი მოღვაწეობა. ის იყო ჩვენი რესპუბლიკის ელჩი გერმანიაში და დიდათ დამსახურებული წევრი ჩვენი პარტიის. ღირსეული ქართველი მამულიშვილი.

განსვენებულ შალვა აბდუშელის მოგონება მეტად რთულ პირობებს მიქმნის. ის იყო ადამიანი განსაკუთრებული დამსახურების. კეთილშობილი ბუნებით. განგებამ მასში დააგროვა ის თვისებები, რაც იშვიათად მოიპოვება ადამიანში. მსგავსი პიროვნება დატვირთული სიკეთით არსად შემხვედრია. უჭრიდა კალამი და სიტყვა, მაგრამ მისი მორალური მხარე იყო დაუჯერებელი სიმაღლის. შალვა სიყვარულს და სათნოებას სთესავდა ჩვენს რიგებში. ის იყო პატიოსნების სიმბოლო. ჩემი ცხოვრების გზაზე წამიკითხავს დიდი ადამიანების კერძო ცხოვრება, სანუგეშო არაფერი დამინახავს. პარტიაში, ან პარტიის გარეთ ჩვენ ხშირათ ვიჩენდით ვნებიანობას, აღელვებას. შალვა კი მუდამ

წყნარი იყო და მოგვიწოდებდა რეზონისაკენ, ზავისაკენ. ამხანაგებში ის იყო სიყვარული ადამიანათ გადაქცეული, ამას თითქოს გრძნობდა ჩვენი საზოგადოებაც, ამიტომ ირჩევდნენ საპასუხისმგებლო პოსტებზე. სრული ნდობა ჰქონდა ჩვენი, როგორც მისი ახლობელი თანამშრომლის. კაცის სინდისში ეჭვს არ შეიტანდა. იყო დაუზარებელი გულშემატკივარი უცხოეთში დაბადებულ ახალგაზრდობის მიმართ.

განსვენებული შალვას ბუნება, ლოღიკურათ იყო ანტიბოლშევიკური. მძიმედ განიცდიდა ამდენი მეგობრების დაკარგვას. ცხოვრების გზაზე დაუფასებელი იყო დახმარება მისი მეუღლის, ქ-ნ ლუბასი. ძალიან უყვარდა ზემო იმერეთი და თავისი სოფელი ბჟინევი. გულისტკივილით იგონებდა თავისიანებს, სევდიანად აქნევდა თავს, რადგან იცოდა, რომ სამშობლოს ვეღარ იხილავდა. ჩემი ხშირი სტუმარი იყო. მოდიოდა ყველა კრების წინ, მუდამ მქონდა მჭადი და შაშხი, რატომღაც ამბობდა: ეს სადილი მაგონებს რაჭასო. მისი დასაფლავება ჰგავდა მის სიცოცხლეს, დიდი სევდით შეზავებული.

სერგი მათითაიშვილი შესახედავათ კარგი ვაჟკაცი იყო. მხნე, შეუდრეკელი, ამოცანის შემსრულებელი. კარგი საამხანაგო კაცი, ერთგული მეგობარი, შეუპოვარი მებრძოლი. მის გარშემო გურიაში ლეგენდები დადიოდა.

განსვენებული სპირიდონ კედია იყო სრულყოფილი ქართული მოაზროვნე, ღრმა მცოდნე, ბრწყინვალე ორატორი და ლიდერობის დამახასიათებელი თვისებებით შემკული. მის მსჯელობაში მოსჩანდა დიდი ნებისყოფა, იყო უაღრესად გონიერი და ღრმათ განიცდიდა ქართულ პრობლემებს. იყო მეტად თავაზიანი, როგორც ყველა მეგრელი, კამათში არ გაურბოდა კითხვებს. ჩემის აზრით გარდაიცვალა ძალიან ადრე. ჰყავს დასაფასებელი ოჯახი.

თემო თაქთაქიშვილი თავისუფალია პოლიტიკური ვნებიანობისაგან. მასში ვაფასებ ბუნებრივ მიმზიდველობას, ზრდი-

ლობიან შეხვადრას, დამაჯერებელ მუსაიფს. როცა მას ელა-პარაკებით განიცდით ფიზიკურ დასვენებას.

გიორგი ილიას ძე წერეთელი მეორე მსოფლიო ომის მონაწილეა. დარჩა ჩვენს მებრძოლ რიგებში შეგნებულათ, მან თავისი ნებით აირჩია ემიგრანტის მძიმე ცხოვრება. მოყვასის მოყვარული, კულტურული ადამიანი; პურმარილიანი, ხელგაშლილი მცოდნე ჩვენი ლიტერატურის და ეროვნული პრობლემების. აქვს ცხელი ტემპერამენტი და კეთილი გული. ხელს უწყობს მისი მეუღლე ქ-ნი ეთერი, რომლის კეთილშობილება მცირე სიტყვებში არ მოთავსდება.

ალექსანდრე ტატიშვილი დიდათ დასაფასებელი ამხანაგია. როგორც ჩვენი პარტიის „შავი მუშა", რომელიც ბევრ სამსახურს გვიწევს. მეტად მორიდებული ადამიანია, მომზადებული, გაჭირვებაში ერთგული, ჭირში და ლხინში საიმედო. არ ახასიათებს მეტიჩრობა და უალაგო ამბიციები. ამისთანა ადამიანები არიან ჩვენი საზოგადოების დასაყრდენი ძალა.

მირიან ბარამიძე და სიმონ ლოლიბერიძე განუყრელი მეგობრები იყვნენ. ერთი საქართველოში გარდაიცვალა დიდი ხნის წვალების შემდეგ. მეორე შემთხვევით მოკლა უბედურმა შემთხვევამ ბორდოში. მახსოვს მათი ტკბილი მეგობრული ურთიერთობა, ნაზი ძმობა. მათი სიცოცხლე შეწირული იყო ჩვენი ერისთვის.

იოსებ ხანანაშვილი წარმოშობით ქართველი ებრაელია, რამდენათაც მე შევნიშნე, სარწმუნოების ფანატიკოსი არ არის. იშვიათი მოსაუბრე ქართველია, ცოდნით შეიარაღებული, საღი მსჯელობის და ფრიად დაკვირვებული მოაზროვნე. საქართველოს მომავალზე მეტად ნათელი წარმოდგენა აქვს.

განსვ. მიშა ჩუბინიძე თავისი ორიგინალობით და ლაპარაკის თავისებურებით დიდი ეფექტის კაცი იყო. ცოდნით და შესაძლებლობით განსაზღვრული, მაგრამ მე მომწონდა მისი სი-

ყვარული საზოგადო საქმის მიმართ: მისი პატრიოტული აღტყინება დაუმუშავებელ ფარგლებში.

განსვ. ალფეს ხომერიკი, შიო ქურიძე, გოგია ღლონტი და ძმები დოლიძეები. ეს მეგობრები გავიცანი, იმ ჟამად, როცა ახალი ჩამოული ვიყავი საფრანგეთში. ჩვენი გზები მალე გაიყარნენ. ჩვენ, იმ ჟამად ახალგაზრდები ვიყავით, ისენი უფრო ხნიერები. როგორი მშობლიური გრძნობებით გვეკიდებოდნენ, რა ნაზი იყო მათი ქცევა, რა თბილი მეგობრობა, ამ ატმოსფეროში მოსჩანდა ჩვენი ქვეყნის მოყვარის სიყვარული. ნაგვიანებით მიუძღვნი მათ დიდ მადბოლას, დიდი დავალიანების გრძნობებით.

ეთერი თაყაიშვილი, შვილი ილია და თამარ თაყაიშვილისა. გარდაიცვალა საკვლებით ახალგაზრდა, თან წაიღო მისი მშობლების სამუდამო სინანული, მისი და-ძმის დაუშუშებელი ტკივილები და ქართული საზოგადოების გულწრფელი გლოვა.

ამ ანგელოზის ვარსკვლავზე წერებულა უსამართლო ბედი, რომელმაც ასე უღმრთოდ დაასვა მწუხარების დაღი მის გარშემო ყველას.

განსვ. გიორგი ჟურული ჩვენი ეროვნული მოღვაწეების რიცხვს ეკუთვნოდა. ლაპარაკობდა დინჯათ და დაკვირვებით, იყო იშვიათი შესახედავი კაცი. დიდ ხანს პატრონობდა ქართულ კოლონიას.

განსვ. გიორგი გვაზავა საქართველოშიც გამიგონია, როგორც ეროვნული პარტიის ერთ-ერთი ლიდერთაგანი. გარეგნულად ჰგავდა პროფესორს; იცოდა დამაჯერებელი ლაპარაკი. ხმა არ უწყობდა ხელს, რომ ყოფილიყო ბრწყინვალე ორატორი. იყო გონიერი იურისტი. ის ითვლება ჩვენი დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორად.

აქვს ბევრი ლიტერატურული ნაშრომი, მათ შორის რუსთაველის პროზად თარგმანი და „მითრიდატე“ ფრანგულათ.

განსვ. ვანო ზურაბიშვილი გარდაიცვალა ომის პერიოდში და ამის გამო ვერ დაიტირა ჩვენმა საზოგადოებამ. ჩვენს პარტიულ წრეებში დიდი პრესტიჟით სარგებლობდა და მიაჩნდათ ლოიალურ მოღვაწეთ. უფრო დაგვიანებით მისმა შვილებმა გამოსცეს, მის მიერ დატოვებული წიგნი. ამ წიგნის რამოდენიმე ფურცელში აღნიშნულია მომავალი საქართველოს სახელმწიფოებრივი ფორმის გეგმა. ისეთი ღრმა ცოდნით, ლოღიკით, ისეთი გაბედული წინდახედულობით, რომ გაკვირვებული დავრჩი. უარყოფს რა უცხო ქვეყნის ოკუპაციას, ღირსეულ ფორმებში ხატავს საქართველოს მომავალს, ასეთ აზრებს ყველა ხელს მოაწერს. ძლიერ მომეწონა აღწერა ყვირილის ხეობის.

განსვ. ალექსანდრე ასათიანი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერთაგანი. კაცი არა მჭერმეტყველი, მაგრამ დინჯი მოლაპარაკე. ახასიათებდა კერძო ლაპარაკი მშიდი და დარბაისრული. სწერდა დასაბუთებულ წერილებს. სინამდვილეში ჩახედული კაცი. გარდაიცვალა ჩვენგან შორს.

განსვ. შალვა ამირეჯიბი იყო ცუდი ორატორი, ხოლო სამაგალითო მწერალი. ბევრჯერ მომისმენია მისი ლაპარაკი, მაგრამ წინააღმდეგობით აღსავსე. გარეგნობით ქართულ ტიპს არ ჰგავდა.

განსვ. დავით სხირტლაძე სრულყოფილი ქართველი იყო. მოაზროვნე დინჯი, იურისტი, მოლაპარაკე, არა მჭერმეტყველი, მაგრამ ეხერხებოდა საქმიანი ლაპარაკი. ახასიათებდა კარგი მეგობრობა.

განსვ. გენ. გ. კვინიტაძე. ისტორიაში შემინიშნავს, რომ დამარცხებული განერალი არ უყვართ, ასეა პოლიტიკაში, მით უფრო მხედრობაში. ამ საზოგადოებრივ უსამართლობას ჩვენ ვერ შევცვლით. ჩვენი დამარცხების მიზეზი სხვა იყო და აქ არაფერ შუაშია გენერლის სამხედრო ცოდნა, რომელიც უსათუოდ დიდი ჰქონდა.

განსვ. აკაკი პაპავა. ბავშვი ვიყავი, როცა ჭიათურაში ყველა აღტაცებული იყო იმ მოხსენებით, რომელიც ა. პაპავამ წაიკითხა. უცხოეთში შესაძლებლობა მომეცა შორიდან გავცნობოდი, როგორც საზოგადო მოღვაწეს, პოეტს და კრიტიკოს.

ქ-ნი თამარა პაპავა, მეუღლეა ა. პაპავასი, ყურადღებას იქცევს როგორც ორიგინალური მწერალი. ჩვენს ლიტერატურაში ბევრი არა გვყავს მწერალი ქალი. ჩემი მიზანი ამ ჟამად ვერ იქნება, ქ-ნის წიგნების გარჩევა. ვიტყვი მხოლოდ: სიყვარულით, მგრძნობიარობით იცავს ეროვნულ ხაზსს. ამვე დროს არსად არ იჩენს, თუნდაც ოდნავ სექტანტურ მიდრეკილებას.

განსვ. გრიგოლ რობაქიძე ჩვენ საზოგადოებაში კარგ ტონათ არის მიჩნეული. თუ იტყვი გ. რობაქიძე „ქართული სიტყვის ოსტატიაო". თუ არა ვცდები გრ. რობაქიძემ შემოიტანა ჩვენში სიმბოლიზმი და მეტად ნიჭიერ მიმდევრებს ჩააბარა. მე გრ. რობაქიძეს წიგნები არსად არ დამინახავს და, მაშასადამე, არ წამიკითხავს. წამიკითხავს მისი წერილები, ხელმოსაკიდებელი არაფერი დამინახავს. არის სიტყვების კორიანტელი და უადგილო ზვიადობა. დიდი სახელისათვის ეს არა კმარა.

ქალბატონები: ქეთო ვაჩნაძე-მაჭავარიანისა, თამარა მუსხელიშვილი და თამარა ლალიძე. ამ სამი მანდილოსნის დახასიათებით, იმედი მაქვს ყველა ქართველი ქალების ბუნებას აღვნიშნავ. როგორც ყველა მანდილოსნები, ისენიც ვიწრო პოლიტიკურ ცხოვრებას არ მისდევენ, მაგრამ მუდმივათ არიან ეროვნულ სამსახურში. უცხოეთში შეგვიქმნეს ლირსეული ოჯახები, ჩვენ რიგებში შემოიტანეს სათნოება, სიყვარული და სიწყნარე. გაგვიზარდეს ახალი თაობა, ამ მანდილოსნებში არ დამინახავს ქალური სიწვრილმანე. ამით გვიადვილებენ დუხჭირ ცხოვრებას. ქ-ნ ვაჩნაძის სუფთა ქართულით მოხიბლული ვიყავი და სამწუხაროა მისი დაკარგვა.

განსვ. სიმონ მდივანს საპატიო ადგილი ეჭირა მეოცე საუკუნის მოღვაწეებში. იყო მაღალი კუტურის ადამიანი, შორს მხე-

დველი, მცოდნე ეროვნული პრობლემების. ითვლებოდა სოციალის-ფედერალისტების ერთ-ერთ მეთაურად. სამშობლოს დაკარგვის შემდეგ, ყველა პარტიების ერთობა მას მიაჩნდა აუცილებლად. ჩვენს პარტიულ წრეებში ჰქონდა დიდი პრესტიჟი და პატივისცემა. მისი გაცემული სიტყვა იყო ბეჭედი. პოლიტიკაში ჰქონდა არაჩვეულებრივი ოპტიმიზმი და გამარჯვების რწმენა. მისი ეროვნული მუშაობა დიდია, ურეზერვოთ და ღრმა რწმენით მოღვაწეობდა გაერთიანებულ ორგანიზაციებში. დიდათ განიცდიდა ეროვნულ დრამას და დაკარგულ მეგობრებს.

განსვ. სამსონ ფირცხალავა სასახელო ადამიანი იყო, მშვენიერი აღნაგობის: დინჯი მოაზროვნე, კარგი ჟურნალისტი. სოციალ-ფედერალისტების ერთ-ერთი ლიდერთაგანი. ბუნებით იყო მიზანტროფი, რატომღაც საზოგადოებას გაურბოდა. უყვარდა ბავშვები და თავს მათ მეგობრათ სთვლიდა, იყო რიგიანი მასწავლებელი. განსვენებულს არ ეხერხებოდა საზოგადოებრივი სიწვრილმანე. ამდენი ხანი ემიგრაციაში ცხოვრობდა და არავისთან გაუგებრობა არ მოსვლია.

ერთობა მიაჩნდა ჩვენი პოლიტიკის ძირითად დასაყრდნობათ. საქართველოში რომ ბრუნდებოდა ძალიან აფიქრებდა, ბავშვებს გულისტკივილით გამოეთხოვა, წინაგრძნობა თითქოს აფრთხილებდა, რამდენათაც ვიცი, ციმბირში დალია სული. ის ღირსი იყო ქართული მიწის.

ნიკო ურუშაძე. რატომღაც მეჩვენება სოციალ-ფედერალისტათ უნდა დაბადებულიყო. ალბად თავის ლიდერების გზას მისდევს, ამიტომ ვხედავ გაერთიანებულ ორგანოებში. აქვს კარგი მეხსიერება, ეხერხება ძველი ამბების მოყოლა. ლაპარაკობს აღელვებით, განიცდის რასაც ამბობს. ეროვნულ საკითხებში გარკვეული მებრძოლია. საზოგადოთ წესიერი ქართველი და მომზადებული მოღვაწეა.

მისი ძმა სევერიანე ურუშაძემ სასიამოვნო ლაპარაკი იცის. პოლიტიკაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან საზოგადოებას გაურბის.

ძმები ნოზაძეები, ჭიათურის მხრიდან არიან და ქართულ საქმეს დიდი სიყვარულით ეკიდებიან. განსაკუთრებული მადლობის ღირსია ქ-ნი ლიდა ნოზაძე ავადმყოფების მოვლისათვის. ორივე ძმა ქართული საქმის მოჭირნახულეები არიან. ბ-ნი ვიქტორის ქართული ენა მსუბუქია, მდიდარი ლექსიკონით და კარგი სტილით, აქედან გამორიცხულია ბარბარიზმი. ბ-ნი გიორგი მწიგნობარია და იცის ხელოვნების მრავალი დარგი. ვიქტორმა „ვეფხის ტყაოსანზე" ბევრი იმუშავა და ალბათ მის ნაშრომს დაფასება აქვს სპეციალისტებში. ეროვნულ დარგში ორივე ძმის მოქმედება მოსაწონია.

მორალურად ვერ მიპატიებია ვიქტორისთვის პოლიტიკური ქანაობა და გიორგისთვის ახალგაზრდობის რწმენის გამოცვლა.

განსვ. რევაზ გაბაშვილი, ვერ ჩაითვლება რიგიან მოღვაწეთ. კაცი უსათუოდ ნიჭიერი, მაგრამ არა ჭკვიანი. იცავდა პარადოქსებს, რამაც ქვეშ მოყოლა და ზეზე ველარ წამოდგა. მან დასწერა ერთი „მოგონება". რომლის მიხედვით 20-ცე საუკუნეში მხოლოდ ორი პატიოსანი კაცი იყო: თვითონ და განსვ. დ. ვაჩნაძე. ამით ვათავებთ მასზე ლაპარაკს.

ყმაწვილი ჩხეიძე. დავკარგეთ 15-16 წლის, უბედური შემთხვევის გამო. ემიგრაციაში მიჩვეული ვართ ხნიერების სიკვდილს. ასეთი ჩვილი ყმაწვილის დასაფლავებას პირველათ დავესწარი. ქართულმა საზოგადოებამ გულწრფელად დაიტირა ეს ანგელოზი. ჩემს დღეში არ დამავიწყდება მოქვითინე დედა და ჯავრისაგან გამშრალი მამა და ბებია. მაშინ დავრწმუნდი, რომ განგება უსამართლოა და გულქვა.

განსვ. ვახტანგ ლამბაშიძე. იშვიათი აღნაგობის იყო. დარბაისელი ქართველი და მუდამ ჯამს მომლიმარი. ხელობით ექიმი, არ ეკუთვნოდა რომელიმე პარტიას. ჰქონდა საღი შეხედულება ეროვნულ პრობლემაზე. საზოგადო კრებაზე მოდიოდა ჩვენებური ხურჯინით.

განსვ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მეტად მოხდენილი და იშვიათი აგებულობის კაცი იყო. მის აღნაგობაში გრძნობდით დიდ ძალას და ნებისყოფას. სამწუხაროთ არ მომეცა საშუალება ახლოს გავცნობოდი.

იმ ჟამათ ეროვნულ დამარცხებას მწვავეთ განვიცდიდით. ალბათ ამით აიხსნება, რომ განსვენებულს ზოგი ეროვნულ გმირს უწოდებდა, ზოგი კი კარგ და ამაყ მებრძოლს. ჩემთვის შეუძლებელია ამ კითხვის გადაწყვეტა. თვით მკითხველმა მოახდინოს არჩევანი.

განსვ. კოკი დადიანი ადრე გარდაიცვალა, გულწრფელად დატირებული ქართველი საზოგადოებისაგან. განსვენებული არც ერთ პოლიტიკურ დაჯგუფებას არ ეკუთვნოდა. მისი სიყვარულის საგანი იყო მთელი საქართველო. კ. დადიანი ფეოდალური საქართველოს იმ კადრს ეკუთვნოდა, რომელმაც ურეზერვოთ იცნო ახალი წყობილება. მას მოსდევდა პოეტური ნიჭი, რომლის საბუთია მის საფლავზე აღნიშნული ეპიტაფია:

„მითხარ შენდობა და ჩემს მხარესა,
ოდეს მოუთხრობ ამბებს მწარესა,
სთქვი, წარწერა იხილე ლოდზე,
ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“.

განსვ. სოლიკო ზალდასტანიშვილთან ვიმგზავრეთ კარგა ხანი და საშუალება მომეცა გავცნობოდი. სოლიკო იყო „დამკომის“ წევრი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერთაგანი. ჰქონდა სამხედრო განათლება. ჩვენ იმ ჟამად ძალიან ახალგაზრდები ვიყავით და ხშირათ ვტიროდით გზაში დახვრეტილ ჩვენს თანამოძმეებს. სოლიკო გვამხნევედა, მაგრამ თვითონაც ცრემლი სდიოდა. იყო მგრძნობიარე ადამიანი, მცოდნე და გამოცდილი. როდესაც, მოგვეჩვენა, რომ საქართველოს ვეპირდებოდით, ხანში შესული სოლიკო ბრძოლის ველზე წავიდა და სიკდილმა იქ მოუსწრო. დაგვიტოვა სანაქებო ჭაბუკები.

განსვ. ნიკო ნაკაშიძე. გარდაიცვალა ჩვენგან შორს. პირადათ არ ვიცნობდი. მადლიერმა მეგობრებმა ძმათა სასაფლაზოე მოასვენეს. იქ წარმოთქმულ სიტყვებიდან გამოირკვა, რომ მას მხურვალე სიყვარული ჰქონდა სამშობლოს მიმართ. მისი საქმიანი მუშაობა უცხოეთში მიძღვნილობა იყო ჩვენი ერისადმი.

განსვ. სანდრო კორძაია, ნიკო იმნაიშვილი. მოღვაწეობდნენ გერმანიის ტერიტორიაზე. არც ისე ადვილია ევროპიელს ყურადღება მიაპყრობინოთ ჩვენი ერის პრობლემაზე. განსვენებულები ნიჭიერათ ახერხებდნენ ამას და ცოდნას, ენერგიას და ძალას არ იშურებდნენ ქართველი ერის სამსახურისათვის. სამწუხაროთ განისვენებენ ჩვენგან შორს.

მოსე იმნაიშვილი. ჩვენგან მოშორებით ცხოვრობს. არასოდეს არ შევხვედრივარ. მაგრამ კარგათ ვიცნობ მისი პოლიტიკური, საზრიანი წერილებით. გამიგონია ამხანაგებისაგან დიდი ქება, მისი ადამიანური თვისებები.

ხარიტონ შავიშვილი. ჩვენგან მოშორებული მეგობარია. მისი კალამი კარგათ გაგებულ ეროვნულ პრობლემას უტრიალებს. შედევრია მისი პროზათ ნათარგმნი „ვეფხის ტყაოსანი". სამწუხაროა, რომ სულ არ თარგმნა.

მარკოზ ტულუში. ერთხელ მოხსენების დროს გავეცანი, თუმცა მრავალჯერ წამიკითხავს მისი გონებრივი სანაქებო ნამუშევარი. აზრიანი ლოღიკით სწერდა და ლაპარაკობდა ეროვნული პრობლემების გარშემო ბელგიაში.

კიტა რიჟამაძე, აპოლონ ორაგველიძე. აქ აღნიშნული ორი მეგობარი არიან შემთხვევით გადარჩენილი „ჩეკის" კლანჭებს. თავიანთ სხეულზე ატარებენ ტანჯვის ელემენტებს. ამ წამებას თავისი დაღი დაუსვამს ორივესათვის.

პოლკოვნიკი თოხაძე. ფრიად სასიამოვნო შესაყრელი მეგობარია. ძალიან ზრდილობიანი. გონიერი მოაზროვნე. საზო-

გადო კრებებზე ლაპარაკობს მოკლეთ, მაგრამ ღირსეული აზრებით. ნაპოლეონის, ტიურენის და ფოშის სამშობლოში პოლკოვნიკობა ადვილი არ არის და თუ ჩვენმა თანამემამულემ მიიღო, ეს ამტკიცებს მის სამხედრო ნიჭსა და უნარს.

ალექსანდრე კინწურაშვილიც ეზიარა საფრანგეთის სამხედრო კულტურას. თავის ახალგაზრდობა მან გაატარა თავის მეორე სამშობლოში. ბუნებით ფიცხია, მაგრამ მალე იცის დაცხრომა. ბევრი რამ გაუკეთა სამოქალაქო დარგში ქართველებს უცხოეთში.

განსვ. ალექსანდრე ჯინჭარაძეც სამხედრო პირი იყო. ისიც ფრანგული ჯარის ოფიცერი იყო და თუ არა ვცდები ეკუთვნოდა სანაქებო ქართველ იუნკრების კადრს. ღრმა სიყვარულით აკეთებდა ჩვენი ემიგრაციის სამოქალაქო საქმეებს.

ვანო ბაქრაძე. პოლონური ჯარის ოფიცერი. ქართული სამხედრო სკოლის მოსწავლე. შესახედავათ იშვიათი ტანადობის კარგი მოსაუბრე, ღრმათ მცოდნე სამხედრო მეცნიერების. მხურვალე მონაწილეობა მიიღო პოლონეთის ომში.

პოლკოვნიკი აკაკი კვიტაიშვილი. სამხედრო მეცნიერების დიდი მცოდნე. საქართველოში ჰქონდა დიდი საპასუხისმგებლო თანამდებობა. სწერდა და მსჯელობდა იშვიათი ცოდნით. დიდი პრესტიჟი ჰქონდა ჩვენს რიგებში. უკვე ხანში შესული იყო, მაგრამ ომში გაეშურა, რათა საქართველოსთვის გამოსადეგი ყოფილიყო გართულებულ მომენტში.

განსვ. გენ. ზაქარიაძე მსახურობდა პოლონეთში და მიიღო მონაწილეობა მათ ომში. დიდი ადგილი ჰქონდა საქართველოში. უალრესი მცოდნე იყო სამხედრო მეცნიერების, მომხიბლავი ადამიანი, იშვიათი ამბების მომყოლი.
დამარხულია ძმათა სასაფლაოზე.

ნუცა თაყაიშვილი, არის განსახიერება და სინტეზი ბუნე-

ბრივი კეთილშობილების. ილია თაყაიშვილის თვისებები განხორციელებულია ამ ქალიშვილში. ცოდვაც ვერ იტყვის ამ ბუნების ქმნილებაზე ცუდს. თავისთავად იგულისხმება მისი ლირსეული მეუღლეობა სამაგალითო შვილობა და სრულქმნილი მოქალაქეობა.

განსვ. ალექსანდრე ცომაიამ ახალგაზრდობიდანვე გაიზიარა ჩვენი ქვეყნის უბედური ბედი. იყო მომზადებული მებრძოლი და სათანადო ლირსებით შემკული. მას ჰქონდა თავისი ადგილი ჩვენ საზოგადოებაში. სამწუხაროთ ადრე მოგვტაცა სიკვდილმა.

ერასტი მაჭავარიანი მეტად გულმხიარული მეგობარია, მისი სიცილი გადამდებია. არასოდეს არ მომისმენია მისი ლაპარაკი, მაგრამ კერძო საუბარში მოსჩანს მისი მომზადება. აქვს კარგი ოჯახი და მეტად პურმარილიანია.

პროკოფი ინწკირველი, ჩვენი კარგი მეგობარია. ჩამომავლობით გურული, მაგრამ დინჯი, ინგლისური ფლეგმატობის. ახასიათებს ხუმრობა და გონებრივი გამჭრიახობა. მორიდებულათ და დაფარულათ ეხმარება ლარიბ მეგობრებს.

ვალიკო ახვლედიანი იშვიათი სილამაზის მეგობარი იყო. ადამიანი გამტანი და ლრმა მეგობრობის გრძნობის მატარაბელი. არ იფიქროთ ეს პატარა ლირსება იყოს.

შემთხვევით რიგიანი მდგომარეობა შექმნა ლარიბი მეგობრების საკეთილდღეოთ. ჩვენი ხალხის სამსახურში დალია სული.

განსვ. იოსებ გობეჩია ჩვენ ეროვნულ ცხოვრების ფოლკლორს წარმოადგენდა იყო ჩვენი პარტიის სიმპატიური მტერმოყვარე. ძალიან სასიამოვნო მუსაიფი იცოდა, ლაპარაკობდა აღელვებით და პათოსით. ცოდნით და შესაძლებლობით განსაზღვრული ადამიანი, რაც აადვილებდა მის დამარცხებას. მისი დასაფლავება ჩვენდა სამარცხვინოთ მოხდა ცუდ პირობებში.

განსვ. მანია და ნიკიჩა ვადროიანი, რუბენ აუშტროვი და

დათიკო ხელაძე. ეს მეგობრები ქართულ რასას არ ეკუთვნოდნენ. იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნისთვის; სწორეთ ეს მომენტია ამაღელვებელი და კეთილშობილი. საქართველოს უნდა ჰქონდეს დიდი მიმზიდველობა, ერთგვარი ანდამატი, რომ ამ უცხო ხალხმა ასე შეიყვარეს, რომლის კეთილდღეობას ანაცვალეს თავისი სიჭაბუკე და თავიანთი ცხოვრება.

ბ-ნი მიშა ქავთარაძე დინჯი ქართველია. ყოველ მის გამოსვლას აზის სერიოზული ტონი და საქმის სიყვარული. ყოველი მისი გამოსვლა შეფარდებულია ჩვენი მადლიანი პოეზიის მომენტებთან. ამიტომ სიტყვები ჯიგრიანია და ფუქსავატობას მოკლებული. აქვს ზოგადი კულტურა.

ძმები ყურაშვილები თანასწორი სიყვარულით მისდევენ პოლიტიკას და პოეზიას, განსაკუთრებით დათიკო. ქართული ცხოვრების მაჯის ცემა მათთვის მთავარია. 1924 წელს, აჯანყების დროს, ნიკო შემთხვევით გადარჩა. მორალურათ საქები ქართველები, შრომაში მუყაითნი და მეგობრობაში გამტანი არიან.

ქ-ნი გ. პატარიძე-ურატაძისა, დათიკო ურატაძე, კარლო ინასარიძე და შალვა კალანდაძე. ჩვენმა ბედმა მათ არგუნათ დიდი პასუხისმგებლობა; მძიმე ტვირთი. ქართველ ხალხთან ლაპარაკი, რაც ადვილი არ არის. ისენი არიან მონობაში და მათთან საუბარი მოითხოვს დიდ კულტურას, ცოდნას, ტაქტს და გონებას. უსურვეთ მათ წარმატებას, ამ რთულ მისიაში და პირნათლად გამოსვლას.

თათარხან ანთაძე, სასიამოვნო შესახვედრი მეგობარია, ემიგრაციის თვალსაჩინო წევრი. მიმართულებით სოციალ-ფედერალისტი. ხშირათ მომისმენია მისი წერილობითი გამოსვლა, დინჯი და პასუხისმგებლობით დატვირთული.

ბუაჩიძე დათიკო სარგებლობს ყველასთან კარგი დამოკიდებულებით. არასოდეს მინახავს გულმოსული. პოლიტიკურ საკითხებში საღი მიდგომა აკლია, ამიტომ ყველგან სიკეთეს ხედავს, ან არ უნდა დაინახოს.

ვალიკო ჭელიძე. წყნარი და უპრეტენზიო მებრძოლი. ბუნებისაგან კარგათ დაბადებული. მისი მასპინძლობა სამაგალითოა. გაჭირვების დროს საიმედო.

ძმები ტიტე და მამია ბერიშვილები ნოე რამიშვილის ახლო ნათესავებია. სისხლში უდგათ ეროვნული ერთგულება. სწორეთ ამ ერთგულებას შეეწირა მისი ოჯახი. საწყალი ტიტე დახვრიტეს პოლონეთში. მათი ეროვნული ერთგულება ცნობილია. მამია არის დინჯი, მოფიქრებული და ყოველ მხრივ სანაქებო მეგობრობაში.

ნუცა რამიშვილი ჩვენი დიდი მეგობრის შვილია. საყვარელი და პატივცემული ყველასაგან. ახასიათებს კულტურა, ზრდილობა და თავდაბლობა. პატივს სცემს მამა მისის პოლიტიკურ მიმდევრებს. უაღრესათ მგრძნობიარე და თავდადებულია საზოგადოებაში.

ლადო არველაძე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეუერთდა ჩვენს რიგებს. მან გამოსცა წიგნები, რომელშიც წითელი ძაფით არის გატარებული ქართველი ტყვეების ტანჯვა. ახლოს არ ვიცნობ, რაც მიშლის ხელს მის სხვა ღირსებებზე ვილაპარაკო.

სიმონიკა კეკელიძე. უაღრესად საყვარელი მეგობარია, ღარიბი, მაგრამ დაუჯერებელი სტუმარმოყვარე. კარგი მუშა, მუყაითი, დაუზარებელი სხვის საქმისათვის. ამბის მოყოლის დროს, რატომღაც ხმარობს „შენ ხარ ჩემი ბატონი“.

ვალია ჯიბლაძე, არის ღირსეული შვილი ღირსეული მამის. კერძო ლაპარაკი აქვს ნიჭიერი, მომზადებული, შეზავებული მაღალი ცოდნით. არის თავდაბალი. მეგობრობაში გამტანი და ამხანაგებში თბილი გრძნობის მატარებელი.

მირიან მელუა, ჩვენი ახალგაზრდობის მეგობარი, უკომპრომისო და პირდაპირი. აქვს კარგი მომზადება, ცოტა სექტანტური აზროვნება, მაგრამ კარგი ბუნება და ნორმალურად პოულობს წონასწორობას. აქვს კარგი ოჯახი, კარგი ახალთაობით.

მარტიან მგელაძე მეტად ორიგინალური ამხანაგია, ზრდილობიანი, პატიოსანი, მგრძნობიარე ადამიანი. გაჭირვებულ ამხანაგების ჩუმი დამხმარე. იშვიათად იცის ჩვენი ლიტერატურა. პოლიტიკაში და ეროვნულ საკითხებში ჩახედული, მტკიცე რწმენის. ჩვენ მოღვაწეებში განსაკურთებით აფასებს ირ. წერეთელს.

გიორგი გრიგოლაშვილი, ჩვენს ამხანაგებში გამოსარჩევი კაცია. პარტიას ბევრ საპასუხისმგებლო ადგილზე გაუგზავნია, რაც პირნათლად შეუსრულებია. დაჯილდოვებულია ეროვნული კულტურით. მეგობრობაში გამტანი, ეხერხება ლაპარაკი, თუმცა იშვიათად გამოდის საზოგადოებაში. კარგი მასპინძელია.

განსვ. დათიკო ქვარიანი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შემოუერთდა ჩვენს რიგებს. თავის-თავად ეს აქტი მეტყველობს მის ეროვნულ აღტყინებას. ადამიანი მიმზიდველი, მხიარული, მომცინარე, მსუბუქი იუმორის მქონე. ლაღი მომუსაიფე. ჩვენს საზოგადოებაში მან დაიმსახურა თავისი ადგილი.

განსვ. იოსებ სალაყაიას თვითმკვლელობამ დიდი სევდა შემოიტანა ჩვენს რიგებში, როგორც ყველა თვითმკვლელობა დაფარული სევდის შედეგია. იოსები ფრიად განათლებული და მცოდნე იყო. იყო ჩვენი რესპუბლიკის ელჩი პოლონეთში. ფართო კულტურის მქონე, კარგი ფხიზელი ჟურნალისტი და კარგი ორგანიზატორი. დიდი თავმდაბალი და ზრდილობიანი კაცი.

გოგი ჟორდანია. მეტად მკვირცხლი პიროვნებაა, როგორც ყველა გურული, ტემპერამენტიც ცხელი. აღჭურვილი პარტიული და ეროვნული კულტურით. სამწუხაროთ ბოლო ხანებში მოღვაწეობს ფრანგულ სოციალისტურ პარტიაში. ფრანგებს ჩვენი დახმარება ძრა სჭირდებათ და სასურველია დაუბრუნდეს ჩვენს რიგებს.

ქ-ნი ქეთევან დადიანი. ჩვენი საზოგადოების და ეკლესიის ჭი-

რისუფალია. გონება გახსნილი, მგრძნობიარე, ახალი თაობის მოყვარული მანდილოსანი. აქვს სილამაზესთან ერთად ბუნებრივი შარმი, ანუ მიმზიდველობა.

ნელი მდივანი-ოდესი. თვით ბუნება გვიქმნის რთულ პიროებებს ნელის დასახასიათებლად. დიდი ჭკუის, დიდი ცოდნის მანდილოსანი. უსათუოდ რომ პირველი შემხვედრია ცხოვრების გზაზე. ნელისთან მუსაიფი არის უაღრესათ სასიამოვნო, დამასვენებელი მომენტი. თუ, ზოლას დაუჯერებთ, დიდ როლს თამაშობს მემკვიდრეობა, მაშინ რა გასაკვირია, რომ სიმონ მდივანს ღირსეული მემკვიდრე ჰყავდეს. ზედმეტია ვილაპარაკოთ ნელის საამქვეყნო, სამოქალაქო მოვალეობაზე.

სანდრო ფანჩულიძე, ჩვენში რომ იტყვიან „მუნჯი" კაცია. მურწუხებით უნდა ამოაცალოთ სიტყვები. არასოდეს თავის აზრების მანიფესტაციას არ ახდენს. ყველა პრობლემაზე, როგორც პოლიტიკაში, ისე პოეზიაში, კარგი დამუშავებული აზრები აქვს. კარგი ამხანაგი, კარგი მასპინძელი, მშრომელი და მუყაითი.

განსვ. გერმანე ბარამიძე. ყოვლად სანაქებო პიროვნება იყო ყოველ დარგში. არის გმირი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გერმანე თავის გაცემული სიტყვის ერთგული დარჩა, იმ დროს გასწირა თავისი სიცოცხლე, როდესაც არავითარი შანსები გადარჩენისა არ ჰქონდა. ასეთ თავგანწირვის წინაშე რა ფასი აქვს ჩემ უბედურ სიტყვებს? კალამი მიჩერდება და ჩვენ, ცოცხლებს ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ გმირი მოგონილი მითი არ არის, არამედ ჩვენი ცხოვრების რეალობაა.

გრიგოლ ბარამიძე ზემოთ დასახელებული განწირული მებრძოლის ძმაა, რომლის დაკარგვას ძმური სევდით შეხვდა. ალბათ ოჯახურ აღზრდას მიეწერება, გრიშას უკომპრომისო პოზიციები. სწორეთ ასეთი ადამიანები შეადგენენ ჩვენი საზოგადოების დასაყრდნობ ძალას. ბარამიძის ხელგაშლილი ბუნება ცნობილია ჩვენს რიგებში.

განსვ. დათიკო ხარისჭელაშვილი, როგორც ბარამიძე დაილუპა ბრძოლის ველზე. ამბობენ, რომ დათიკო ხარისჭელაშვილის გმირობა რაღაც გრანდიოზულიაო. თურმე, როდესაც მებრძოლები საომრათ მიდიოდნენ, ერთი მათგანი უკანასკნელ წუთში შეშინდა. აქ სწორედ დათიკომ დაიკავა მისი ადგილი, და შეგნებულად გაეშურა სიკვდილისაკენ. ენა მივარდება ასეთ თავგანწირვის წინაშე.

განსვ. ვალიკო ინწკირველიც მოკვდა ბრძოლის ასპარეზზე, მართალია სხვა პირობებში, მაგრამ მისი სიცოცხლე ხანმოკლე იყო. ტანჯული ოჯახის შვილი, დიდი იმედების მომცემი. გონება გახსნილი, ერთგული და ენერგიული. მისმა ასე უდროოდ სიკვდილმა ყველა დაგვაღონა.

განს. აკაკი ვადაჭკორიას სიკვდილს მუდამ გულის ტკივილით ვიგონებთ. ჩვენ რიგებში მას შემოჰქონდა ოპტიმიზმით აღსავსე იმედები. ჰქონდა პარტიული და ეროვნული შემოქმედება. მუხთალი ბედისაგან უდროოთ გადაჭრილი.

შალვა ბერიშვილი დიდათ ეწამა ჩვენი საქმისათვის. ორჯერ წავიდა საბედისწერო ადგილას. მასში ცხოვრობდა აჯანყებული სული, მიძღვნილი კეთილი საქმისათვის. ასეთი ბუნების ადამიანებს ადგილი არა აქვთ ჩვენს დედა სამშობლოში.

განსვ. კოლა ნიჟარაძე ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი, კარგი მომზადებული მეგობარი იყო. ენდო თავის ვაჟის სიტყვას, საქართველოში დაბრუნდა და ციმბირში დალია სული.

განსვ. სპირიდონ ჟღენტი. ამ ამხანაგმაც ვეღარ გაუძლო ჩვენ დუხჭირ პირობებს და თავის გაყინული ძვლები დედა სამშობლოს მიუტანა გასათბობათ, მაგრამ ბედმა უმუხთლა და ციმბირში დალია სული.

განსვ. სევასტი დალაქიშვილი. არავითარი პრეტენზიების თანამემამულე იყო. შეეკედლა ვალოდია გოგოაძეს ოჯახს და

პატიოსანი შრომით ირჩენდა თავს. იშვიათად თუ ვინმეს გაუხსნიდა გულს. ბუნებით იყო მიზანტროფი. როდესაც მოხუცდა, თავისი-თავი ზედმეტ ბარგათ მოეჩვენა და თვითმკვლელობით დაასრულა. ყოველ შემთხვევაში ეს არის ჩვენი ახსნა, მაგრამ სინამდვილეში რა ტრიალებდა მის გულში ვინ იცის?

გერასიმე ბოლქვაძე ჩვენი ერთგული მუშაკია ჭაბუკობიდან. დოქტრინალურად არის ნაწილობრივ სექტანტი. მაგრამ ქართული საქმის წინაშე ყველაფერი ავიწყდება და არის თავდადებული მუშაკი. ჭირში და ლხინში ჩვენთან არის. ახასიათებს კარგი მასპინძლობა და უყვარს უცხოეთში დაბადებული ახალგაზრდობა.

განსვ. სიმონ ჩიქვილაძე იყო წყნარი და მომზადებული კაცი. ტკბილი მოსაუბრე, უწყინარი მეგობარი. არავინ არ იცის ამ უწყინარმა კაცმა რატომ ჩაიდინა თვითმკვლელობა, რამაც ასე დაგვაღონა.

ნეტარხსენებული იური ფალავა. პირადათ არ ვიცნობდი ჩვენ წრეებში მიჩნეული იყო დიდი კულტურის კაცად, იყო მეგობარი კონსტანტინე კანდელაკის.

სანდრო ჭყონია. ჩვენს ემიგრაციაში პურ-მარილით ყველას სჯობდა. კაცი დინჯი, დიდი იუმორის პატრონი, იყო დაბადებული კეთილშობილათ. იმანაც თვითმკვლელობა ჩაიდინა და უაღრესად დაგვწყვიტა გული.

განსვ. დათიკო ჟორჟოლიანი ძლიერ ახალგაზრდა გარდაიცვალა და თან წაიღო ჩვენი იმედები, რომელსაც მასზე პარტია ამყარებდა.

ილიკო სალუქვაძე შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს, ჩვენდა სასიხარულოთ. ცხოვრების კარგი მცოდნეა და ჩვენი ბრძოლისთვის მომზადებული და თავდადებული. აქვს კარგი ოჯახი, არის სტუმარმოყვარე. ამ ღირსებების მქონეს დიდი ხნის სიცოცხლეს უსურვებთ.

განსვ. ექ. გოგი ჭაჭიაშვილს, როგორც პიროვნებას შორიდან ვიცნობდი. ის დაილუპა პირდაპირ ბრძოლებში. როგორც ადამიანზე კარგის მეტი არ გამიგონია. იყო მცოდნე და გარკვეული ეროვნულ საკითხში და უანგარო მებრძოლი.

ქრისტეფორე იმნაიშვილი ყოველმხრივ საყვარელი ადამიანია. იბრძოდა გურიაში ეროვნული საქმისათვის. შემთხვევით გადარჩენილი მებრძოლია. იშვიათად მინახავს ამხანაგი, რომ ისე განიცდიდეს მეგობრების დაკარგვას, როგორც ქრისტეფორე.

მიშა სტურუა. ჩვენ გაჭირვებულ ცხოვრებაში მიშასაგან და მისი ცოლშვილისაგან ბევრი სიკეთე გვახსოვს. საჭიროების ჟამს, მას ახასიათებს დახმარება. აქვს კარგი მეხსიერება და აგონდება ბევრი საინტერესო ამბები. პოლიტიკის გარდა კარგათ იცის ჩვენი პოეზია.

ანტონ ჟორჟოლიანს პირადათ ცოტა ამხანაგები იცნობენ. მეც ამგვარ მდგომარეობაში ვიმყოფები. ანტონს ვიცნობ, როგორც მწერალს, მომზადებულს და, რაც მთავარია, შეუპოვარს, ბრძოლის ჟინით შეპყრობილს. წამიკითხავს მისი ჯიგრანი ნაშრომები ფრანგულ ენაზე.

ჭიჭიკო ასათიანი. სამაგიეროთ ყველა პარიზელმა იცის, იცნობს მის საქმიანობას. აქვს მსუბუქი იუმორი. ჰყავს მომავალი თაობა. სწერს სამაგალითო მოგონებებს იშვიათი მეხსიერებით. იყო პარიზის საელჩოს პირველი მდივანი.

ალ. მანველიშვილის პირად ღირსებებზე ვერაფერს ვიტყვი. გამიგონია, რომ ის დინჯი მოაზროვნეა და კარგი პოლიტიკური მოღვაწე. გაცნობილი ვარ მის ნაწერებს, როგორც ჟურნალისტისას, ისე მწერლისას. მის ნაწერს ყოველ სფეროში აქვს დამდგარი მოაზროვნის ხასიათი და მოსჩანს ნიჭი.

სევ. ჭირაქაძეს ახლო არ ვცნობ. შორიდან გამიგონია მისი კარგი პოლიტიკური ღირსებები. არის ეროვნულ-დემოკრატიული

პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. რეგულიარულათ ვკითხულობ მის დინჯ და გონიერ წერილებს.

ვანო ასათიანი არის ნაციონალისტური მიმართულების, მხოლოდ მისი მეგობრები მოიპოვებიან ყველა პარტიებში, რადგან ბუნებით არის კეთილი, გამტანი და ყველას მოსიყვარულე. ზედმიწევნით გარკვეულია ეროვნულ საკითხებში და პოეზიაში.

ნიკოლოზ ბოკუჩავა, აკაკი გამსახურდია, დიტო კლდიაშვილი. ამ სამ მეგობართან მუდამ მქონდა თბილი მეგობრული დამოკიდებულება, მიუხედავათ პოლიტიკური განსხვავებისა ყოველთვის ვნახულობდით საერთო ენას. სამივე მეგობარს ახლავთ ღრმა სიყვარული ჩვენი ქვეყნის საჭირ-ბოროტო საკითხების, ყოველგვარი ეროვნული ღირსება.

გრიგოლ უჩაძე ჩვენს ემიგრაციაში კარგად ცნობილი პიროვნება ძრ არის. ერთი მისი ბუნებრივი სიმორცხვის გამო, მეორე, რადგან ის მუშაობდა ჩვენგან დაშორებით. უაღრესათ კეთილი კაცია, მშრომელი, მცოდნე. სხვებისაგან გამიგონია, რომ ჩვენ რესპუბლიკას დიდი ამაგი დასდო. ძრის მძიმეთ დაჭრილი.

გიორგი ყიფიანი. ჩვენი ემიგრაციის ერთ-ერთი პოეტი, მისი ლექსები ნიჭიერათ გამოხატავენ ეროვნულ დრამას, განსაკუთრებით მოსაწონია მის მიერ დანახული ემიგრანტების განცდები.

ვახტანგ მაჭავარიანი პოლიტიკას არ მისდევს. არც ერთ მიმართულებას არ ეკუთვნის, მაგრამ ქართულ საქველმოქმედო საქმეების აქტიური წევრია. სტუმარმოყვარე და მშრომელი.

ალ. შათირიშვილი სოციალისტ-ფედერალისტების თვალსაჩინო წევრია. რაც მე შემიმჩნევია, ალ. შათირიშვილში, მოიპოება დიდი მგრძნობიარება, მოყვასის სიყვარული და მეგობრების არ დავიწყება. ჩემის აზრით, ეს არის დიდი ადამიანური ღირსება. გულ-ცივი კაცი უვარგისია ჩვენი მოწოდებისა-

თვის. ალ. შათირიშვილი ავტორია ბევრი შრომების. მის შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნული მებრძოლის ტემპერამენტი. ხელს უწყობს მდიდარი პარტიის წევრობა.

ემიგრაციაში დაქალებულ რიცხვს ეკუთვნის ქ-ნი **ელზა ცომაია,** განსვ. ს. მდივნის ერთ-ერთი ქალიშვილი. მანდილოსანი ენერგიული, გულღია დიასახლისი, გონება გახსნილი და გულდამწვარი ეროვნული დრამით. მისი ოჯახი შეერთებულ შტატებში ღიაა ყოველი ქართველისათვის. სამშობლოს უზრდის მშვენიერ ვაჟს, რომელიც იმ მცირე რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ემიგრაციაში დაბადებულნი ქართულათ ლაპარაკობენ.

ექ. გ. გაბლიანი. მეორე ომის დროს შემომატებული ემიგრანტია. გამიგონია ომის პერიოდში დიდი ღვაწლი დასდო ქართულ საქმეს და კერძოთ ქართველი ტყვეების მდგომარეობის გაუმჯობესებას. შემდეგ დასახლდა შეერთებულ შტატებში და აქტიური მომქმედია იქ წარმოებული ქართული საქმიანობის.

გიორგი ჯაუელი ძველი ემიგრანტია. ჯერ საფრანგეთში მისი სახელი კარგად ცნობილი იყო. დღეს კი შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და იქაური საქმიანობის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია.

ძმები. გივი და ოთარ ზალდასტანიშვილები ემიგრაციაში დავაჟკაცებული ხალხია. ცხოვრობენ შეერთებულ შტატებში და იქ წამოჭრილ ქართულ პრობლემებს თავს ევლებიან. მათი წყალობით ცოცხლობს იქ ქართული სახელი და ჩვენი ეროვნული საკითხი.

ვ. სანგულია მეორე ომის შემდეგ შემატებული კაცია. როგორც მამულიშვილს აქებენ და შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ქართველებში აქტიური მომქმედია.

დიმ. სინჯიკაშვილი სავსებით ჭაბუკი ეზიარა სამშობლოს მოვალეობას. ამ გრძნობებს შეეწირა მისი ძმა. უკომპრომისოთ იცავს საქართველოს ძირითად პრობლემებს. აქვს კულტურა,

ცოდნა, მებრძოლის ტემპერამენტი, რომელსაც ნიჭიერათ ხმარობს ერის საკეთილდღეოთ. ემიგრანტულ ვითარებაში ახასიათებს წონა-სწორობა, საღი მიდგომა და ხალასი მეგობრობა.

ისიდორე გაფონია. ომის შემდეგ შემომატებული ქართველია. ცხოვრობს შეერთებულ შტატებში და მხურვალე მონაწილეა იქაური საქმიანობის.

ვიქტორ ხომერიკი, შვილი ჩვენი დიდი მეგობრის, ნოე ხომერიკის. მსგავსი მემკვიდრეობა მძიმე წონის არის. ვიქტორს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ტყვეების გადარჩენაში. მომზადებული და მცოდნე მეგობარია.

განსვ. ისიდორე მანწკავა ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა, მგონი გერმანიაში. ეროვნულ სარბიელზე დიდ იმედებს იძლეოდა. ჰქონდა ღვთით ბოძებული ნიჭი, იყო გონიერი და სწერდა იშვიათი ქართულით და ჰქონდა დახვეწილი სტილი. ის არ იყო პარტიულათ ერთგული ჩვენი მოძრაობისა, მაგრამ შეინარჩუნა ჩვენ რიგებთან, პირადი, კარგი დამოკიდებულება.

ტარასი წულაძე ჩვენს რიგებში მიჩნეულია, როგორც წესიერი მომუშავე და დაკვირვებული მეგობარი. ომის დროს, შეძლებისდაგვარად, დახმარება აღმოუჩინა ქართველ ტყვეებს. აუჩქარებელი მეგობარი და საქმის მცოდნე. ამ ჟამად ორგანიზაციაში აღარ ირიცხება, მაგრამ ჩვენი ამხანაგებისადმი სიყვარული და პატივისცემა არ დაუკარგავს.

ოთხი ძმა დონდუა. ჩვენი ერის ფეხოსან ჯარს ეკუთვნიან, როგორც ასეთები დიდ სამსახურს გვიწევენ. ამდენი მებრძოლები და მათი შვილები, ერთ-ერთი იმედია ჩვენი საზოგადოების. გაჭირვების და დალხინების დროს ჩვენთან არიან.

აკაკი ასათიანი და ჟორა ასათიანი. დინჯნი, სერიოზულნი, საქმის მოყვარულნი. აქვთ რიგიანი ოჯახები და ქართულ საზოგადოებას ღირსეულ დახმარებას უწევენ. ეროვნულ საკითხში

ერთგული თანამებრძოლები არიან. ჩვენი საზოგადოების სანაქებო წევრები.

განსვ. კოლა ბარნოვი. საზრიანი, ერთგული, ძველი მეგობარი. იყო ჩვენი მოძრაობის ერთგული. მას ჰქონდა ბევრი დამსახურება თბილისის მუშებში. სიყვარულით ეექცეოდა ჩვენს პრობლემებს და საზოგადოების გულშემატკივრობა ახასიათებდა.

განსვ. ვასო ტულუში საყვარელი ადამიანი, ღირსეული მოქალაქე და პარტიის კარგი წევრი. უბრალო მუშის მდგომარეობიდან გონებრივ სიმაღლეს მიაღწია. ჩვენ დუხჭირ პირობებში ღარიბ მეგობრებს არ ივიწყებდა.

მიხეილ ხუნდაძე არის დიდი კულტურის, ცოდნის, ნამდვილი ევროპიული ღირსებების მატარებელი. კარგი ორატორი, კარგი მწერალი, ღირსეული ოჯახის პატრონი. ჩვენ უპატიებელ ცოდვათ უთვლით, ემიგრაციიდან მოშორებით ყოფნას.

ელისე პატარიძე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერთაგანია, საქათველოს ეროვნული მოღვაწე. ადამიანი მეტად მგრძნობიარე. მქონე საზოგადო კულტურის, აქვს მშვენიერი ქართული ოჯახი და ჰყავს ჯიგრიანი შვილები.

დავით ვაშაძეს აქვს მემკვიდრეობა ღირსეული ოჯახის, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო საქართველოს კეთილდღეობისათვის. დათიკო არის კარგი მეზობელი, გულშემატკივარი მეგობარი, მწიგნობარი, ჟურნალისტი, კარგი ორატორი, ვწუხვარ ასეთი ღირსების ადამიანი ჩვენგან შორს არის.

მიხ. გაფრინდაშვილი პარტიის კაცი არ არის, მისი ხატია მთლიანი საქართველო. მიშა ჩვენი სკოლის ამხანაგი და ცხოვრების თანამგზავრია. ადამიანი ფაქიზი, გამტანი, მშრომელი, კარგი მეგობარი, მგრძნობიარე პიროვნება.

კაკო ალშიბაია არ მისდევს ვიწრო პარტიულ მსოფლ-მხედველობას. მისი ასპარეზი და ოცნების საგანია ჯაჯვებ შემო-

მტვრეული საქართველო. უკანასკნელი ომის დროს, მან საქართველოს გადაურჩინა მრავალი ვაქკაცი. ამ ღირსეულ აქტს არაფერი არ დაემატება.

ჩვენ ქვევით ვათავსებთ ძმათა სასაფლაოზე განსვენებულ მეგობრების სიას. თუ დროებამ არ მიმუხთლა, მომავალ წიგნში ყველას მოვიხსენიებ.

ძმათა სასაფლაოზე დაკრძალულ, უდროოდ დალუპულ მეგობრებს, ვერაფერ სანუგეშოს ვერ ვეტყვით, უცხოეთში სიკვდილი ქართველისათვის მძიმე განაჩენია, თუ გნებავთ ბედის უკუღმართობა. ყველამ, ამ სასაფლაოზე განსვენებულმა, ატარეს სული აჯანყებულისა, სამშობლოს მძაფრი სიყვარულისა, არავინ იფიქროს, რომ ჩვენი ტანჯვა გადამეტებულია, ან სიტყვების უბრალო შეჯამება. ჩვენ ლიტერატურის დრო არა გვაქვს. ჩვენ, დევნილებს, თუნდაც მეგობრულ მიწაზე, ჰაერიც კი გვეცოტავება, რალაც გვაკლია, რომელიც ჩვენ არსებობას შინაარს აცლის, ხმელეთზე თევზივით ვართ. ვიცით, საქართველოში ჩვენზე ფიქრობენ, აი რა გვიადვილებს სიკვდილს.

ქვემო მომდევნი სიაში შევიტანე ის მეგობრები, რომელთა სასაფლაო იმყოფება სხვა ადგილებში, მხოლოდ მათი რიცხვი მკირერიცხოვანია.

ვლასა იმნაძე, გრამიტონ ჭელიძე, ვალერიან ღლონტი, ელენე გომართელი, ალ. ქორქია შვილით, არჩილ ზურაბიშვილი, ვასო შალამბერიძე, დევდარიანი, სურგულაძე, გიორგი წერეთელი, ვახტანგ ციციშვილი, ვანო მშვენიერაძე, შოთა ნიკოლაძე, მიხა ალშიბაია, ქ-ნი ანთაძე, დ. მდივანი, მ. მაკარაშვილი, მ. ანანიაშვილი, მგელაძე, მელქაძე, გიორგაძე, შალვა ალშიბაია. კ. ბარნოვი, ძმები ურუშაძეები, ჯანელიძე, გ. ჩხეიძე, ალ. ერისთავი, შ. ტიტვინიძე, ფ. შარაძე, დავით მაჭავარიანი, რ. ინგილო. მ. ჩუბინიძე, ნ. ნიკოლაიშვილი, ილ. ჩხეიძე, დ. სხირტლაძე, პ.

კობახიძე, სიამაშვილი, ს. მიმინოშვილი, ი. ელიავა, ალ. ჯაფარიძე და მისი შვილი, კვაშალი.

თ. რუხაძე, ზ. ციციშვილი, გრ. ცინცაძე, ფირცხალაიშვილი, ლ. ელენტი, თ. დადეშქელიანი, ბელიაშვილი, სარა ასათიანი, ძმები ს. და ალ. ტარასაშვილები, ცოლ-ქმარი ჯაყელები, ე. კალანდარიშვილი, გვეტაძე, ბაბულია გვარჯალაძე, ი. რუხაძე, ბ. სიდამონ-ერისთავი, გ. წივწივაძე, ელენტი, კემულარია, ვ. ჯაველიძე, დ. ერქომაიშვილი, ალ. ქურციკიძე, ქ-ნი არიანა ურატაძე, ალ. და ელისაბედ ბებურიშვილი, გ. სულაქველიძე, დ. ფერაძე, ქ-ნი აბაშიძე, აპოლონ კობახიძე, ნ. იმნაიშვილი, ს. კობიაშვილი, ზ. ჩაჩუა, მიშა და ელენე ლაშქარაშვილები, ქ-ნი ბ-ნი ფანჩულიძეები, ლ. მამულაიშვილი, ვ. ქურციკიძე, ნ. კვარცხავა, ახალგაზრდა გოგონა ეთერი თაყაიშვილი, ოლღა და ევ. გეგეჭკორი, მ. ჩახვაძე, ი. ნუცუბიძე, ვ. გახოკია, ზ. ჯორბენაძე, შ. სარჯველაძე, მარო სარჯველაძე, ივ. კოკაია, ფოფხაძე, ჩიქვილაძე, შ. ქარცივაძე, ვ. ბოცვაძე, ნ. შარაბიძე, მ. კედია, ის. კუპრაძე, ს. მურმანიძე, ჩაჩუა, ნადია სეფისკვერაძე, არ. არავიაშვილი, შ. შენგელია, მამა გ. ჟურული და მისი შვილი კოტე, არჯ. ემუხვარი, ებრაელიძე, ვ. თოთიბაძე, ს. ქუთათელაძე, ევა ჯიბლაძე, შ. სკანკოჩაიშვილი, არ. მამფორია, გერ. ცეცხლაძე, ვლ. სვანიძე, ქ-ნი ფილოშვილი, ი. ფილოშვილი, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ნასიძე, ლ. ჭურღულაშვილი, კახიანი, შ. ქურიძე, ალფეს ხომერიკი, პოლკ. ამილახვარი, ძმები დოლიძეები, ლელო ჩიქოვანი, ან. გუგუშვილი, ძმები ხოჭოლავები, ნ. ფილია, მამაო გრ. ფერაძე, მწერალი გვეტაძე, კვ. ელენტი, გენ. ვ. ჯაფარიძე, მამა და შვილი კერესელიძე, პროფ. მიხ. წერეთელი, გ. ჩხეიძე, დ. მაჭავარიანი, არ. გედევანიშვილი.

ამ ჟამად უადგილობის გამო, იძულებული ვარ ამ ღირსეული ქართველების მარტო გვარები აღვნიშნო.

ს. სარჯველაძე, შ. ბერეჟიანი, ს. კარგარეთელი, ალ. ბადურაშვილი, გ. ვაჩნაძე, გ. ლოლუა, პ. ხვედელიძე, მ. დადიანი, ლ. ჯაფარიძე, გ. შანშიაშვილი, ვ. შუბლაძე, თ. ლაღიძე, გ. გრიგოლია, ჯ. გვაზავა, ძმები მამულაშვილები, ი. ოთხმეზური, მ. ნასყიდაშვილი, ნ. პაპუაშვილი, ტ. ზურაბიშვილი, ა. შავგულიძე, პრ. ბერიძე, გ. დადიანი, ი. ჯაფარიძე, ირ. მჭედლიშვილი, ვ. საბახტარაშვილი, დ. დათიაშვილი, რ. ვოდე.

შალიკო ჯაველიძე, დათიკო ჟორდანია, ჯაბა ხაბულიანი, შიო გელაშვილი, გრიშა კერესელიძე, რ. შავდია, მათე ბოლქვაძე, აფრასიონ ხვედელიანი, კვიროსი ჩხეიძე, ბედელაძე,

ამ თანამემამულეებს ვათავსებ ერთად, არიან უმრავლესობა ნაციონალისტური მიმართულების. ყველა აქ დასახელებულებმა ატარეს ეროვნული აღტყინება, ბრძოლა სამშობლოსათვის. მათი სიყვარული ჩვენი ქვეყნისადმი დიდია. განსაკუთრებული პატივისცემის ღირსნი არიან ახალი ემიგრანტები, რომლებმაც შეგნებულად გაიზიარეს ჩვენი მძიმე ხვედრი. ისტორიის შარაგზაზე ჩვენმა ერმა ბევრი ძლიერი მტერი მოინელა, ამ მესიანიზმის იმედი უნდა გვქონდეს მომავალშიც. ასეთ რწმენას ატარებენ ზემოთ ჩამოთვილი მებრძოლები.

ზემო აღნუსხულ ქართველებს სხვა და სხვა შინაარსის დამსახურება მიუძღვით. არიან ჩვენი საზოგადოების დასაყრდნობი პირები. ყველასაგან მახსოვს თბილი დამოკიდებულება, კარგი მეგობრობა, გამტანი ქართველობა, ჭირში და ლხინში ჩვენთან არიან. მე არ ვლაპარაკობ ეროვნულ მოვალეობაზე, რაც თავისთავად იგულისხმება.

ჩვენი ცხოვრების მანძილზე ადგილი ჰქონდა გულმხიარულ მომენტებს. მინდა მკითხველს რამოდენიმე ეპიზოდი გაუზიარო: ადამიანებს ინსტინქტიურათ უყვართ სიცილი, სულ ერთია, თუ როგორ პირობებში. ერთხელ ჩვენ კარგ მეგობრებს, ქრისტეფორე იმნაიშვილს და პროკოფი ინწკირველს მოუვიდათ მეტად სერიოზული უთანხმოება. იმნაიშვილი ნამდვილი გურულია; ჩქარა იცის „გაკუჭება“, ინწკირველი კი მშვიდი და ნამდვილი ინგლისური ფლეგმატიური ბუნების. გულმოსულმა იმნაიშვილმა, არ დაივიწყა ძველი რაინდული წესი და დუელში გამოიწვია და იარაღის არჩევის უფლება მისცა. ინწკირველი დამშვიდებული, დინჯათ ,თავისი მშვენიერი გურული კილოთი ეუბნება: „ბიჭო ქრისტეფორე, შენ ხომ კარგად იცი, მე არტილერისტი ვარ და აი ზარბაზანი რაფერ გესროლოვო“. ყველას გაეცინა, ქრისტეფორეს პირველს. ასე მეგობრულად გათავდა მტრულათ დაწყებული საქმე.

განსვენებული ვალოდია დოლიძე ახლად ჩამოსული იყო, საქართველოდან რომ ცნობა მიიღო „შენი ცოლი გარდაიცვალაო“. ვალოდიამ შავები ჩაიცვა, წვერი მოუშვა და ისეთი შავი წვერი ჰქონდა, ბაბახანს შეშურდებოდა. საწყალი ქვრივი შეეკითხა თავისიანებს, „რითი მოკვდა ის უბედურიო“. საქართველოდან გულცივათ უპასუხეს „მუცელს გადაყვა შენი ცოლიო“. ასეთი ორგულობის წინაშე, გულმოსულმა ვალოდიამ დაიძახა: „ჩქარა სამართებელიო“. იმ ღამეს ოდენკურში კარგი ქეიფი იყო.

მოხუც ალფეს ხომერიკს საქართველოში დატოვებული ჰყავდა ახალგაზრდა ლამაზი ცოლი და მშვენიერი სახლი, ან როგორც ჩვენში იტყვიან „ოდა“. ცოლისგან წერილი მოუვიდა და სხვათა შორის სწერდა: „ნინოშვილის ფილმი გადაიღეს, „ჯანყი გურიაში“-ო. ფილმის საჭიროებისათვის დასწვეს ჩვენი სახლი, როგორც ემიგრანტის ქონება, მაგრამ გული არ დაგწყდეს, არ იჯავრო, ფილმში დამწვარი ჩვენი სახლი მშვენივრად გამოსულაო“. საწყალ ალფეს ძლიერ გული მოუვიდა, გაჯავრდა,

მაგრამ ყველა რომ მომცინარი დაგვინახა, თვითონაც გაეცინა. ასე დავცინოდით ჩვენს უბედურებას.

სანამ ამ წიგნს დავხურავდე, მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც უცხოეთში დაიბადნენ და რომელთა მიმართ ხანდაზმული თაობა მოიკოჭლებს.

ახალგაზრდობა, რომელიც უცხოეთში დაიბადა, მის შეფასებას ღრმა დაკვირვება სჭირია და არა გულცივი მიდგომა. ყოველშემთხვევაში, ქართველებს მეტი დაკვირვება მოეთხოვება. საბენიეროთ სისხლი ბევრ საუკუნეებს უძლებს, გადაგვარება არც ისე ჩქარა ხდება, როგორც აჩქარებულ „მკვლევარებს“ ეჩვენებათ. ბევრი მაგალითების მოყვანა ჩემთვის შეუძლებელია, მაგამ ემილ-ზოლას ეროვნული დრამა ყველას მოეხსენება. ჩვენ ახალგაზრდობას უწუნებენ არა ბუნებას, არამედ ქართულის რიგიანათ არ ცოდნას. პირადათ ზემო იმერელი ვარ, კუთხე სადაც რუსული ატმოსფერო მკრთალია. მიუხედავათ ამისა გაჭირვების დროს, ან სერიოზულ მომენტში, რუსულათ ლაპარაკობდნენ, თვით ლევილის ეზოში. კოტე მარჯანიშვილი ამბობდა „ნამდვილი იუმორის მქონე საქართველოში დ. კლდიაშვილია“. ყველას მოეხსენება, რომ როცა კლდიაშვილი დაბრუნდა საქართველოში მან ერთი სიტყვა არ იცოდა, მეორე დიდი მწერალი ამბობს: „იყო დრო, როცა თბილისში მარტოდ მარტო კურტნიანი რაჭველები ლაპარაკობდნენ რუსთაველის ენასო“. კიდევ ისტორიული მაგალითი: ჩვენმა სასახელო პროფესორებმა, თავიანთ მოწაფეებთან ერთად ისწავლეს ქართული ენა.

საქართველო არის მძლავრი მუხა, რომლის შტოები ზოგი მკვდარია, ზოგი დაავადმყოფებული, სწორეთ ამ უკანასკნელ კატეგორიას ეკუთვნიან უცხოეთში დაბადებული ახალგაზრდები. ჩვენი და საქართველოს ვალია, მათი მორჩენა და არა აჩქარებული დასკვნები. თუ დროებამ არ გვიმუხთლა ჩვენი ახალი

თაობა არ შეგვარცხვენს, მათ უკვე შესძლეს ზოგი ჯიგრიანი შემოქმედება, ყოველშემთხვევაში, გულქვა შეფასების ღირსნი არ არიან და სჯობია დოქტრინალური სიმაგრე სხვა დარგში გამოვიჩინოთ. თუ უცხოეთში დაბადებულ თაობას გზა მოეჭრა, სამშობლოს საზღვრები დაეხურა, ისენი მაინც გაგვიწევენ გულშემატკივარ ჭირისუფლებას.

ამით ვათავებ ამ პატარა წიგნს. მკითხველმა უნდა იცოდეს, ჩემთვის შეუძლებელი იყო, რამოდენიმე ფურცელში გამეშალა ამდენი თემები და ამავე დროს მელაპარაკა ადამიანებზე. ამიტომ, იძულებული ვიყავი, მეანგარიშა ფურცლების რაოდენობა. ყოველშემთხვევაში მე ვცადე ჩემს ნაშრომში სიყვარული ჩამექსოვა და ვყოფილიყავი მიუდგომელი, რმდენათაც ამის შესაძლებლობას თვით ბუნება იძლევა.

ემიგრაციაში მყოფმა ქართველებმა ატარეს მძიმე ჯვარი მოვალეობის. ამ მხრივ სიმართლისთვის არ მიღალატია. შეიძლება სხვამ უკეთესი დასწეროს, ეს ხომ ნიჭის საქმეა და არა განზრახვის. არც ის ჩამეთვლება დანაშაულათ, თუ ერთი და იგივე ღირსებას ხშირად ვიმეორებ. მსგავსი მოქმედება ფატალურია და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია. არც ერთ მებრძოლში ცუდი ქცევა არ დამინახავს, მხოლოდ ტანჯვა და თავდადება, რომლის ღირსი ჩვენ არ ვიყავით.

ღმერთმა ქნას ჩვენით გათავდეს ემიგრაცია ჩვენს ისტორიაში.